ამ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ უფრო ღრმად შეგვესწავლა მომხმარებლების ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და ქცევები. კონკრეტული კომპანიების მომხმარებლების კვლევის მაგალითზე გამოგვევლინა თეორიულ კონცეფციებს და პრაქტიკულ მოქმედებებს შორის არსებული კავშირები, რაც თავის წვლილს შეიტანს როგორც საკითხის თეორიულ, ასევე კომპანიების ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული მიზნობრივი საკომუნიკაციო სტრატეგიების განვითარებაში.

ძირითადი ტექსტი

ხშირად, ადვილი არ არის მომხმარებლებისათვის იმის ახსნა, რომ ისინი ხელიდან უშვებენ დაზოგვის აშკარა შესაძლებლობებს ინოვაციური და ენერგოეფექტური პროდუქტების არ შეძენის გამო. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ენერჯის დაზოგვის უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით. შესაბამისად, აქ ძალიან დიდ როლს თამაშობს კომპანიების აქტიური ენერგოეფექტურობის მარკეტინგი. ზოგადად მარკეტინგული კომუნიკაციების ნაკლებობა მომხმარებელს ხელს უშლის იმაში რომ კარგად გააცნობიეროს საჭირო პროდუქტების ბუნება და მათგან მოსალოდნელი სარგებლი. ამიტომ სავაჭრო კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ეფექტური მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემის პოვნა.

ენერგოეფექტურობის მარკეტინგი გულისხმობს მომხმარებლებთან და მთლიანად საზოგადოებასთან გრძელვადიანი ურთიერთობების ხელშეწყობას და მარკეტინგის ყველა ასპექტში, მათ შორის პროდუქტის შემუშავებაში, ფასწარმოქმნაში, დისტრიბუციასა და კომუნიკაციის სტრატეგიებში ენერგოეფექტურობის პრინციპების გათვალისწინებას. ის ასევე გულისხმობს ამ მიმართულებით შესაბამისი განათლების მიღების, ენერგოეფექტური შესყიდვების, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ხელშეწყობას, პასუხისმგებლიანი მოხმარების ნიმუშების ჩამოყალიბებას, ენერგოეფექტური პროდუქტების სარგებლის პოპულარიზაციას, ასეთ არჩევანთან დაკავშირებული გრძელვადიანი ხარჯების დაზოგვისა და სასარგებლო თვისებების ხაზგასმას. მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მომხმარებლის ქცევის გაგება, სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობენ გადამწყვეტილებებზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორები. [11].

ენერგოეფექტურობის მარკეტინგის მთავარ მიზანს - მომხმარებლების ინფორმირება და ენერგოეფექტური არჩევანისა და ცხოვრების წესის მიმართ მათი ქცევის შეცვლა წარმოადგენს. ის მთავარ ფოკუსს მომხმარებლის გამოცდილებაზე (Customer Experience, CX) და მისი ცნობიერების დონის ამაღლებაზე უნდა აკეთებდეს.

ეფექტური საკომუნიკაციო შედეგები ნარმართვისათვის ქცევითი მეცნიერების პრინციპების გამოყენება (ანუ შედეგები, რომლებიც ახალ ქცევას ან მოცემულ თემაზე დემონსტრირებადი ჩართულობის ახალ დონეს აღძრავს) შესწავლილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში [12], ასევე კლიმატის ცვლილებისა

და მდგრადი მოხმარების მიმართულებებით [13, 14]. ეს კვლევები აჩვენებს, რომ ენერგოეფექტურობის ნახალისებისა და ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებული ჩვევების შეცვლის მცდელობებს შეუძლიათ დაეფუძნონ ადამიანის ქცევის სხვადასხვა თეორიებს [15].

ზოგადად, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებისა და ენერგოეფექტურობის სარგებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიზნობრივი აუდიტორიისათვის, წარმოადგენს ენერჯის დაზოგვის ქცევის ხელშეწყობის საერთო სტრატეგიას. ინფორმაციის მიწოდების მსგავსი სტრატეგიები ეფუძნება ადამიანის ქცევის რაციონალური არჩევანის თეორიას, რომელიც ვარაუდობს, რომ ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მიწოდებას შეუძლია დაეხმაროს მიზნობრივ აუდიტორიას ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. არსებობს ასევე სხვა მტკიცებულებებიც, რომლებიც აჩვენებს რომ ინფორმაციის მიწოდებამ კი შეიძლება გამოიწვიოს მიზნობრივი აუდიტორიის ცოდნის ზრდა, მაგრამ ის არ წარმოადგენს ძალიან ეფექტურ სტრატეგიას [16].

მეცნიერები ასევე ადასტურებენ რომ ენერჯის დაზოგვის მიმართ მიზნობრივი აუდიტორიის ქცევაზე შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული შეტყობინებების ჩარჩოს. სუბიექტებს, რომლებსაც მიეწოდებოდათ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული შეტყობინებები ფულადი ჩარჩოთი (მაგ., ევროში დაზოგვა) და გარემოსდაცვითი ჩარჩოთი (მაგ., CO₂-ის შემცირება), გამოავლინა ელექტროენერჯის დაზოგვის უფრო დიდი განზრახვა [17]. სხვა კონტექსტში, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ენერგოეფექტურობის შეტყობინებები, რომლებიც ხაზს უსვამენ გარემოსდაცვით და ჯანმრთელობისთვის სარგებელს, უფრო მეტ ენერჯის დაზოგვის ქცევას იწვევს, ვიდრე მხოლოდ ფულად დაზოგვაზე ორიენტირებული შეტყობინებები. [18]. რამოდენიმე კვლევა აჩვენებს იმასაც, რომ შეტყობინებებს, რომლებსაც გარკვეული პროსოციალური ქცევის აუცილებლობის მიზეზი აქვს - ნაკლებად დამაჯერებელია, ვიდრე ის შეტყობინებები, რომლებსაც უფრო ძლიერი არგუმენტები აქვთ [19].

მეცნიერები რომლებიც იკვლევენ ენერგომოხმარების გარემოსდაცვით საკითხებზე გავლენას, ხაზს უსვამენ მომხმარებლების მზაობას, რომ მეტი გადაიხადონ ენერგოეფექტური ტექნიკისათვის. მათი კვლევა ადგენს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა დამოკიდებულებაზე, აღქმულ ხარისხზე, ფასზე, ემოციურ და გარემოსდაცვით ღირებულებებზე, რაც ნათელს ჰფენს ენერგოეფექტური ტექნიკის დანერგვის ნახალისების სტრატეგიებს [20].

ამავდროულად, აღსანიშნავია რომ დღეისათვის ენერგოეფექტურობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება მდგრადი ცხოვრების ფუნდამენტი გახდა. მთავრობები და ბიზნესები აქტიურად ავრცელებენ ინფორმაციას კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, რათა მომხმარებლები ინფორმირებულნი იყვნენ ენერჯის დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ [21].

ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისაკენ მიმა-

რთული სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიის ეფექტურობაზე მრავალი კვლევა არსებობს [22]. ამ კვლევების ნაწილი ფოკუსირებულია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და მიზნობრივი აუდიტორიის დარწმუნებაზე [23]. სხვა კვლევები ამომბენ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას რეალური შესყიდვის/შოპინგის გარემოში [24]. ეს კვლევები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ენერგოეფექტურობაზე მომხმარებლების ცნობიერების, დამოკიდებულებების, მიდრეკილებების ზრდაზე სხვადასხვა შეტყობინებების გავლენის შესახებ. მსგავსი კვლევების დიდი სიმცირე შეინიშნება საქართველოში.

მომხმარებელთა ქცევისა და ენერგოეფექტურობაზე მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიების შესწავლა ჩვენ ვანარმოეთ კონკრეტული კომპანიების - ჰიპერმარკეტების ქსელ „გორჯიასა“ და ელექტროტექნიკის მსხვილი სავაჭრო ცენტრის „ტექნო ბუმის“ მომხმარებელთა კვლევის მაგალითზე. ეს კომპანიები ჩვენს მიერ შერჩეული იქნა გაყიდვების მაშტაბურობის გამო, რამდენადაც ისინი საქართველოს ბაზარზე წარმოადგენენ როგორც სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ასევე სამშენებლო-სარემონტო მასალების ყველაზე მსხვილ გამყიდველებს. ჩვენი კვლევის მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენდნენ ამ მსხვილი კომპანიების მომხმარებლები.

კვლევა ვანარმოეთ გამოკითხვის მეთოდით. ამ მიდგომამ მოგვცა კომპლექსური მონაცემების შეგროვების საშუალება დროის მოცემული მომენტისათვის. ასევე იმის საშუალება, რომ შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა ენერგოეფექტურობისადმი მომხმარებლების დამოკიდებულებებზე და მოგვეხდინა ამ კომპანიებში ენერგოეფექტურობაზე კომუნიკაციის სტრატეგიების შედარება.

რესპონდენტები შევარჩიეთ მარტივი შემთხვევითობის პრინციპით და გამოკითხვა ვანარმოეთ ანკეტირების სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით, რესპონდენტთა ანონიმურობის სრული დაცვით 2025 წლის ივნისში. სტრატეგიკაციის კრიტერიუმებს წარმოადგენდა ასაკი, სქესი, მოხმარების მიზანი და ტიპი. შერჩევის მოცულობამ შეადგინა 300 ადამიანი. კითხვარი შედგებოდა 30 კითხვისგან, რაც მოიცავდა როგორც მრავალპასუხიან, ასევე ერთი პასუხის ფორმატის კითხვებს. კითხვები მოიცავდა მონაწილეთა სოციოდემოგრაფიულ მახასიათებლებს, ენერგოეფექტური პროდუქტებზე მათ ცნობიერებას, ცოდნას და დამოკიდებულებას, პროდუქტების შეძენისას ძირითად პრიორიტეტებს (ეკონომია, ხარისხი, ფასი, გარემოს დაცვა) ადრინდელი შესყიდვების ჩათვლით, ენერგოეფექტურობის განვითარებაზე და ინოვაციებზე მათ ცოდნას და მის გათვალისწინებას ახალ შესყიდვებში, მათ მზაობას დაენერგათ ახალი ტექნოლოგიები და მომსახურება, საკომუნიკაციო არსებს რომელითაც ლებულობდნენ ისინი ინფორმაციას.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ეფუძნება საქართველოში ამ ორი მსხვილი სავაჭრო კომპანიის მომხმარებლების ქცევას, ჩვენ ასევე შევეცადეთ რომ აგვესახა განხილულ თემასთან დაკავშირებით უფრო ფართო ტენდენციებიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის შედეგების გამოყენება სხვა სავაჭრო კომპანიების მიერ


შეიძლება ვარიანტებს კონტექსტზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

ჩვენი კვლევით დადასტურდა ჰიპოთეზა იმაზე, რომ არსებობს რეგიონალური განსხვავება ენერგოეფექტურობის აღქმასთან დაკავშირებით. კვლევამ გვიჩვენა რომ გამოკითხულ მომხმარებელთა გარკვეული რაოდენობა (7%) არ არის დაინტერესებული ენერგოეფექტურობით პროდუქტების შექმნისას. საფუძვლს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის შედეგად გამოკითხულ რესპონდენტთა ეს ნაწილი (ეკომიგრანტები და იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები, მთის კანონით განსაზღვრული რეგიონების მოსახლეობა) ელექტროენერჯიას მნიშვნელოვანი სუბსიდიებით ან საერთოდ უფასოდ მოიხმარენ (საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“). ენერგოეფექტურობისადმი ცნობიერების დონის განსხვავებები გამოვლინდა ასევე ეროვნულ სქესობრივ, ასაკობრივ, სოციალურ დონეზეც.

გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის (52%) ენერგოეფექტურობა აღიქმება, როგორც რესურსების დაზოგვა და სარგებლის მიღება, რაც მათთვის მნიშვნელოვან უპირატესობას და ინვესტიციას წარმოადგენს შესყიდვებში. ისინი მეორე ადგილზე ასახელებენ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს (25%), მესამეზე - გარემოსდაცვით სარგებელს (15%) და მეოთხეზე - კომფორტსა და გამოცდილებას (8%). ეს მონაცემები გვაძლევს ენერგოეფექტურ შექმნაზე რესპონდენტთა მიდრეკილების განსაზღვრის ობიექტურ საფუძველს (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

კომპანიების - „გორგია“ და „ტექნო ბუმის“ მომხმარებლების პროდუქტების ენერგოეფექტურობისადმი დამოკიდებულების კრიტერიუმები



წყარო: ავტორთა კვლევა, რომელიც დაფუძნებულია კომპანიების „ტექნო ბუმის“ და „გორგიას“ მომხმარებელთა გამოკითხვის ანალიზზე. (2025 წლის ივნისი).

„გორგიას“ და „ტექნო ბუმის“ მომხმარებლებმა ასევე პროდუქტების შექმნის მთავარ მოტივებს (ენერგოეფექტურობა, ბრენდი/ხარისხი, ფასი, გარემოს დაცვა) შორის, ენერგოეფექტურობას განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭეს. „ტექნო ბუმი“-ს (რომელიც ვაჭრობს საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკით) მომხმარებლებმა, შექმნის მთავარ მოტივად პირველ რიგში ბრენდი და ხარისხი (52%), შემდგომ ფასი, (28%), ენერგოეფექტურობა (14%), გარემოს დაცვა (6%) დაასახელეს. „გორ-

გიას“ (რომელიც ვაჭრობს ელექტრო მოწყობილობებით, ჰაერის გამჭვირვალობის და იზოლაციის მასალებით, HVAC სისტემებით) მომხმარებლები კი შექმნის მთავარ მოტივად პირველ რიგში ენერგოეფექტურობას (55%), შემდგომ ბრენდს და ხარისხს (21%), გარემოს დაცვას (14%) და ფასს (10%) ასახელებენ.

კვლევამ აჩვენა, რომ „ტექნო ბუმის“ მომხმარებლებისთვის ენერგოეფექტურობა შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია შესყიდვის განხორციელებისას (14%), ხოლო „გორგიას“ მომხმარებლებისთვის ენერგოეფექტურობა აშკარად მთავარი მოტივია (55%). თუ „ტექნო ბუმის“ მომხმარებლებს შექმნისას იზიდავთ ბრენდის იმიჯი (52%) და ფასი (28%), „გორგიას“ მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია ენერგოეფექტურობა (55%) და ეკოლოგიური ღირებულებები (10%), რაც ნიშნავს, რომ ისინი კარგად იცნობენ პროდუქციის ენერგოეფექტურობის მახასიათებლებს და გადანყვებილების მიღებისას ისინი უპირატესობას ანიჭებენ ენერგოეფექტურობას ხარისხთან, ფასთან და ეკოლოგიურობასთან ერთად. შესაბამისად, „გორგიას“ მომხმარებლები უფრო ენერგოეფექტურ ქცევას ავლენენ. (იხილეთ დიაგრამა 2).


ენერგოეფექტურობის მარკეტინგის წარმოების და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებაზე მისი გავლენის თვალსაზრისით, შერჩეული კომპანიებიდან „გორგიას“ მარკეტინგის დალანდშაფტში ენერგოეფექტურობას ცენტრალური ადგილი უკავია - გარემოსდაცვითი სარგებლის, ასევე მომხმარებლის ხარჯების დაზოგვის ხელშემწყობი ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად, კომუნიკაციებში მთავარ გზავნილს ენერგოეფექტურობა წარმოადგენს. „ტექნო ბუმის“ მარკეტინგული საკომუნიკაციო პოლიტიკა უპირატესობებს ბრენდებს, ფასს, საგარანტიო მომსახურებას და გადახდის სერვისს ანიჭებს.

გამოკითხულმა მომხმარებლებმა არაერთგვაროვანი ნდობა გამოხატეს კომპანიების „გორგიას“ და „ტექნო ბუმის“ მიერ ენერგოეფექტურობის შესახებ გამოყენებული სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების (საკონსულტაციო მომსახურება, ზეპირი გავრცელება (WOM), პროდუქციის მარკირება, რეკლამა, მათ შორის სოციალური მედია) მიმართ. კომპანიების მომხმარებლებმა ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით მეტი ნდობა გამოავლინეს საკონსულტაციო მომსახურებაზე, როგორც ერთ-ერთი საკომუნიკაციო არხის მიმართ (35% და 40%) და ნაკლები ნდობა რეკლამაზე, მათ შორის სოციალურ მედიაში (16% და 17%). ეს მონაცემები გვიჩვენებს იმას, რომ ენერგოეფექტურობის სფეროში სტრატეგიული მარკეტინგული საკომუნიკაციო არხის არჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლების მხრიდან როგორც ნდობის მოსაპოვებლად, ასევე ცნობიერების ასამაღლებლად (იხილეთ დიაგრამა 3).

არსებული მონაცემები გვარწმუნებს ენერგოეფექტურობის მარკეტინგში კომუნიკაციის სტრატეგიებისადმი მიდგომების უდიდეს მნიშვნელობაზე მომხმარებელთა ინფორმირებაში. ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავდა მზაობას ენერგოეფექტური გადანყვებილების მისაღებად შესაბამისი ცოდნის მიღების შემდეგ, რაც

დიაგრამა 2.


კომპანიების - „გორგიას“ და „ტექნო ბუმის“ მომხმარებლების მიერ პროდუქტების შექმნის მთავარი მოტივები



წყარო: ავტორთა კვლევა, რომელიც დაფუძნებულია კომპანიების „ტექნო ბუმის“ და „გორგიას“ მომხმარებელთა გამოკითხვის ანალიზზე. (2025 წლის ივნისი).

დიაგრამა 3.

„გორგიას“ და „ტექნო ბუმის“ მომხმარებლების პროდუქციის ენერგოეფექტურობაზე ინფორმირების საკომუნიკაციო არხების მიმართ ნდობის ინდიკატორები.



წყარო: ავტორთა კვლევა, რომელიც დაფუძნებულია კომპანიების „ტექნო ბუმის“ და „გორგიას“ მომხმარებელთა გამოკითხვის ანალიზზე. (2025 წლის ივნისი).

ნიშნავს იმ მარკეტინგული გზავნილების უკმარისობას, რომლებიც მომხმარებლებს დაეხმარება ალტერნატივების იდენტიფიცირებასა და ენერგოეფექტურ შესყიდვაზე გავლენის მოხდენაში.

დასკვნა

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარების შედეგად ბაზრისათვის ახალი ენერგოეფექტური პროდუქტების მიწოდება მომხმარებლებში მუდმივად აჩენს ინფორმაციულ უკმარისობას, რაც მოითხოვს მომხმარებლების ცოდნისა და დამოკიდებულების განვითარების მიმართულებით მარკეტინგის გააქტიურებას.

ამ კვლევით დასტურდება ის, რომ ეფექტური მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემის აგება შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებელთა ალქმასა და გამოცდილებაზე ორიენტირებით, ანუ მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგის (CX-based EE) ფუკუსი უნდა მოხდეს მომხმარებლის გამოცდილებაზე (Customer Experience, CX) და ქცევის კრიტერიუმები შეფასდეს კონკრეტულ გარემოში.

კვლევა აჩვენებს იმას თუ როგორი გავლენა აქვს დამოკიდებულებებს, სოციალურ ნორმებს, ალქმას და გამოცდილებას არჩევანის (ენერგოეფექტური) გაკეთების მიდრეკილებასა და ჩამოყალიბებაზე. მარკეტინგულ ჩარევებს, რომლებიც ორიენტირებულია დამოკიდებულებებზე და ალქმაზე, (რეგიონალური განსხვავებების გათვალისწინებით) შეუძლიათ მნიშვნელოვნად იმოქმედონ ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ ქცევაზე - შესაბამისი ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მატარებელი საკომუნიკაციო არხებით.

ეს კვლევა გააფართოებს არსებულ ცოდნას, ხელს შეუწყობს ენერგოეფექტურობის მარკეტინგზე ცნობიერების ამაღლებას. კვლევის შედეგები მეცნიერებს სთავაზობს ამ სფეროს წინსვლის დღის წესრიგს და შეიძლება გამოყენებული იქნას კომუნიკაციის არხების გააქტიურებაში გამონვევების იდენტიფიცირებისათვის. ის ასევე პრაქტიკულ შედეგებს და რეკომენდაციებს სთავაზობს მარკეტინგის სპეციალისტებს ენერგოეფექტური პროდუქტების დანერგვის გააქტიურებისა და გაყიდვების წახალისებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alam, A. Investigating Sustainable Education and Positive Psychology Interventions in Schools Towards Achievement of Sustainable Happiness and Wellbeing for 21st Century Pedagogy and Curriculum. *ECS Trans.* 2022, 107(1): 19481. doi:10.1149/10701.1948. ecst;
2. Abrahamse, Wokje, Linda Steg, Charles Vlek, and Talib Rothengatter. 2005. "A Review of Intervention Studies Aimed at Household Energy Conservation." *Journal of Environmental Psychology* 25 (3): 273–91. <https://doi.org/10.1016/j.jenvp.2005.08.002>;
3. Ajzen, I. The theory of planned behavior: Frequently asked questions. *Hum. Behav. Emerg. Technol.* 2020, 2, 314–324. [CrossRef];
4. Asensio, Omar I., and Magali A. Delmas. 2015. "Nonprice Incentives and Energy Conservation." *Proceedings of the National Academy of Sciences* 112 (6): 1654–55. <https://doi.org/10.1073/pnas.1423686112>;
5. Anwar, Y.; El-Bassiouny, N. Marketing and the Sustainable Development Goals (SDGs): A Review and Research Agenda. In *The Future of the UN Sustainable Development Goals: Business Perspectives for Global Development in 2030*; Idowu, S.O., Schmidpeter, R., Zu, L., Eds.; CSR, Sustainability, Ethics & Governance; Springer International Publishing: Cham, 2020: 187–207. doi:10.1007/978-3-030-21154-7_9;
6. Bostrom, Ann, Gisela Böhm, and Robert E. O'Connor. 2013. "Targeting and Tailoring Climate Change Communications." *WIREs Climate Change* 4 (5): 447–55. <https://doi.org/10.1002/wcc.234>;
7. Demarque, Christophe, Laetitia Charalambides, Denis J. Hilton, and Laurent Waroquier. 2015. "Nudging Sustainable Consumption: The Use of Descriptive Norms to Promote a Minority Behavior in a Realistic Online Shopping Environment." *Journal of Environmental Psychology* 43 (September): 166–74. <https://doi.org/10.1016/j.jenvp.2015.06.008>;
8. Farrow, Katherine, Gilles Grolleau, and Naoufel Mzoughi. 2018. "Less Is More in Energy Conservation and Efficiency Messaging." *Energy Policy* 122 (November): 1–6. <https://doi.org/10.1016/j.enpol.2018.07.007>;
9. Jung, J.; Kim, S.J.; Kim, K.H. Sustainable Marketing Activities of Traditional Fashion Market and Brand Loyalty. *Journal of Business Research* 2020, 120: 294–301. doi:10.1016/j.jbusres.2020.04.019. \;
10. Jiyong P.; Woojin Son.; Hyung Moon. Nudging energy efficiency behavior: The effect of message framing on implicit discount rate. *Energy Economics*. Volume 117, January 2023, 106485 <https://doi.org/10.1016/j.eneco.2022.106485>;
11. Jaffe, A. B., & Stavins, R. N. (1994). The energy-efficiency gap what does it mean? *Energy Policy*, 22(10), 804–810. [https://doi.org/10.1016/0301-4215\(94\)90138-4](https://doi.org/10.1016/0301-4215(94)90138-4);
12. Jiang, C.; Fan, T.; Gao, H.; Shi, W.; Liu, L.; Cérin, C.; Wan, J. Energy aware edge computing: A survey. *Comput. Commun.* 2020, 151, 556–580. [CrossRef];
13. Kallbekken, Steffen, Håkon Sælen, and Erlend A. T. Hermansen. 2013. "Bridging the Energy Efficiency Gap: A Field Experiment on Lifetime Energy Costs and Household Appliances." *Journal of Consumer Policy* 36 (1): 1–16. <https://doi.org/10.1007/s10603-012-9211-z>;
14. Mian, S.H.; Salah, B.; Ameen, W.; Moiduddin, K.; Alkhalefah, H. Adapting Universities for Sustainability Education in Industry 4.0: Channel of Challenges and Opportunities. *Sustainability* 2020, 12(15): 6100. doi:10.3390/su12156100;
15. Noar, Seth M. 2006. „A 10-Year Retrospective of Research in Health Mass Media Campaigns: Where Do We Go From Here?“ *Journal of Health Communication* 11 (1): 21–42. <https://doi.org/10.1080/10810730500461059>;
16. Peterson, M.; Minton, E.A.; Liu, R.L.; Bartholomew, D.E. Sustainable Marketing and Consumer Support for Sustainable Businesses. *Sustainable Production and Consumption* 2021, 27: 157–168. doi:10.1016/j.spc.2020.10.018;
17. Rai, S.S.; Rai, S.; Singh, N.K. Organizational Resilience and Social-Economic Sustainability: COVID-19 Perspective. *Environ Dev Sustain* 2021, 23(8): 12006–12023. doi:10.1007/s10668-020-01154-6;
18. Salvarli, M.S.; Salvarli, H. For Sustainable Development: Future Trends in Renewable Energy and Enabling Technologies. In *Renewable energy-resources, challenges and applications*; IntechOpen, 2020, ISBN 1-78984-284-0;
19. Sharma, A.P. Consumers' Purchase Behaviour and Green Marketing: A Synthesis, Review and Agenda. *International Journal of Consumer Studies* 2021, 45(6): 1217–1238. doi:10.1111/ijcs.12722;
20. Steinhorst, Julia, Christian A. Klöckner, and Ellen Matthies. 2015. "Saving Electricity – For the Money or the Environment? Risks of Limiting pro-Environmental Spillover When Using Monetary Framing." *Journal of Environmental Psychology* 43 (September): 125–35. <https://doi.org/10.1016/j.jenvp.2015.05.012>;
21. Whittaker, L.; Mulcahy, R.; Russell-Bennett, R. 'Go with the Flow' for Gamification and Sustainability Marketing. *International Journal of Information Management* 2021, 61: 102305. doi:10.1016/j.ijinfomgt.2020.102305;
22. Weaver, Kimberlee, Stefan J. Hock, and Stephen M. Garcia. 2016. "“Top 10’ Reasons: When Adding Persuasive Arguments Reduces Persuasion." *Marketing Letters* 27 (1): 27–38. <https://doi.org/10.1007/s11002-014-9286-1>;
23. White, Katherine, Rishad Habib, and David J. Hardisty. 2019. "How to SHIFT Consumer Behaviors to Be More Sustainable: A Literature Review and Guiding Framework." *Journal of Marketing* 83 (3): 22–49. <https://doi.org/10.1177/0022242919825649>;
24. Zhang, J.Z.; Watson IV, G.F. Marketing Ecosystem: An Outside-in View for Sustainable Advantage. *Industrial Marketing Management* 2020, 88: 287–304. doi:10.1016/j.indmarman.2020.04.023;
25. Zhang, H. Behind the Scenes: Exploring Context and Audience Engagement Behaviors in YouTube Vlogs. In *Lecture Notes in Computer Science*; Meiselwitz, G., Ed.; Springer International Publishing: Berlin/Heidelberg, Germany, 2022; pp. 227–244.

ფული და კაპიტალი... კაპიტალისტური სისტემის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების მთავარი ფაქტორები

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.06>



ნასკიდა დარბუშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
<https://orcid.org/0009-0001-8583-5773>
E-mail: naskida@yandex.ru



დავით ბუკია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი
<https://orcid.org/0009-0000-1672-3869>
E-mail: bukia.davit82@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში განვიხილულია კაპიტალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და გავლენა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური მოძღვრებების არსის დამახინჯების დამანგრეველ გამოვლინებებზე და საკაცობრიო საფრთხეებზე, რომლებიც ლიბერალური შეხედულებების დამკვიდრებას თან სდევს.

ნაშრომში ასახულია მოსაზრებები კაპიტალისტურ სისტემაში მუდმივი პილიტიკური და ეკონომიკური კრიზისების განმეორებად ფაქტორებზე; მოცემულია პასუხები კითხვებზე: თუ ვის, რაში სჭირდებოდა და როგორ დაიბადა თანამედროვე ფსევდოდემოკრატია? დღევანდელ მსოფლიოში რა არის უფრო მნიშვნელოვანი, ადამიანი, თუ ფული და კაპიტალი? რა ინვესტაციებს შორის ურთიერებების ორმაგ სტანდარტებს?; რა იყო მსოფლიო ომების ნამდვილი მიზეზი და რას უქადის ეკონომიკური პრობლემები ცივილიზაციას.

საკვანძო სიტყვები:

ეკონომიკური კრიზისები, ეკონომიკური დოქტრინები, ტექნიკური პროგრესი, ფული და კაპიტალი.

MONEY AND CAPITAL... THE MAIN FACTORS OF POLITICAL AND ECONOMIC CRISES IN THE CAPITALIST SYSTEM

Naskhida Darbuashvili

Academic Doctor of Economic Sciences
<https://orcid.org/0009-0001-8583-5773E>
E-mail: naskida@yandex.ru

David Bukia

Sukhumi State University of Business
<https://orcid.org/0009-0000-1672-3869>
E-mail: bukia.davit82@gmail.com

ABSTRACT

The article discusses the problems characteristic of the capitalist system, their causes and impact on the socio-economic development of society.

The authors focus on the destructive manifestations of the distortion of the essence of economic doctrines and the threats to humanity that accompany the establishment of liberal views.

The work reflects opinions on the factors that determine the constant political and economic crises in the capitalist system; answers are given to the questions: who, why did it need it and how did modern pseudo-democracy arise? What is more important in today's world, a person or money and capital? What causes double standards in relations between countries?; What was the true goal of the world wars and what do economic problems portend for civilization.

Keywords: economic crises, economic doctrines, technical progress, money and capital.



ძირითადი ტექსტი

დროის გამოცდამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სფეროს მრავალ მეცნიერს, მათ შორის, ეკონომიკის დარგშიც, თავიანთ თეორიებსა და გათვლებში დაშვებული აქვთ უხეში შეცდომები. სწორედ ამ შეცდომების გამოა, რომ პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მუდმივ ეკონომიკურ კრიზისშია და სამყაროს მოსახლეობის უმეტესობის სოციალური მდგომარეობა მძიმდება. ძირითადად, ეკონომიკის განვითარებაში მეცნიერთა არასწორი შეხედულებებისთვის უპირატესობების მინიჭებამ ცივილიზაციაც არასწორი გზით წარმართა. შეცდომების შედეგია ის, რომ ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებაც კი ვერ უზრუნველყოფს ადამიანების კეთილდღეობის მაღალ დონეს - მთელ მსოფლიოში საშინელი გაჭირვება და სიღარიბეა. ცივილიზაციის განვითარებამ, ტექნიკურმა პროგრესმა მაღალი დონის ცხოვრებისთვის საუკეთესო შესაძლებლობები შექმნა. მაგრამ ყველასთვის ისინი ხელმისაწვდომი არ არის და ამით, ადამიანთა მატერიალური მდგომარეობა კი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება კიდევც.

რატომ ხდება ასე, რა ინვესტაცია ასეთ მძიმე მდგომარეობას?

ტექნიკური პროგრესი, ტექნოლოგიების განვითარება, ხელოვნური ინტელექტი, ადამიანს ანაცვლებს ყველა სფეროში და ყველა დონეზე, ამის გამო, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სამუშაოს კარგავს. უმუშევრად დარჩენილ ადამიანს ორი გამოსავალი აქვს:

უაღრესად მაღალი კონკურენციის პირობებში ან იმუშაოს ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებად სამუშაოზე, ან თუ გაუმართლდა, აიღოს სოციალური დახმარება. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მკვეთრად უარესდება არსებობის პირობები და სოციალური სტატუსი. ძალიან ბევრი უმუშევრად დარჩენილი ადამიანი შემოსავლის რეგალურ წყაროს ვერ პოულობს, ასეთი ადამიანების დიდი უმრავლესობა თავის გადასარჩენათ კრიმინალურ სამყაროს უერთდება, ზოგი ქურდობს, ზოგი ყაჩაღობს, ზოგი ნარკოტიკებით ვაჭრობს და ა.შ., ამიტომაც არის, რომ მიუხედავად უზომოდ მკაცრი კანონებისა, კრიმინალური დანაშაულები არ მცირდება. უმუშევრების ერთი ნაწილი მათხოვრობას იწყებს, სხვები ნაგავში იქექებიან, ზოგიც სხვა ქვეყნებში გარბის არსებობის წყაროს საძიებლად. ამკარაა, რომ ტექნიკური პროგრესი კეთილდღეობის გაუმჯობესების მაგივრად, მკვეთრად აუარესებს ადამიანთა კეთილდღეობის დონეს და სოციალურ სტატუსს.

ვინ სარგებლობს ტექნიკური პროგრესით? - ისინი ვინც „გუშინ“ ადამიანებს ქირობდნენ და ასაქმებდნენ, „დღეს“ კი ავტომატიზირებული გახადეს პროცესები და რობოტებს ამუშავებენ, ანუ კაპიტალისტები. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე, უძლიერესი კონკურენცია კაპიტალისტებს შორისაც. **მაღალი უმუშევრობა და დაბალი ანაზღაურება წარმოშობს მსყიდველობით უნარდაკარგულ ან მკვეთრად უნარდაქვეითებულ მოსახლეობას, გამოშვებული პროდუქციის დიდ ნაწილს მყიდველი არა ჰყავს. სწორედ ეს წარმოშობს**

უზარმაზარ კონკურენციას კაპიტალისტებს შორის და განაპირობებს მათ გაკოტრებას. ამის გამო, შეიძლება დღევანდელი მილიარდერი, ხვალე „ცენტის“ გარეშე დარჩეს, დიდ სიმდიდრეს დიდი პრობლემებიც აქვს.

დღეს, არსებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, წარმოების ანყობა (კაპიტალის შექმნა) და პროდუქციის გამოშვება, ადვილია, ძალიან მარტივიც კი. წინათ რაიმე პროდუქციის შექმნას სანარმოო მანქანების მთელი პარკი, მაღალკვალიფიციური მუშების და სანარმოო მანქანების შემკეთებელი ხელოსნების და მომსახურე პერსონალის მთელი არმია, მართვის რთული სისტემა სჭირდებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მოაზროვნე მანქანები - რობოტები უნივერსალურებია და მრავალ სანარმოო ოპერაციას ხარისხიანად ასრულებენ. აღარაა საჭირო რთული მართვის სისტემა და მთელი რიგი სამსახურების არსებობა. ამრიგად, წარმოების შექმნა და პროდუქციის გამოშვება პრობლემას არ წარმოადგენს. ამასთან, ბევრად იაფიცაა.

პრობლემას და დიდ სირთულეს წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. სწორედ ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია გასაღების ბაზრების ფლობა და ამ ბაზრების მქონე ქვეყნებზე კონტროლი. ეს დილემა განაპირობებს განვითარებული ქვეყნების მუდმივი სწრაფვას დაიმორჩილონ განვითარებული ქვეყნები. ძლიერი კონკურენციის გამო, განვითარებული ქვეყნები და ისინი, ვინც ამ ქვეყნების კაპიტალს განკარგავენ, რეალურად ფლობენ ხელისუფლებას, არ აძლევენ საშუალებას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა განვითარდეს. შეგნებულად ფული გახადეს ყველაფრის „ქვაკუთხედი“ და ფულის და ფულად-საკრედიტო სისტემის მართვით, ფაქტიურად, ყველაფერს აკონტროლებენ განვითარებულ ქვეყნებში; ხელოვნურად ქმნიან ფულის დეფიციტს და ფაქტიურად, ანგრევენ ამ ქვეყნების ეკონომიკებს. დეფიციტის შესავსებად კრიზისში მყოფ ქვეყნებს აძლევენ კრედიტებს და ქვეყნებს აგდებენ დიდ ვალებში. ასეთი ქვეყნები დეიურედ „დამოუკიდებელი“, „დემოკრატიული“ ქვეყნებია, დეფაქტოდ კი - მეტროპოლიის კოლონიებია. განვითარებულ ქვეყნებს, განვითარებული ქვეყნებიდან ვალების სანაცვლოდ ბუნებრივი სიმდიდრეები გააქთ და უაღრესად იაფი სამუშაო ძალა გაყავთ.

არსებული სისტემის ალგორითმი ასეთია: ძირითადად ფულის, ფულად-საკრედიტო სისტემის კონტროლით და ეკონომიკაში მთავრობის ჩაურევლობის ჩაგონებით (ბაზრის მექანიზმის გაფეტიშება) ანგრევენ ქვეყნის ეკონომიკას და ქმნიან მძიმე სოციალურ პრობლემებს. შემდგომ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად ქვეყანას აძლევენ ვალებს. ამ ვალებით ქვეყანა ყიდულობს უცხოურ პროდუქციას. ვალების სანაცვლოდ კი ქვეყნიდან იაფად გააქვთ წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები. ყიდულობენ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გააიფებულ უძრავ ქონებას და ქვეყნიდან ასევე ღებულობენ იაფ სამუშაო ძალას. გარდა აღნიშნულისა, მძიმე ეკონომიკური, სოციალური პრობლემების და გაზრდილი ვალების გამო, „კოლონიური“ ქვეყნების ხელისუფლებები მეტროპოლიის მარიონეტები ხდები-

ბიან, ვინაიდან მათი ხელისუფლებაში ყოფნა და ხელისუფლების შენარჩუნება მთლიანადაა დამოკიდებული მეტროპოლიაზე და მათ კრედიტებზე. განვითარებული ქვეყნები ასეთ ანყობილ საკრედიტო, დამონების სისტემას ქვეყნებისთვის დახმარების განვას უწოდებენ, რაც სრულიად გაუგებარია.

თუ გულდასმით დავაკვირდებით, განვითარებული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებისთვის კრედიტების მიცემით მათთვის საჭირო რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს წყვეტენ: ვალების გამო, განვითარებადი ქვეყნები პოლიტიკურად და ეკონომიკურად მათზე დამოკიდებულები ხდებიან; ამით, განვითარებული ქვეყნები თავიანთ ეკონომიკებს ანვითარებენ და საკუთარ ქვეყნებში ქმნიან სამუშაო ადგილებს, რამდენადაც განვითარებადი ქვეყნების მიერ აღებული ვალები თითქმის მთლიანად იმპრტული პროდუქციის შექმნაზე იხარჯება. მათთვის ხელსაყრელ ფასებში იაფად მიაქვთ ბუნებრივი სიმდიდრეები და სტრატეგიული ხასიათის რესურსები: ღებულობენ უაღრესად იაფ სამუშაო ძალას მძიმე, საფრთხის შემცველ და ბინძურ სამუშაოებზე; საკუთრებაში გადააქვთ სტრატეგიული მნიშვნელობის უძრავი ქონება (მინა, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები და ა.შ.); ალებინებენ მათთვის საჭირო და ხშირად განვითარებადი ქვეყნისათვის დამაზიანებელ კანონებს; თავიდან ბოლომდე აკონტროლებენ ხელისუფლების საქმიანობას. პრაქტიკულად, ქვეყნები მთლიანად ხდებიან დამოკიდებული მეტროპოლიაზე და ყველაფერი ქვეყანაში მათ მიერ კონტროლდება და იმართება.

საოცარია, რომ ამ ახალ ნეოკოლონიურ სისტემას ლიბერალები თავისუფლებას და დემოკრატიულს ეძახიან.

თუ არსებული მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვლება უახლოვეს მომავალში, როცა ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტები (ციფრული ჰუმანოიდები) ბოლომდე, სრულად ჩაანაცვლებენ ადამიანს, არსებული მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდება. თუ ასე გაგრძელდა, ეს ცივილიზაცია ან შეწყვეტს თავის არსებობას, ან გააგრძელებს არსებობას ადამიანის გარეშე. მას, ადამიანს, ჩაანაცვლებს ბევრად უფრო მაღალი ინტელექტის და შესაძლებლობების ადამიანის მსგავსი (ანალოგი) ციფრული არსებები-ციფრული ჰუმანოიდები.

რაში გამოიხატება კაცობრიობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების არასწორი მიმართულება?

არასწორი მიმართულება იმაში გამოიხატება, რომ თანამედროვე ცივილიზაცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები თითოეული ადამიანის მაღალი დონის კეთილდღეობის საშუალებას იძლევა, მაგრამ, ტექნიკა და ტექნოლოგიები ადამიანთა ერთი მცირე ნაწილის ხელშია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. მათ მიერ შექმნილ სიკეთეებს ძვირად აყიდებენ დანარჩენ მოსახლეობას და ამ გზით უსაშველოდ მდიდრდებიან. მსოფლიო მოსახლეობის ერთი მცირე ნაწილი მდიდრდება არა იმიტომ, რომ მათ ხელში თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიებია (კაპიტალია), ისინი მხოლოდ

გამდიდრებისთვის საჭირო ინსტრუმენტებია, მათი სიმდიდრის წყარო კი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა და მათგან ამოღებული თანხებია (ფულია), იმ მოსახლეობისა, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ყოველდღიურად გადარჩენისათვის იბრძვის.

აი ამ, ცივილიზაციის მცდარი განვითარების გზას და არაადამიანური განვითარების სისტემას ლიბერალიზმის იდეოლოგები თავისუფლებას და დემოკრატიას ეძახიან. ამ იდეოლოგიის ერთერთი ფუძემდებლური პრინციპი საკუთრების ხელშეუხებლობაა. საკუთრება შეიძლება წარმოიშვას: მემკვიდრეობის მიღებით; შრომით, საკუთარი სახლის აშენებით; შექენით ან ჩუქებით.

ჩუქებისა და მემკვიდრეობის გარდა, ითვლება რომ საკუთრება, ანუ კაპიტალი, ადამიანის შრომით და ინტელექტით წარმოიქმნება. სწორად და სამართლიანად ითვლება თუ კაპიტალს აკეთებინებენ მოგებას და ამ გზით ზრდიან საკუთარ კაპიტალს - სიმდიდრეს. ესაა კაპიტალიზმის ფუძემდებლური პრინციპი: **კაპიტალით მიიღო მოგება და გაზარდო კაპიტალი**. მაგრამ ამ თითქოსდა ლოგიკურ და მარტივ პრინციპში შეფუთულია უფრო რთულად დასაანახი განზრახულობა. კერძოდ:

კაპიტალისტურ სისტემაში დასაშვებია ნიაღისეულ სიმდიდრეებზე კერძო საკუთრებითი უფლება. ის სიმდიდრე, რასაც ბუნება ქმნიდა მილიონობით წლის განმავლობაში და სინამდვილეში, ამ სამყაროს ბინადართა საერთო სარგებელია, სხვადასხვა მანიპულაციებით, გარკვეულ პირთა ხელშეუხებელ მფლობელობაში გადადის, ამ სიკეთეს დანარჩენ მოსახლეობაზე სარფიანად ყიდვიან და საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებენ.

წარმოიდგინეთ, მინერალურ წყალს, ნავთობს, ბუნებრივ აირს, ნახშირს, მადანს და ათას სხვა ძვირფას საბადოს, დაეპატრონება ვინმე და მათი მოსახლეობაზე გაყიდვა ბიზნესად, სამართლიანად საქმიანობად ითვლება.

კაპიტალისტურ სისტემაში დასაშვებია ისიც, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ნაყოფს, ადამიანების თაობათა მიერ შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქტს ისაკუთრებდეს ერთი, თუნდაც გამორჩეული ტალანტი, განკარგავდეს მას, როგორც საკუთარს და მისგან ლეზობდეს უსაზღვრო სარგებელს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცნობილი კომპანიის „მაკროსოფტის“ შემქმნელი და ძირითადი წილის მფლობელი ბილ გეიცი. იგი პროგრამული პროდუქტების გაყიდვებით მილიარდერი გახდა. ერთი შეხედვით აქ ყველაფერი სამართლიანია - ადამიანმა საკუთარი ინტელექტის წყალობით გამდიდრდა. მაგრამ თუ კარგად დავეუკვირდებით ამ გარემოებას, ვნახავთ, რომ კაპიტალი, რომელიც ბილმა დააგროვა, სულაც არ არის ერთი ადამიანის ინტელექტით მიღებული სიმდიდრე და სინამდვილეში მთელი თაობების, მრავალი ინტელექტუალის, მრავალი მეცნიერის და მრავალი მილიონი ადამიანის კოლოსალური შრომის შედეგია: ვილაცამ აღმოაჩინა ელექტრონობა, ვილაცამ - ინდუქციურობა, მაგნიტური ველი, ელექტრო-მაგნიტური რხევები, რადიო, გამტარები, ნახევარგამტარობა, იზოლიატორები, რადიო-ელექტრო დეტალები: რადიო-ელექტრონული ლამპები, წინაღობა,

კონდენსატორი, ტრანსფორმატორი, ინდუქციური კოჭა; ნახევარ გამტარები: დიოდი, ტრანზისტორი. ვილაცამ შექმნა მიკროსქემა, ვილაცამ - მიკრო კონტროლიორი, პროცესორი, მეხსიერება (მეხსიერების ბარათები), ოპერატიული მეხსიერება (ელექტრო მეხსიერება) და ა.შ. მრავალი მეცნიერის მუშაობით შეიქმნა პირველი გამოთვლელი მანქანა (კომპიუტერის პირველი ანალოგი), რომელიც ათასობით კვადრატულ მეტრს იკავებდა და სამ სართულზე იყო განლაგებული. შემდგომში სხვა მრავალი მეცნიერების ათობით წლის მუშაობის შედეგად მივიღეთ პერსონალური კომპიუტერი, რომლის პროგრამული პროდუქტიც შექმნა კომპანია „მაკროსოფტმა“ და მისმა მფლობელმა ბილ გეიცმა მიიღო მილიარდობით დოლარის მოგება. მაკროსოფტმა „მოიმკო მოსავალი“, რომელიც მილიონობით ადამიანის, ათასობით მეცნიერის, ასობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალი წლის კოლოსალური შრომის შედეგია.

რამდენად სწორი და სამართლიანია რესურსების და სიკეთეების ამ სახით განაწილება? ცხადია, ასეთ პრაქტიკაში, სრულიად ლოგიკურად, ბევრი მითვისებას, ამორალურ და დანაშაულებრივ სქემას შენიშნავს. სამწუხაროდ, კაპიტალიზმი და თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა ასეთ ამორალურობას და უსამართლობას უშვებს საქმიანობის ყველა სფეროში და ვერანაირად ვერ არეგულირებს.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ მრავალსაუკუნოვანი აღმოჩენების გამოყენებით მოსარგებლე პირები „ძარცვავენ“, აღარიბებენ და ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ სწორედ იმათ, ან იმათ შთამომავლებს, ვინამაც ეს ყველაფერი შექმნა.

რა თქმა უნდა ბილ გეიცმა და მისწინებმა თავიანთი გონებრივი და ფიზიკური შრომის შედეგი (ანაზღაურება) აუცილებლად უნდა მიიღონ, უნდა მიიღონ საქმეში ჩადებულ კაპიტალზე გარკვეული მოგებაც, რისკების ფინანსური დაზღვევაც, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს გარკვეულ ზღვრებში მოქცეული და არა უსაზღვრო. არ შეიძლება დედამიწაზე არსებული სიმდიდრეების და სიკეთეების უდიდესი ნაწილი ერთეულების ხელში იყოს და მათ გამდიდრებას ხმარდებოდეს.

განაწილების ასეთ სისტემას განაპირობებს ეკონომიკურ თეორიებსა და გათვლებში დაშვებული მიუტევებელი უხეში შეცდომები, ამ შეცდომებზე შექმნილი ლიბერალური იდეოლოგია და ლიბერალური ეკონომიკური მოდელები.

უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების იდეოლოგიის ადამ სმიტის შეხედულებები დამახინჯებულია და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში სულს ხვაგვარად გამოიყენება, ვიდრე ამას თვითონ სმიტი განმარტავს. სმიტის ნაშრომის ანალიზის დროს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მისი ნააზრევი ბოლომდე არაა გააზრებული და მის ნააზრევი ვისაც როგორ უნდოდა, ისე გამოიყენა. სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის, ფილოსოფიის და მსოფმხედველობის მიმდინარეობებმა სმიტის სწავლებას თავის ინტერესების შესაბამისი ინტერპრეტაცია მისცეს და თავიანთი იდეოლოგიის სასარგებლოდ გამოიყენეს.

კარლ მარქსმა სმიტის სწავლებაზე, განსაკუთრებით შრომასთან დაკავშირებულ თეორიებზე, შექმნა კომუნისტური იდეოლოგია და სოციალისტური განვითარების საზოგადოებრივი მოდელი. კარლ მარქსი სინანულით აღნიშნავდა, რომ სმიტი თავის ნაშრომში არაფერს ამბობს და არ იხილავს „შრომის ექსპლოატაციას“. თუმცა, ადამ სმიტი განიხილავს „საზოგადოებრივი დოვლათის“ სწორად განაწილების პრინციპებს. აკრიტიკებს და წინააღმდეგია იმ ძალადობისა და მანკიერებისა, რასაც მეფე, მემამულეები, ზოგი ვაჭარი და კაპიტალის მფლობელები ჩადიან. ადამ სმიტის ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ იგი გამოდის არსებული რეალობიდან და საზოგადოების თითოეულ ამ ფენას თავის კვლევებში და თეორიებში ითვალისწინებს.

ამ შემთხვევაში, ადამ სმიტი მარქსისგან განსხვავებით, სწორ აქცენტებს აკეთებს. შრომის ექსპლოატაციას ადგილი არა აქვს (არგუმენტები იხ. ნიგნში ნ. დარბუაშვილი „ეკონომიკა და აზროვნება“). სამაგიეროდ ადგილი აქვს შექმნილი დოვლათის და ბუნებრივი რესურსების არასწორ განაწილებას და გამოყენებას, რასაც ადამ სმიტი საფუძვლიანად განიხილავს.

ლიბერალური ფილოსოფიის მიმდევრებმა ადამ სმიტის სწავლებიდან აიღეს მხოლოდ ის, რაც მათ აწყობდათ და საერთოდ არ მიაქციეს ყურადღება დანარჩენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს და ფასეულობებს. და აი, ასეთ, დამახინჯებულ სმიტის თეორიებზე შეიქმნა ლიბერალური იდეოლოგია და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა. ის იდეებიც კი, რომლებიც ლიბერალებმა სმიტისგან აიღეს დამახინჯებულად გამოიყენეს თავიანთი ინტერესების შესაბამისად. მაგალითად სმიტი ყველგან აღნიშნავს ხალხის და საზოგადოების კეთილდღეობას: „ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას არსებობისთვის და კომფორტისთვის ყველა საჭირო საგანს, რასაც იგი მოიხმარებს წლის განმავლობაში და რაც ყოველთვის შესდგება ან ამ შრომის უშუალო პროდუქტისგან, ანდა იმისგან, რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისგან. ამიტომ, იმის მიხედვით, უფრო დიდი თუ უფრო პატარა რაოდენობისაა ეს პროდუქტი ან ის, რაც მასზე გაცვლით მიიღება, იმათ რიცხვთან შედარებით, ვინაც იგი უნდა მოიხმარონ, ხალხი უკეთ ან უფრო ცუდად არის მომარაგებული ყველა იმ საგნებით, რომლებიც აუცილებელია არსებობისა და კომფორტისთვის და რომლებიც მას ესაჭიროება“ [1].

სმიტი, როგორც ნიგნის სათაურში, ისე მის შინაარსში მთავარ აქცენტს აკეთებს ხალხზე - საზოგადოებაზე და მათ კეთილდღეობაზე. ლიბერალები კი მთავარ აქცენტს აკეთებენ პიროვნების თავისუფლებაზე, მათი ქონების ხელშეუხებლობაზე და ამაზე აგებენ მთელ იდეოლოგიას.

აქვე, ცალკე უნდა განვიხილოთ იმ პერიოდის საერთაშორისო გაცვლებთან (საერთაშორისო ვაჭრობასთან) დაკავშირებული სმიტის გენიალური მიგნება, რომელიც ზემოთ მოყვანილ ციტირებაშია: „ყოველი ხალხის წლიური შრომა.....ყოველთვის შესდგება ან

ამ შრომის უშუალო პროდუქტისგან, ანდა იმისგან, რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისგან....“

ბევრი ეკონომიკის ექსპერტი, უცხოეთის ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ჩამოსული „მრჩეველი“ და „ჭკუის დამრიგებელი“ მიიჩნევენ და გვირჩევენ, რომ ის, რაც უცხოეთში ინარმოება ჩვენ აღარ უნდა ვანარმოოთ და უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ. სმიტის მოყვანილი ციტატიდან ცხადად და ნათლად ჩანს, რომ სხვა ხალხისგან (უცხოეთიდან) რომ რამე შემოვიტანო, შენი შექმნილი პროდუქტი უნდა გაიტანო და უცხოეთიდან მხოლოდ და მხოლოდ გატანილი პროდუქციის ღირებულების, ექვივალენტური ღირებულების იმპორტული პროდუქციის შემოტანა შეიძლება. ყველა სხვა შემთხვევაში ქვეყანა ვარდება ვალებში და უმძიმდება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. მდგომარეობა. არის გამოჩინების, - „უმანიტარული დახმარება“. ასეთი დახმარება კარგი და მისაღებია ბუნებრივი და არაბუნებრივი კატასტროფების დროს. სხვა შემთხვევაში, ეს „მათხოვრობაა“, რაც ცალსახად მიანიშნებს ქვეყანაში არსებულ უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე, არაორგანიზებულობაზე, ქვეყნის მიმართ უმრავლესობის გულგრილ დამოკიდებულებაზე, ხელისუფლების უნიათობასა და ქვეყნის მართვის აბსოლუტურ უუნარობაზე.

სმიტის შრომიდან ასევე კარგად ჩანს, რომ ხალხის კეთილდღეობას განაპირობებს მხოლოდ და მხოლოდ ამ ხალხის შრომით წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქცია და არაფერი სხვა.

უნდა გვესმოდეს და დავფიქრდეთ იმაზე, რომ უცხოეთში ყველაფერი ინარმოება. „კეთილმყოფელთა“ რჩევებს რომ ავყვეთ, მაშინ ჩვენ რა ვაკეთოთ? აღარაფერი ვანარმოოთ? თავის ნაშრომში ადამ სმიტი არსად წერს, რომ არ ვანარმოოთ ის, რაც უცხოეთში ინარმოება. ასე, რომ „ეკონომისტებმა“ და ეკონომიკის „ექსპერტებმა“, გაითვალისწინეთ, რომ: „ის რაც უცხოეთში ინარმოება, უცხოეთიდან შემოვიტანოთ და ჩვენ არ ვანარმოოთ“, ეს არის დიდი სისულელე, ცრუ მოსაზრების გავრცელება და ტირაჟირება, რომელიც დიდ ზიანს აყენებთ ჩვენს ქვეყანასა და მოსახლეობას.

უნდა ვანარმოოთ ყველაფერი, რაც უცხოეთში ინარმოება და რაც არ ინარმოება. უნდა ვანარმოოთ ყველაფერი, რასაც ვანარმოებდით, რისი ნარმოებაც დღეს შეგიძლია და რასაც მომავალში შევძლებთ ვანარმოოთ. უნდა ვანარმოოთ ყველაფერი, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებას. უნდა ვანარმოოთ ყველაფერი, რაც გაზრდის ექსპორტს და შეამცირებს იმპორტს. მხოლოდ ასე განვავითარებთ ქვეყანას, დანარჩენი ყველაფერი „ათასგვარი გზები“ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაზე და განვითარებაზე, „ფუჭი მოლოდინი“, „წყლის ნაყვია“ და სხვა არაფერი.

მცდარია იმათი ჩაგონებაც, ვინც მიიჩნევენ, რომ უცხოური პროდუქცია, თუ ადგილობრივზე უფრო იაფია, მაშინ ის უნდა შემოვიტანოთ.

ხელისუფალს უნდა ესმოდეს და „სპეციალისტებმა“

უნდა გაიგონ, რომ იმპორტი თუ არ არის დაბალანსებული ექსპორტით, დროთა განმავლობაში ეს მთლიანად ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას, მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს და ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის დევალვაციას. თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის დევალვაცია ქვეყანაში წარმოშობს მუდმივ ინფლაციას, ურთულეს პრობლემებს ფულის მიმოქცევაში და მწყობრიდან გამოჰყავს ქვეყნის ფულადი სისტემა, ამცირებს სამუშაო ადგილებს, მოქალაქეებს უცხოეთში საშოვარზე წასვლას აიძულებს; უკიდურესად ამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. მოკლედ რომ ვთქვათ, დაუბალანსებელი იმპორტი ანგრევს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკას, აზიანებს ქვეყნის არსებობის ყველა ფუნქციას და მთლიანად ქვეყანას. ამიტომ, უნდა შემოვიტანოთ მხოლოდ ის პროდუქცია, რომელიც აუცილებელია ქვეყნისათვის და რომლის წარმოებაც მას არ შეუძლია. აუცილებელია, რომ იმპორტის ღირებულება უცხოურ ვალუტაში დააბალანსოს ექსპორტით მიღებულმა უცხოური ვალუტის შემოსავლებმა. ქვეყანა ვითარდება მაშინ, როცა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო დადებითია. ქვეყნის მდგომარეობა უარესდება, როცა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო უარყოფითია. რეალურად, ყველაზე იაფი იმპორტული პროდუქცია, რაც არ უნდა იაფი იყოს ადგილობრივ ანალოგიურ პროდუქციაზე, ბევრად უფრო ძვირი უჯდება ქვეყანას და მის მოსახლეობას, ვიდრე ყველაზე ძვირი ანალოგიური სახის ადგილობრივი წარმოების პროდუქცია.

როგორ ვანარმოთ ადგილობრივი პროდუქცია?, ეს ცალკე განხილვის, ვრცლი და ყოვლისმომცველი ანალიზის თემაა. ჩვენზე ბევრად უფრო რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში და გაცილებით უფრო მძიმე სასტარტო პირობებში მყოფი ქვეყნები გამოვიდნენ მძიმე მდგომარეობიდან და განვითარებული და მაღალგანვითარებული ქვეყნები გახდნენ. მთავარია ის, რომ ქვეყანას მართავდეს ჭკვიანი და მცოდნე ადამიანები.

საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით: „ქვეყნის მართვას რა უნდა, მთავარია ხელისუფლებაში მოვიდნენ პატიოსანი და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები“. ეს არის კიდევ ერთი დიდი სისულელე. ქვეყნის მართვას პატიოსნებასა და ქვეყნის სიყვარულთან ერთად, ძალიან დიდი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება, ურთულესი პროცესების ორგანიზება და მართვა ჭირდება.

შორს რომ არ წავიდე, ჩვენივე ისტორია გვასწავლის: წინათ, ხევებსა და სოფლებში ირჩევდნენ ხევის ბერებს, სოფლის თავკაცებს, უხუცესებს, მახვშვებს და ა.შ. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, უხუცესი (ყველაზე ხანდაზმული), ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე, ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანები იყვნენ. ყველა საკითხს და პრობლემას ეს ადამიანები იხილავდნენ და წყვეტდნენ. მათ გადაწყვეტილებებს პრაქტიკულად კანონის ძალა ქონდა და ყველა ასრულებდა. ქვეყნის მართვა შეუდარებლად უფრო რთულია ვიდრე ნებისმიერი სოფლისა, ან თუნდაც ხევისა. ცოდნა და სხვა უნარები ქვეყნის მართვას გაცილებით დიდი ჭირდება.

უცოდინარის და გამოუცდელის მოსვლა (მოყვანა)

ხელისუფლებაში მარტო პატიოსნობის ნიშნით და იმის მოლოდინით, რომ „ნიჭიერია და მალე ისწავლის“ ან „დარგი არ იცის, მაგრამ ეყოლება მრჩეველები და პოლიტიკას გაატარებს“, ასეთი დამოკიდებულება ქვეყნის ბედით სახიფათო, საბედისწერო „თამაში“ უფროა, ვიდრე ქვეყნის მართვა. ასეთი პრინციპებით შერჩეული კადრები მხოლოდ და მხოლოდ ანგრევენ ქვეყანას და არაფერი სიკეთე მათ ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის არ მოაქვთ.

დაუბრუნდეთ სმიტის აზრებს და სწავლევას.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი რასაც სმიტი აღნიშნავს და ზემოთ მოყვანილ ციტატაშია მოყვანილი, „... არსებობისა და კომფორტისათვის ...“, სიტყვებია. ამით ადამ სმიტი განასხვავებს ადამიანის არსებობას - სიცოცხლის შენარჩუნებას და გაგრძელებას და კომფორტს - ანუ ყველაფერ დანარჩენს რასაც ადამიანი სიცოცხლის შენარჩუნება-გაგრძელების შემდეგ მოიხმარს: კეთილდღეობა, კულტურა, კულტურული დასვენება, სპორტი, ცივილიზაციის მიღწევები და ა.შ.

კომუნისტურ იდეოლოგიაში ჩადებული იყო ადამიანის არსებობა გარანტირებული დასაქმებით, სახელმწიფო წარმოებების შექმნით და მინიმალური ფასებით, ფასების სახელმწიფო რეგულირებით, მინიმალურ დონეზე შენარჩუნებით. რაც უზრუნველყოფდა ადამიანის სიცოცხლის, არსებობის და სიცოცხლის გაგრძელების მყარ გარანტიებს.

ლიბერალური იდეოლოგია სიცოცხლის არსებობისა და გაგრძელების გარანტიებს არ იძლევა. ეს იდეოლოგია უმუშავრად და უსახსროდ დარჩენილ ადამიანს იდეოლოგიურ დონეზე არაფერს არ სთავაზობს. სამუშაო, ეს იდეოლოგია, არც თვითონ არაფერს არ აკეთებს ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, არც მძიმე მდგომარეობაში, არსებობის სახსრების გარეშე დარჩენილ ადამიანს სთავაზობს რაიმე გამოსავალს. ანუ ამ იდეოლოგიაში არ არის ჩადებული ადამიანის არსებობის და სიცოცხლის გაგრძელების გარანტიები.

დაუბრუნდეთ ადამ სმიტის გენიალურ ნაშრომს. ადამ სმიტი დოვლათის შექმნის მთავარ ფაქტორად მიიჩნევს „პროდუქტიულ შრომას“ და მშრომელს: „**შრომა განსაზღვრავს არა მარტო ფასის იმ ნაწილის ღირებულებას, რომელიც შრომის ხელფასზე მოდის, არამედ იმ ნაწილების ღირებულებასაც, რომლებიც რენტასა და მოგებაზე მოდის**“ [1].

ლიბერალური იდეოლოგიაში „შრომა“ - სამუშაო ძალა და „მშრომელი“ - სამუშაო ძალის მფლობელი, არანაირ ღირებულებას და ეკონომიკურ ფაქტორს არ წარმოადგენს. მათი იდეოლოგიით „მშრომელი“ ჩვეულებრივი ადამიანია და ადამიანის უფლებების, თავისუფლების და საკუთრების დაცვა მასაც ისევე ეხება, როგორც ყველა სხვა ადამიანს. ლიბერალური იდეოლოგიით მნიშვნელოვანი და მთავარია, რომ ადამიანი არ შეიზღუდოს „თავისუფალ არჩევანში“, ანუ სხვადასხვა სახის არჩევანის გაკეთების დროს ადამიანზე არ იყოს ძალადობა და ზეწოლა. ლიბერალური იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა, ყველა სხვა საზოგადოებრივი წყობისგან განსხვავებით,

ადამიანს არ უქმნის „საარსებო გარემოს“ ანუ ადამიანის არსებობისთვის მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს. ყველა სხვა საზოგადოებრივი წყობის დროს ადამიანს ან თვითონ საზოგადოება, ან ისინი ვისი საკუთრებაც ეს ადამიანები იყვნენ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აუცილებელ საარსებო გარემოს უქმნიდა, რაც სიცოცხლეს და არსებობას უზრუნველყოფდა. ზოგ შემთხვევაში ცხოვრების პირობები მძიმე და გაუსაძლისი იყო, მიუხედავად ამისა, მათ სიცოცხლის შენარჩუნების და არსებობის პირობები გარანტირებული ქონდათ.

ლიბერალური იდეოლოგიის და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ყველა სხვა საზოგადოებრივი წყობა ანტიადამიანური, დიქტატორული, კაცთმოძულე, ადამიანის არსებობის საწინააღმდეგო წყობებია. მათი მტკიცებით, მონა მონათმფლობელისათვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ მონათმფლობელი საშინელ პირობებში ამყოფებდა და მათრახის ქვეშ ამუშავებდა, უკრძალავდა გამრავლებას და ა.შ. მონა, მონათმფლობელობის დროს ერთერთ ყველაზე ძვირად ღირებული საქონელი იყო, იგი ბევრად ძვირი იყო ვიდრე ცხენი. ნებისმიერი ადამიანი თავის ქონებას უვლის და უფრთხილდება, რაც უფრო ძვირია საქონელი მით უფრო მეტად უვლის და უფრთხილდება მისი პატრონი. რატომ არ მოუვლიდა ძვირად ღირებულ ქონებას მონათმფლობელი? რატომ აუკრძალავდა მონათმფლობელი მონას გამრავლებას, როცა ამით მისი ქონება სერიოზული დანახარჯების გარეშე მნიშვნელოვნად იზრდებოდა?

როგორც ავლნიშნეთ, ლიბერალები გარანტირებულ საარსებო გარემოს და ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს ადამიანს არ სთავაზობენ. ლიბერალური იდეოლოგიის თანახმად: ადამიანის თავისუფლება, თავისუფალი არჩევანი, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანაბრობა, რასაც ისინი „დემოკრატიას“, ანუ „ხალხის ნებას“ უწოდებენ, საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი თვითონ, დამოუკიდებლად განვითარდეს და თვითონ იზრუნოს საკუთარ თავზე და ოჯახზე. ამ წყობაში და იდეოლოგიაში არავინ არაა ვალდებული იზრუნოს სხვაზე თუ ამის კეთილი ნება არ არსებობს. ლიბერალურ იდეოლოგიაში, რელიგია, ადათჩვევები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ზნეობრივი და მორალური ნორმები პრაქტიკულად იგნორირებულია. ლიბერალიზმი ღიად და დაუფარავად ებრძვის ყველაფერს რაც მათ იდეოლოგიას ეწინააღმდეგება და ეგრეთწოდებულ „დემოკრატიის“ ნორმებში არ ჯდება: რელიგიას, ადათჩვევებს, ტრადიციებს, ოჯახის ინსტიტუტს და ა.შ. მათი იდეოლოგიის ერთერთი მთავარი ლოზუნგია ადამ სმიტისეული გამონათქვამი: „ყოველი ადამიანი მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე“

ხშირად, უმუშევარი ადამიანი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და ოჯახის არსებობისათვის იძულებულია დათანხმდეს შრომის უმძიმეს, არც თუ იშვიათად ღირსებისა და თავმოყვარეობის შემლახავ პირობებს. ამ შემთხვევაში, ლიბერალური იდეოლოგიის თანახმად, ადამიანის უფლებები არ ირღვევა, იმიტომ, რომ ადამი-

ანს არავინ არ აიძულებს მონაწილეობას ხელი ასეთი მძიმე პირობების, „შრომით კონტრაქტს“ და ის, ადამიანი, ამ შემთხვევაში „თავისუფალ არჩევანს“ აკეთებს. რეალურად, არსებული ცხოვრება, არ არსებული „საარსებო გარემო“, საკუთარი „კუჭი“ და ოჯახი აიძულებს ადამიანს, რომ უმძიმეს, ხშირად სიცოცხლისათვის დიდი საფრთხის შემცველ პირობებს დათანხმდეს. ეს „მონობაზე“ გაცილებით უარესია, თუმცა ლიბერალური იდეოლოგიით ეს „დემოკრატიის“ ნორმებში ჯდება.

უმუშევარ ადამიანს ლიბერალური იდეოლოგიის ხელისუფლებები ზოგჯერ სთავაზობენ თავისი საქმე, ბიზნესი დაიწყოს და ამისთვის ქმნიან სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს. მაგრამ, ბიზნესის დაწყებას დიდი პროფესიული უნარები, მაღალი დონის ზოგადი განათლება, ადამიანებთან მიდგომა - ფსიქოლოგიის ცოდნა და ბევრი სხვა სახის განათლებაჭირდება. კარგი განათლების მიღება ძალიან ძვირი ჯდება. მაღალი დონის განათლების მიღება კი კიდევ უფრო ძვირი ჯდება და მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს თუ შეუძლიათ. გარდა განათლებისა, ბიზნესში წარმატების მიღწევას თავისებური განსაკუთრებული „აღლო“ და „მარიფატი“ ჭირდება, რასაც ვერანაირი განათლება ვერ იძლევა, ეს თვისებები ან ბუნებრივად არის ადამიანში ან არ არის, ასეთი უნარები და თვისებები, იშვიათობაა და ცალკეულ ადამიანებს თუ გააჩნიათ.

საარსებო გარემოს არ არსებობის გამო უმუშევრად დარჩენილი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. განსაკუთრებით მძიმე და გამოუვალი მდგომარეობაა მაშინ, როდესაც სამსახურს კარგავს და ახალ სამსახურს ვერ შოულობს ოჯახის მარჩენალი, ანუ ადამიანი რომელიც ზრდიის შვილებს და ზრუნავს მოხუც მშობლებზე. ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ასეთი ადამიანები საკუთარ საქმეს (ბიზნესს) იწყებენ ისე, რომ ამის არც ცოდნა და განათლება, არც არანაირი უნარჩვევები და არც გამოცდილება არ გააჩნიათ. ასეთი „ბიზნესები“, ცალკეული, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კრახით და გაკოტრებით მთავრდება. იმათ, ვინც ასე იწყებს ბიზნესს და კოტრდებიან, მოგების მაგივრად დიდი ვალეები რჩებათ და იმასაც კარგავენ. რაც ბიზნესამდე ქონდათ. სოციალური მდგომარეობა ასეთ ადამიანებს უკიდურესად უმძიმდებათ და არსებობის არანაირი შესაძლებლობა აღარ აქვთ. ხშირად, როცა ქვეყანაში დიდი უმუშევრობაა, ასეთი, სამუშაოს მაძიებელი „ბიზნესმენები“ ერთმანეთს უწევენ კონკურენციას და ერთმანეთს აკოტრებენ, ეს კიდევ ერთი ცალკე პრობლემაა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში „გაუაზრებელი ბიზნესისგან“ არანაირი დაზღვევა და ადამიანთა დაცვა არ არსებობს. პირიქით, ზოგ ქვეყანაში „მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებით“ და ამ პროგრამების განხორციელების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, თვითონ ხელისუფლება უკეთებს მძიმე ნეგატიურ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს ინიცირებას.

არც ლიბერალური იდეოლოგია გვთავაზობს „გაუაზრებელი ბიზნესისგან“ რაიმე დაზღვევას და დაცვას. ადამიანმა ბიზნესის დაწყების დროს ყოველგვარი ზენოლის გარეშე „თავისუფალი არჩევანი“ გააკეთა, ეს კი

„დემოკრატია“, „დემოკრატია“, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს, რაც ადამიანის ფიზიკურად არსებობას და განვითარებას ჭირდება.

რა არის არჩევანის გაკეთება და თავისუფალი არჩევანი?

ადამიანს მუდმივად უნევს არჩევანის გაკეთება. არჩევანის გაკეთება ნიშნავს, რომ ადამიანი, სხვადასხვა სიმრავლიდან (სხვადასხვა შესაძლებლობიდან), ამ სიმრავლის ერთ ან რამდენიმე ელემენტს ირჩევს. მაგალითად, როდესაც რაიმეს ყიდულობს, ვთქვათ, ვაშლს. ვაშლთა სიმრავლიდან ადამიანი გარკვეულ რაოდენობას ირჩევს და ყიდულობს. ამ არჩევანს კი ცოდნა ჭირდება: რა ჯიშის ვაშლი უნდა იყიდოს, რა მიზნებისათვის, რა სიდიდის, რა რაოდენობის, რა ხარისხის, რა ფასად, როგორია სხვა ადგილებში იგივე ვაშლის ფასი და ა.შ. როგორც ხედავთ, ელემენტარულ ოპერაციას-არჩევანს, ვაშლის ყიდვას, სერიოზული ცოდნა ჭირდება. ასევეა ნებისმიერი სხვა არჩევანის დროს.

მოვიყვანოთ არჩევანის გაკეთების კიდევ ერთი მაგალითი. როდესაც ადამიანი საუბრობს, სხვას რომ თავისი აზრი გადასცეს, სიტყვათა სიმრავლიდან არჩევს გადასაცემი აზრის შესაბამის სიტყვებს, ადგენს წინადადებებს და ა.შ. ნებისმიერი მოქმედების დროს, პრაქტიკულად ყოველ წამს, ადამიანი აკეთებს არჩევანს.

ნებისმიერი არჩევანის გაკეთებისას, არსებული ვითარების ანალიზი და ლოგიკური აზროვნებაა საჭირო. გააზრებულ, სწორ და ლოგიკურ არჩევანს მხოლოდ განათლებული ადამიანი აკეთებს. რაც უფრო მნიშვნელოვანია საკითხი სადაც არჩევანი უნდა გაკეთდეს, (გადანყვეტილება მიიღოს), მით უფრო მეტი ცოდნა და განათლებაა საჭირო. რთული არჩევანის გაკეთებას და გადანყვეტილებების მიღებას, კი მნიშვნელოვანი ცოდნა, სერიოზული განათლება და დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჭირდება.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ არჩევანის გაკეთება აზრის გადმოცემის დროს. ეს არის შედარებით მარტივი არჩევანის მაგალითი, რომელსაც ჯამრთელი გონების მქონე ყოველი ადამიანი ყოველწამიერ აკეთებს. თუმცა, გადმოცემული აზრი რამდენად სწორი, მნიშვნელოვანი, ნონიანი, ან გენიალურია, დამოკიდებულია აზრის გადმოცემის ინტელექტზე, განათლების დონეზე, ცხოვრებისეულ პრაქტიკულ გამოცდილებაზე და ამ ყველაფრის სწორად გამოყენებაზე, ანუ აზროვნების დონეზე.

არჩევანის გაკეთების დროს ადამიანს შეცდომებიც მოსდის, ანუ არასწორ არჩევანს აკეთებს. ყველაზე გენიალური აზროვნების ადამიანებიც კი შეცდომებს უშვებენ. აქსიომური ჭეშმარიტებაა ის, რომ რაც უფრო დაბალია ადამიანის ინტელექტის დონე (განათლება და პრაქტიკული გამოცდილება), მით უფრო მეტ და დიდ შეცდომებს უშვებს. რაც უფრო მეტია ადამიანის ინტელექტუალური დონე, მით უფრო ნაკლებია შეცდომები, მაღალი ინტელექტის ადამიანი კი იშვიათად უშვებს შეცდომებს. შეცდომების გასწორება შეიძლება, თუმცა ამასაც ნიჭი და ინტელექტი ჭირდება. რაც უფრო მძიმეა დაშვებული შეცდომა, მით უფრო რთულია, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა მათი გასწორება.

მაგალითად, ავიღოთ ისევ ბიზნესის დაწყება, ვინაიდან ბევრი ადამიანი სწორედ აქ უშვებს დიდ და უხემ, ფატალურ შეცდომებს. ბიზნესის დაწყება ადამიანს, წარმატებული ბიზნესი რომ ქონდეს, უნდა იცოდეს: ტექნიკური საშუალებების და მატერიალური რესურსების მართვა, მათი თვისებები და თავისებურებები; პერსონალის შერჩევა და შრომითი რესურსების მართვა; ადამიანთან მიდგომები, ანუ ადამიანის ფსიქოლოგია; იურიდიული საკითხები; სხვადასხვა სახის კანონები; აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხები; სტატისტიკა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და მათი სწორად გამოყენება; ეკონომიკა და ეკონომიკური ანალიზი; სხვადასხვა ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესები; ორატორობა-ორატორული უნარები; შრომის და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზება და მართვა და უამრავი სხვა საკითხი. მსხვილ კომპანიებში თვითოეულ აქ ჩამოთვლილ პოზიციას სხვადასხვა სამსახურები მართავენ. მცირე ბიზნესის შემთხვევაში კი რამოდენიმე კაცი. მსხვილ კომპანიასთან შედარებით, დაბალი შემოსავლების გამო, მცირე ბიზნეს არ შეუძლია სხვადასხვა სამსახურების და სპეციალისტების ყოლა, სწორედ ამიტომ, მცირე ბიზნესის მართვა არა ნაკლებ რთულია, ზოგჯერ კი უფრო რთულიცაა ვიდრე მსხვილი ბიზნესისა.

ჩვენ ზემოთ არაერთგან ვისაუბრეთ პრაქტიკულ გამოცდილებაზე, მაგალითად, ავლნიშნეთ, რომ დაწყებ ბიზნესსმენს დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჭირდება. დაკვირვებულ მკითხველს დაებადება კითხვა: საიდან უნდა ქონდეს დიდი პრაქტიკული გამოცდილება დაწყებ ბიზნესსმენს?

რა თქა უნდა ყველაზე კარგი, ის პრაქტიკული გამოცდილებაა რომელსაც ადამიანს საკუთარი გავლილი ცხოვრება აძლევს. ამის გარდა, პრაქტიკული გამოცდილება შეიძლება მიიღოს სხვების გამოცდილების საფუძვლიანი შესწავლით, სხვების წარმატებების და შეცდომების (წარუმატებლობის) ანალიზით. ყველასთვის კარგადაა ცნობილი ანდაზა: „ჭკვიანი სხვების შეცდომებზე სწავლობს, სულელი საკუთარ შეცდომებზეც არაო.“ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვისი გამოცდილების შესწავლასაც სერიოზული განათლება ჭირდება.

როგორც ხედავთ, „თავისუფალი არჩევანის“ გაკეთებას მაღალი დონის ინტელექტი ჭირდება, ამას კი მძლავრი განათლების სისტემა, განათლების მიღებაზე თავისუფალი წვდომა, სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, მთელი საზოგადოების ძალისხმევა და სახელმწიფო პოლიტიკა ჭირდება. ლიბერალურ იდეოლოგიაში არაფერი მსგავსი არ არის, აღნიშნულიდან გამომდინარე, „თავისუფალი არჩევანის“, გაკეთება ლიბერალების დეკლარირებული ფალსიფიკაცია უფროა, ვიდრე რეალობა.

ადამს სმიტს განათლება და მისი მნიშვნელობა, განათლების მიღების აუცილებლობა, საზოგადოების დაბალი ფენების განათლების მიღების შესაძლო მექანიზმები, საზოგადოების ინტელექტის ამაღლების შესაძლებლობები და ა.შ., ცალკე არა აქვს განხილური. თუმცა, ვრცლად იხილავს ერის ინტელექტის და კეთილდღეობის

ურთიერთკავშირს, რითაც ხაზს უსვამს განათლებას და მის მნიშვნელობას. განიხილავდა, რა ერის კეთილდღეობის საკითხებს, ნარმოებული პროდუქციის და მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებას (თანამედროვე ტერმინებით ერთ სულ მოსახლეზე ნარმოებული პროდუქციის რაოდენობას), დასაქმებულთა და უმუშევართა (კმაყოფაზე მყოფთა) ფარდობას და ყოველივე აქედან გამომდინარე კეთილდღეობის დონეს, სმიტი ცოდნისა და განათლების შესახებ აღნიშნავს შემდეგს:

„... მაგრამ ეს შეფარდება ყოველ ხალხში დამოკიდებულია ორ სხვადასხვა გარემოებაზე: ჯერ ერთი, დახელოვნებასა, ხელმარჯვობასა და საზრიანობაზე, რომლითაც საერთოდ სწარმოებს ხალხის შრომა, და, მეორე, შეფარდებაზე იმათ რიცხვსა, რომელნიც სასარგებლო შრომას ეწევიან, და იმათ რიცხვს შორის, რომელნიც ასეთ შრომაში არ არიან ჩაბმულნი. როგორც უნდა იყოს ამა თუ იმ ხალხის მიწა, ჰავა ან ტერიტორიის სივრცე, ყოველთვის მისი წლიური მომარაგების სიუხვე ან ნაკლებობა, ამ განსაკუთრებულ პირობებში, იმ ორ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული“ [1, 3].

იქვე ადამ სმიტი აღნიშნავს:

„... ამ მომარაგების სიუხვე ან ნაკლებობა, როგორც სჩანს, დამოკიდებულია უფრო პირველ გარემოებაზე, ვიდრე მეორეზე. ...“ [1, 4].

როგორც ვხედავთ, ადამ სმიტი გვასწავლის, რომ რაც არ უნდა დიდ ტერიტორიებს ფლობდეს ხალხი, რაც არ უნდა დიდი იყოს ბუნებრივი სიმდიდრეები და როგორც არ უნდა იყოს დასაქმებულთა და კმაყოფაზე მყოფთა (უმუშევართა) შეფარდება, ამ ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი ერის და მისი თვითოეული წევრის ინტელექტის (განათლების) დონეა.

იმ პერიოდში მოსახლეობის განათლების არანაირი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობდა, ალბათ ამიტომ ადამ სმიტი დაბეჯითებით და ხაზგასმით არ აღნიშნავს განათლების მნიშვნელობას და ძალიან მოზომილად საუბრობს, ამაზე მეტყველებს სიტყვები „როგორც ჩანს“. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს. ციტატიდან კარგად ჩანს, რომ სმიტი ხვდება განათლების მნიშვნელობას და მას, მართალია, ვარაუდის დონეზე, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე წინ აყენებს.

განათლების და ინტელექტის მაღალი დონე ზრდის პროდუქციის რაოდენობას, ხარისხს, სწორ გამოყენებას, ეფექტიანობას, ხანგრძლივი მოხმარების საგნების მოვლას, ექსპლოატაციის პერიოდის გახანგრძლივებას და ა.შ., რაც უფრო მაღალია საზოგადოების განათლება და ინტელექტი მით უფრო ეფექტურად გამოიყენება ეკონომიკური რესურსები და მით უფრო ეფექტურად და ეკონომიურად მიიღწევა საზოგადოების კეთილდღეობის მაღალი დონე.

შემდგომში, ადამ სმიტი დანვრილებით იხილავს თუ როგორ ხდება მაღალკვალიფიციური „სპეციალისტის“ ჩამოყალიბება, მაშინ არსებული „სახალხო“ სწავლების მიხედვით. მაგალითად, აღნისნავს, რომ შეგირდი (დამწყები ხელოსანი „მოსწავლე“) რომ ოსტატი (ხელოსანი) გახდეს, 4-5 წელი ჭირდებოდა. ერთ ოსტატს ერთდროულად 2 შეგირდზე მეტის ყოლის უფლება არ ქონდა.

ოსტატს შეგირდისთვის, ხელობის გარდა, უნდა გადაეცა ყველაფერი, რაც იცოდა (თვლა, წერა-კითხვა, პატიოსანი ცხოვრების წესები და ა.შ.). თუ შეგირდი ცუდი ხელოსანი, ან ცუდი ადამიანი დადგებოდა, ოსტატს ეკრძალებოდა შეგირდების აყვანა, უარეს შემთხვევაში კი, საქმიანობაც. ოსტატი რომ ამქარი (ოსტატების ზედამხედველი) გამხდარიყო, 6-7 წელი ოსტატად უნდა ემუშავა და 3 ოსტატი მაინც უნდა ყოლოდა გაზრდილი, ამქარს უკვე ერთდროულად 4 შეგირდის ყოლის უფლება ქონდა. ამქარი რომ ამქართ-ამქარი (ქართულად „უსტაბაში“, ტიტული და თანამდებობა, რომლის მქონეც წესებს აწესებდა, პროცესებს აკონტროლებდა, ცოდნას ამომწებდა და ნოდებებს აძლევდა) გამხდარიყო, 10 წელი ამქარი უნდა ყოფილიყო. ადამ სმიტი ამ ყველაფერს დანვრილებით აღწერს და დღევანდელი გადასახედიდანაც ძალიან საყურადღებოა იმის კრიტიკული გააზრება, მაღალკვალიფიციური, პატიოსანი და წესიერი სპეციალისტების გაზრდის და კარიერული წინსვლის თუ რა დონის დახვეწილი სისტემა არსებობდა.

დღეს ამ დონეზე დახვეწილი განათლების სისტემები არ გვაქვს!!

შემდგომში, სმიტი განიხილავს და ერთმანეთს ადარებს ინტელექტუალურ (განვითარებულ) ხალხს და დაბალ განვითარებულ ხალხს (ველურ ტომს). აღნიშნავს, რომ განვითარებული ხალხი ბევრად უფრო ნაკლები შრომით ახერხებს ნორმალურ ცხოვრებას. ნორმალური ცხოვრება აქვს არა მხოლოდ იმას, ვინც მუშაობს, არამედ მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებსაც, ანუ ოჯახს (მშობლები, შვილები, მეუღლე და ა.შ.). იხილავს, რა ველური ტომის ცხოვრებას, სმიტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ველური ტომები თავისი დროის დიდ ნაწილს ნადირობაზე, თევზჭერაზე, სხვა საკვების მოგროვებაზე და სხვა სამუშაოებზე ხარჯავენ, მათ არ ყოფნით მოპოვებული საკვები ოჯახის გამოკვებაზე და იძულებული არიან მოხუცებული მშობლები, ახალშობილი ბავშვები და სხვა შრომის უუნარო ოჯახის წევრები ტყეში მიატოვონ დასაღუპად და ნადირთა საკვებად. სმიტი აღნიშნავს, რომ ასეთი რამ ცივილიზებულ, განვითარებულ ხალხებში არ ხდება.

ადამ სმიტი, მართალია, ცალსახად არ იძახის, რომ განვითარებულ ხალხში თავის უძღურ და უმუშევარ წევრებს არ ხოცავენ, მაგრამ მის სწავლებაში ერთმნიშვნელოვნად იკითხება, ის რომ განვითარებული ხალხები მის უძღურ და უმწეო წევრებზე ზრუნავენ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ „ქვეყნის განვითარების დონე განისაზღვრება იმით, თუ როგორია ამ ქვეყანაში ბავშვების და მოხუცების მდგომარეობა“.

ამ დროს რა ხდება თანამედროვე „საბაზრო ეკონომიკაში“?, თანამედროვე „დემოკრატიის“ პიობებში? ლიბრალური იდეოლოგია და კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა იდეოლოგიურ-სისტემურ დონეზე არანაირ გარანტიებს არ იძლევა უმწეოდ დარჩენილი ადამიანის საზოგადოების, ან სისტემის მხრიდან ყურადღების მიქცევაზე. დღევანდელ რეალობაში არაერთი შემთხვევაა, როცა სამედიცინო დაწესებულებებში სიცოცხლის უზრუნველყოფის აპარატზე მიერთებულ უმწეო

ადამიანებს, აპარატს უთიშავენ და კლავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტის ახლობლებს არ გააჩნიათ ასეთი სახის სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდის საშუალება. ეს არის ჩვეულებრივი მკვლელობა, ზუსტად ისეთი, როგორსაც ჩადიდონენ ველური ტომები საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ, იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში, შედარებით უფრო ჰუმანურად ხდება მკვლელობა, ტყეში არ გაყავთ და იქ არ ტოვებენ.

ამის გარდა, სტატისტიკურად ფიქსირდება ბავშვების შიმშილით სიკვდილის ფაქტები. ათასობით ადამიანი იღუპება უნამლობით, სამედიცინო მომსახურების ხელმიუწვდომლობით, შიმშილით, არასრულფასოვანი კვებით გამოწვეული ორგანიზმის გამოფიტვით, არასრულფასოვანი კვებით სხვადასხვა ავადმყოფობების განვითარებით, უყურადღებობით და ა.შ. შედეგად. თანამედროვე საზოგადოება-სახელმწიფო, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, ლიბერალური იდეოლოგია, კაპიტალისტური სისტემა, ასეთ შემთხვევებზე არაფერს არ გვეუბნევა და არც არაფერს არ გვთავაზობს.

აი, რას იძახის სმიტი საზოგადოებაზე და ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებზე:

„თითოეულ მშრომელს აქვს თავის განკარგულებაში თავისი საკუთარი ნაწარმოების დიდი რაოდენობა იმაზე მეტად, რაც მას თვითონ ესაჭიროება; და რადგან ყველა მშრომელი სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, მას შესაძლებლობა აქვს თავის ნაწარმოებთა დიდი რაოდენობა გასცვალოს სხვების ნაწარმოებთა დიდ რაოდენობაზე ანუ, რაც იგივე არის, ამ ნაწარმოებთა ფასზე. იგი უხვად აწვდის სხვებს იმას, რაც მათ ესაჭიროებათ, და ისინი მას იმავე ზომით აწვდიან, რაც მას სჭირდება, და ამგვარად საყოველთაო კეთილმდგომარეობა ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენებში“ [1, 11].

როგორც ციტატიდან კარგად ჩანს, ეკონომიკურ ურთიერთობებში მთავარ ფუნქციას ასრულებს რეალური პროდუქტის შემქმნელი მშრომელი ადამიანი. ფული მხოლოდ დამხმარე საშუალებაა ამ ურთიერთობებში. ამ ეკონომიკურ ურთიერთობებში ვაჭარი შუამავლის ფუნქციას ასრულებს, კაპიტალისტისგან მშრომელი ადამიანი ხელსაწყობებს, იარაღს და სანარმოო მანქანებს იღებს, მემამულისგან მინას არენდით, მევახშისგან (თანამედროვეობაში ბანკირისგან) ფულს საჭიროების შემთხვევაში. სმიტი თვლის, რომ ვაჭარმა, მემამულემ, კაპიტალისტმა და მევახშემ მშრომელი ადამიანის შემოსავლებიდან თავისი სარგებელი უნდა მიიღოს, ვინაიდან ისინი ეხმარებიან მშრომელ ადამიანს შრომის გაიოლებაში, პროდუქციის მიღებაში, ხარისხის ამაღლებაში, პროდუქციის რაოდენობის ზრდასა და გაცვლის პროცესში. სწორედ ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობებს საზოგადოების წარმოშობას და არსებობას. ერთი ადამიანი ყველაფერს თვითონ ვერ აწარმოებს, საჭიროა სხვებიც, ანუ საზოგადოება და სხვადასხვა ადამიანების წარმოებული პროდუქციის ერთმანეთში გაცვლა. სმიტის მტკიცებით ასე იქმნება საერთო-საყოველთაო კეთილდღეობა.

რა ხდება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში? აქ

ყველაფერი პირიქითაა, ვიდრე სმიტის სწავლებაშია. მთავარი ფულია, დიდი ფულის და დიდი კაპიტალის მფლობელი. შექმნილი დოვლათის დიდი ნაწილი მათ მიაქვთ. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი უმუშევარია და ლუკმაპურის გარეშეა დარჩენილი. მოსახლეობის მცირე ნაწილი უზომოდ მდიდრდება, მოსახლეობის დიდი ნაწილის უზომოდ გაღარიბების ხარჯზე.

დღეს ბევრს დაობენ იმაზე უნდა იყიდებოდეს თუ არა მინა. აი რას წერს მინის შესახებ ადამ სმიტი:

„მას შემდეგ, რაც მთელი მინა ამა თუ იმ ქვეყანაში კერძო საკუთრებად იქცა, მემამულეებს, ყველა სხვა ადამიანთა მსგავსად, უყვართ მომკონ იქ, სადაც არ უთესნიათ, და ისინი მინის ბუნებრივი პროდუქტისთვისაც კი რენტას მოითხოვენ. ახლა მყარდება განსაზღვრული დამატებითი ფასი ხისთვის ტყეში, ბალახისთვის მინდორში და მინის ყველა ბუნებრივი ნაყოფისთვის, რომელიც წინათ, როდესაც მინა საერთო საკუთრებას შეადგენდა, მშრომელს არა უღირდა რა, გარდა იმ შრომისა, რომელიც მის მოგროვებას სჭირდებოდა. მშრომელმა ახლა სასყიდელი უნდა იხადოს იმ ბუნებრივ ნაყოფთა მოგროვების ნებართვაში და მემამულეს უნდა აძლიოს ნაწილი იმისა, რასაც მისი შრომა მოაგროვებს ან აწარმოებს. ეს ნაწილი ანუ, რაც იგივეა, ამ ნაწილის ფასი შეადგენს მინის რენტას, და ეს რენტა შეადგენს მეტწილ საქონელთა ფასის მესამე შემადგენელ ნაწილს“ [1, 39].

ამ ციტატიდან კარგად ჩანს, რომ სმიტი არ მიესალმება მემამულეთა საკუთრებაში მინების გადასვლას და მათ თავგასულობას, პირიქით, ხაზგასმით და დადებითად აღნიშნავს იმ პერიოდს, როცა მინა საერთო საკუთრება იყო და პროდუქტების შეგროვებაზე და მიღებაზე მშრომელ ადამიანს საკუთარი შრომის გარდა სხვა ხარჯი არ ქონდა. ციტატიდან კარგად ჩანს, რომ ადამ სმიტი არ მიესალმება მინაზე კერძო საკუთრებას.

ადამ სმიტის ამ ციტატაში კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი მიგნებაა, როცა ის ამბობს: „... მემამულეებს, ყველა სხვა ადამიანთა მსგავსად, უყვართ მომკონ იქ, სადაც არ უთესნიათ,“ ... ამ ციტატაში უაღრესად მნიშვნელოვანია სმიტის სიტყვები: „... ყველა სხვა ადამიანთა მსგავსად,“ ..., ამით სმიტი ხაზგასმით აღნიშნავს რომ ყველა ადამიანი თავისი ბუნებით მომხვეჭელი და მოძალადეა. ჩვენი მხრიდან მცირედ შესწორებას შევიტანდით გენიალური მეცნიერის მიგნებაში, ყველა ადამიანი ალბათ არა, მაგრამ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისი ბუნებით მომხვეჭელი და „მტაცებელია“, ასეთები მზად არიან თავიანთ ინტერესებს და კეთილდღეობას შესწირონ ყველა და ყველაფერი. ადამიანთა ასეთი „ველური“ თვისებების აღკვეთის საშუალება საზოგადოებაა, საზოგადოების ინტერესები და საზოგადოებრივი კანონებია. ასეთ გამოვლინებებთან ბრძოლა და პრევენცია კი კანონებით და კანონთა აღსრულების მწყობრი, დახვეწილი სისტემით შეიძლება.

ამ დროს რას გვთავაზობს ლიბერალური იდეოლოგია, „პიროვნების თავისუფლებას“, პიროვნება და მისი ინტერესებია მთავარი და არა საზოგადოების ინტერესები.

აქედან გამომდინარეობს უმცირესობათა დომინირება უმრავლესობაზე და ცალკეულ ადამიანთა ინტერესების, საზოგადოებრივ ინტერესებზე უფრო წინ დაყენება. ასეთი იდეოლოგია შლის წითელ ხაზებს და ფართო ასპარეზს აძლევს ადამიანის „მომხვეჭელურ“, „ველურ“, „მტაცებლურ“ ბუნებას, რაც ანგრევს საზოგადოებას, საზოგადოებრივ ინტერესებს, საზოგადოებრივ კანონებს და ყველაფერ იმას, რაც საზოგადოებასთანაა კავშირში, მათ შორის, სახელმწიფოს.

ადამ სმიტი საუბრობს უცხოურ ინვესტიციებზეც. უცხოურ ინვესტიციებს სმიტი პირდაპირ არ განიხილავს, ეს შეუძლებელიც იყო, ვინაიდან იმ პერიოდში უცხოური ინვესტიციები ჩანასახურ მდგომარეობაში იყო, თუმცა სმიტის სწავლებიდან ამაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ. აი რას ვკითხულობთ სმიტის სწავლებაში ვაჭრობის განხილვისას:

„ვაჭარი, როგორც ეს სრულის სისწორით აღუნიშნავთ, არაა აუცილებლად ერთი განსაზღვრული ქვეყნის მოქალაქე. მისთვის უაღრესად სულერთია, თუ რომელი ადგილიდან ეწევა იგი თავის ვაჭრობას, და სრულიად უმნიშვნელო უსიამოვნებას შეუძლია აიძულოს იგი ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაიტანოს თავისი კაპიტალი და მასთან ერთად მთელი ის მრეწველობაც, რომელსაც ის კაპიტალი ჰკვებავს. ამ კაპიტალის არც ერთი ნაწილის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეკუთვნის რომელსაღმე განსაზღვრულ ქვეყანას, ვიდრე ეს კაპიტალი არ იქნება, ასე ვთქვათ, გაბნეული იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შენობების სახით ან ხანგრძლივ საადგილმამულო გაუმჯობესებათა სახით“ [1, 327].

ამ შემთხვევაში ვაჭრის მაგალითზე სმიტი კარგად აჩვენებს თუ რამდენად საშიშია უცხოური ინვესტიცია. აჩვენებს იმას, რომ მცირედი უსიამოვნების შემთხვევაშიც კი ინვესტორმა შეიძლება დატოვოს ქვეყანა და დიდი პრობლემები შექმნას.

გარდა აღნიშნულისა, ინვესტორმა ასევე შეიძლება დატოვოს ქვეყანა, თუ სხვა ქვეყანაში უკეთესი პირობები შეიქმნა. ამასთან ერთად, სმიტი არაფერს იძახის იმაზე, თუ რამდენად საშიში და სახიფათოა ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიცია, როცა ინვესტორი დიდ მოგებას ნახულობს და ეს მოგება ქვეყნიდან გააქვს. ამის გარდა, სმიტი უშვებს შეცდომას, როცა თვლის, რომ ვაჭარი (ინვესტორი) მყარად მკვიდრდება ქვეყანაში თუ იგი უძრავ ქონებას და მამულებს ფლობს.

ახლა კი ვნახოთ, რას ფიქრობს ადამ სმიტი ქვეყნის მართვაზე და მართველობაზე. ლიბერალური იდეოლოგიები მიიჩნევენ, რომ ხელისუფალი მინიმალურად უნდა ერეოდეს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაში და მის მართვაში. სმიტი მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას თვითრეგულირებად სისტემად თვლის, იგი არსად არ აღნიშნავს, რომ ხელისუფალი არ უნდა ერეოდეს მის საქმიანობაში. სადაც სმიტი ხელისუფალს აღნიშნავს მკაფიოდ ჩანს, რომ მეფე ყავს მხედველობაში. სმიტი საუბრობს მინიმალურ გადასახადზე, ვინაიდან დიდი გადასახადი მეფეს და დიდებულებს ამდიდრებს და შემოსავლების დიდი ნაწილი მათი ოჯახების კეთილდღეობას ხმარდება. ამასთან ერთად დიდი

გადასახადი აღარბედა უბრალო მშრომელ ადამიანს. მართვა კი ყველას და ყველაფერს ჭირდება თვითმართვად სისტემების ჩათვლით, ვინაიდან თვით მართვადმა სისტემამ, რომ იმუშაოს შესაბამისი პირობები ჭირდება, რომელსაც მართველი ქმნის. ბუნებაც თვითმართვადი სისტემაა, მაგრამ ხშირია სტიქიური მოვლენები, რომლებსაც მართვა ჭირდება. სტიქიური მოვლენების თავიდან ასარიდებლად აკეთებენ წყალსაცავებს, ქმნიან ქარსანი-ნაალმდეგო ზოლებს, აგებენ მდინარის ჯებირებს, იგებენ ამინდის პროგნოზებს და იღებენ შესაბამის ზომებს და ა. შ. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ვერ შევლის უმუშევრობას, ყოველი ეკონომიკური კრიზისი ესაა „ეკონომიკური სტიქია“ - ეკონომიკური კატასტროფა. მართვა ჭირდება მოსავლიან და მოუსავლიან წლებში მოსახლეობის სურსათით სტაბილურ უზრუნველყოფას და შიმშილის თავიდან არიდებას და ა. შ. აი რას წერს სმიტი მართვის და მართველობის შესახებ:

„... ნაწარმოებთა ასეთი დიდად გამრავლება ყველა სხვადასხვა ხელობაში, შრომის დანაწილების შედეგად წარმომდგარი, ინვეს კარგი მართვა-გამგეობის მქონე საზოგადოებაში იმ საყოველთაო ბარაქას, რომელიც ხალხის უდაბლეს ფენებზეც ვრცელდება ...“ [1, 10].

როგორც ციტატიდან ვხედავთ, ადამ სმიტი ლიბერალურებისგან განსხვავებით, მიესალმება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კარგ მართვა-გამგეობას. ამასთან ერთად, სმიტი მიესალმება ისეთ ეკონომიკას და ისეთ მართველობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების უმდაბლესი ფენების კეთილდღეობას.

კიდევ ბევრი შეიძლება ვისაუბროთ ადამ სმიტის იდეებზე, თეორიებზე და სწავლებაზე და ამ სწავლების დამახინჯებულად გამოყენებაზე.

ჩვენს მიერ მოყვანილი ანალიზის შემდეგ სრული დაბეჯითობით შეგვიძლია ვამტკიცოთ ის, რომ თანამედროვე „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“, სრული ანტიპოდია იმ „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა“, რასაც ადამ სმიტი თავის სწავლებაში გვთავაზობს. თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც ლიბერალური იდეოლოგია და კაპიტალისტური სისტემა აყალიბებს, აბსოლუტურად განსხვავდება იმ საზოგადოებისგან რაც სმიტის სწავლებაშია განხილული. სრულიად გაუგებარია ის, რომ ადამ სმიტს ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევრები კაპიტალიზმისა და ლიბერალიზმის მამად მიიჩნევენ.

მიუხედავად უაღრესად მნიშვნელოვანი აზრებისა, რომელთა გამოყენება დღესაც წარმატებით შეიძლება, სმიტის სწავლება ვეღარ პასუხობს იმ გამოწვევებს რაც კაცობრიობის წინაშე XX და XXI საუკუნეებში დადგა. სმიტის სწავლება მაშინ, იმ პერიოდის ეკონომიკისათვის იყო საკმარისი, როცა ძალიან მარტივი ეკონომიკური ურთიერთობები იყო, როცა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა ჩანასახურ მდგომარეობაში იყო, სოციალიზმი და სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა საერთოდ არ იყო ცნობილი. არ არსებობდა და საერთოდ უცნობი იყო „გეგმიური ეკონომიკა“. დღეს ტერმინები საზოგადოება და სახელმწიფო ფაქტიურად ერთმანეთის სინონიმებია, ერთმანეთის სინონიმებია

საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო საჯარო საკუთრება, მაშინ სმიტის დროს ასე არ იყო. არ იყო და არ არსებობდა სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი პირველი სამრეწველო რევოლუცია, დღეს უკვე მეოთხე სამრეწველო რევოლუციაა მომხდარი და ა. შ. რა თქმა უნდა სმიტი ამ ყველაფერს ვერ გაითვალისწინებდა. სმიტის ფილოსოფია და მსოფმხედველობა სხვა დროს და სხვა პირობებში ჩამოყალიბდა და იმიტომაც ველარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

ჩვენი ანალიზების შემდეგ, ახლა წარმოვიდგინოთ ადამ სმიტის მიერ მოცემული „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელი, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან, უკვე მაშინ სმიტის მოღვაწეობის პერიოდში იყო არასრულფასოვანი, თუმცა მაშინ ეს იყო უზარმაზარი პროგრესი და წინ გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან მანამდე საზოგადოების განვითარების ეკონომიკური მოდელი საერთოდ არ არსებობდა. ახლა წარმოვიდგინოთ იმ არასრულფასოვანი „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელის სრული ანტიპოდი, აბსოლუტურად დამახინჯებული თანამედროვე „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“ და დავინახავთ იმას თუ რა მძიმე და გადაუჭრელი პრობლემების წინაშე დგას თანამედროვე მსოფლიო. ეკონომიკური პრობლემებიდან მოდის ყველა სხვა დანარჩენი პრობლემები. აქსიომური ქვეყნარტებაა ის, რომ თუ ეკონომიკა გამართულად მუშაობს და ეკონომიკური პრობლემები არ არსებობს, სწორი მართველობის პირობებში ყველა სხვა პრობლემა იოლად წყდება. უამრავი პრობლემის გამო, თანამედროვე მსოფლიოში იმდენად დაძაბულია ვითარება, რომ ნებისმიერმა მცირედმა მოვლენამაც კი შეიძლება „დეტონატორის“ როლი ითამაშოს, ყველაფერი დაანგრის და მოშალოს.

შექმნილია ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, იხარჯება კოლოსალური თანხები ამ ორგანიზაციების დაფინანსებაზე, მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიო, ელემენტარულ პრობლემებსაც კი, ვერ უმკლავდება და ვერ აგვარებს.

ამის საილუსტრაციო მაგალითია მსოფლიოში ბოლო პერიოდში შექმნილი მდგომარეობა. მთელი მსოფლიო ებრძვდა - „covid-19“-ს. მსოფლიოს მასშტაბით უკვე დაღუპულია 7 000 000 -ზე მეტი კაცი, უფრო ნაკლები ადამიანი დაიღუპა პირველი მსოფლიო ომის დროს 5 წლის განმავლობაში. აშშ-ს „covid-19“-ით, სამჯერ მეტი მოსახლეობა დაეღუპა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგა 5 წელიწადში. მძიმე მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც. ეს ყველაფერი ხდება XXI საუკუნეში ნანოტექნოლოგიების ხანაში. კოსმოსში სხვა პლანეტებზე და გალაქტიკებში დავეძებთ სიცოცხლის კვალს, ვირუსებსა და ბაქტერიებს და ამ დროს ვერაფერს უვებთ დედამიწაზე არსებულ ვირუსებს.

ვირუსები, ბაქტერიები, მიკრო ორგანიზმები, ცხოველები, მცენარეები და ა.შ., ისევე როგორც ადამიანი ცალცალკე „სამყაროებია“. ერთ-ერთ ასეთ სამყაროსთან, ვირუსებთან ადამიანი მუდმივ „ომშია“ და ხშირად მარცხდება. რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველწლიურად ასი ათასობით ადამიანი იღუპება ვირუსით (ვირუსული

დაავადებებით), ხშირად კი მსხვერპლი მილიონებში ითვლება. ყოველწლიურად ამ „ომში“ უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე კომფლიქტებში ან ტექნოკატასტროფებში. ელემენტარულ ვირუსსთან „ომში“, რომელსაც არ გააჩნია არც ინტელექტი, არც შეიარაღება, არც ტექნოლოგიები და შეუიარაღებელი თვალით საერთოდ არ ჩანს, ადამიანი მარცხდება.

როგორც ჩანს „covid-19“-ი ნიშანია იმაზე, რომ მთელი ჩვენი ცივილიზაცია, ტექნიკა და ტექნოლოგიები არარაობაა იმ პირობებში, რომელშიც თანამედროვე მსოფლიო იმყოფება. რესურსების აბსოლუტურად უყარათო ხარჯვა. თითქოს ყველაფერი ადამიანისათვის კეთდება, ამ დროს სინამდვილეში ყველაფერი დიდი ფულისთვის კეთდება, ხოლო ადამიანები ამ ფულის კეთების ინსტრუმენტებიათაა ქცეული და სხვა ღირებულება, მას როგორც ადამინს არ გააჩნია. ამის უტყუარი დადასტურება უმწეო ავადმყოფებისათვის სიცოცხლის უზრუნველყოფის აპარატების გათიშვა და მათი მკვლელობაა, მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი ფული და კაპიტალია და არა ადამიანი და მისი სიცოცხლე. ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანი მხოლოდ ფულის კეთების ინსტრუმენტია, ხოლო, როცა ეს ფუნქცია ეკარგება, მას ჩამოწერენ, უტილიზაციას უკეთებენ, როგორც უმაქნის მანქანას, ან დაზიანებულ ინსტრუმენტს.

„covid-19“-ი ნიშანია იმაზე, რაც დედამიწაზე ხდება, აბსოლუტურად ზღვარ გადასული, ყოველგვარ საღაზრს გაცდენილი ფუფუნება. მორგანების საერთო სიმდიდრეზე ზუსტი მონაცემები ძნელი მოსაძიებელია. სხვადასხვა წყაროებით მათი სიმდიდრე 105 - 150 ტრილიონი დოლარია, სავარაუდოდ ეს სიმდიდრე გაცილებით მეტია, ვინაიდან, არსებული მონაცემებით 1950 - იან წლების შემდეგ მორგანების დინასტიის თვითური შემოსავალი 750 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

150 ტრლ. დოლარი რომ იყოს, ეს თითქმის 2 - ჯერ მეტია ვიდრე დედამიწის წლიური მშპ, 7 ჯერ მეტია აშშ-ს წლიურ მშპ-ზე, 5-ჯერ მეტია, ვიდრე აშშ-ს მთლიანი ვალი, 30 - ჯერ მეტია აშშ-ს წლიურ ბიუჯეტზე. ამ ოჯახის წლიური შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ს წლიური ბიუჯეტი. მორგანები აკონტროლებენ აშშ-ს მშპ-ს 20 %-ს. ინტერნეტში არსებული მონაცემები თურეალურია, მორგანებზე უფრო მდიდარი როქჩილდების ოჯახია და მორგანების ოჯახზე არანაკლები სიმდიდრე აქვს როკფელერების ოჯახს.

ერთის მხრივ, ამ ოჯახების მიერაა შექმნილი აშშ-ს მრეწველობის დიდი ნაწილი, შექმნეს და განავითარეს აშშ-ს ეკონომიკის სხვა სფეროები. დასაქმებული ჰყავთ მილიონობით ადამიანი აშშ-ში და მთელ მსოფლიოში. მათი კომპანიების მიერ შექმნილი პროდუქტებით და პროდუქციით სარგებლობს მთელი მსოფლიო. მეორე მხრივ, როცა ერთ ან რამდენიმე ოჯახის შემოსავლები სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლებს აღემატება და მათი ძალა და გავლენა დიდია, მაშინ თვითონ სახელმწიფო და ამ ქვეყნის საზოგადოება ხდება არასრულფა-

სოვანი, ვინაიდან რეალურად ამ ქვეყანას მართავს არა ამ ქვეყნის საზოგადოება და მათი არჩეული მთავრობა, არამედ ისინი, ვის ხელშიც ეკონომიკაა და აქედან გამომდინარე, ვის ხელშიც ყველაფერია, მათ შორის, რეალური ძალაუფლება.

რა გამოდის, დღევანდელ მსოფლიოზე, აშშ-ს როგორც ფინანსური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა უზომოდ დიდია. აშშ-ს მთელ ეკონომიკას და ფინანსებს და აქედან გამომდინარე, ყველაფერს რამდენიმე ოჯახი აკონტროლებს. ესე იგი, მთელ მსოფლიოს, მთლიანად თუ არა მის დიდ ნაწილს, რამდენიმე ოჯახი აკონტროლებს, რომელთა ნებაზეც პირდაპირ თუ არა-პირდაპირ დამოკიდებულია ჩვენი პლანეტის აწყობა და მომავალი. სამწუხაროდ, ესაა რეალობა, ასეთია თანამედროვე მსოფლიო.

გარდა ტრილიონერებისა თანამედროვე მსოფლიოში 3000-ზე მეტი მილიარდერი და 20 000 000 -ზე მეტი მილიონერია. პრაქტიკულად ყველაფერი მთელ მსოფლიოში ან მათ ხელშია, ან მათი გავლენის ქვეშაა, მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, რომლებიც მათი აქტიური გავლენის ქვეშ არ იმყოფებიან, მაგალითად რუსეთი ან ჩინეთი. უზომოდ მდიდარ ადამიანთა რაოდენობა მსოფლიო მოსახლეობის 0,3 %-ზე ნაკლებია. მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობა, უმნიშვნელო პროცენტის გარდა, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და ყოველდღიურად არსებობისათვის იბრძვის.

აი ესაა რეალობა და არა ის, რასაც დეკლარირებას უკეთებს „დემოკრატია“, „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“, „თავისუფალი არჩევანი“ და ა.შ.. ვერ იქნება დემოკრატია და ადამიანი თავისუფალი ისეთ მსოფლიოში, როგორიც დღესაა. სამწუხაროდ, ყველამ ერთად, ჩვენ და ჩვენამდე არსებულმა ადამიანებმა დედამიწაზე შევქმენით ისეთი პირობები, სადაც თვითონ ადამიანის ადგილი აღარ დარჩა. ავაშენეთ ისეთი ცივილიზაცია, რომელიც თვითგანადგურების პროცესშია და თვითგანადგურებით დაასრულებს თავის არსებობას.

ესაა ის რეალობა სადამდისაც ადამ სმიტის იდეებმა, მისმა მოცემულმა და ლიბერალების მიერ „ჩასწორებულმა“, დამახინჯებულმა „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელმა დიდი ხანია მსოფლიო მიიყვანა და ახლა თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში სრული კატასტროფის და მოსპობის წინაშე დააყენა.

თანამედროვე მსოფლიო ელემენტარულ პრობლემებს, ელემენტარულ ვირუს „covid-19“-ს ვერ უმკლავდება და როგორ გაუმკლავდება გლობალურ პრობლემებს, მაგალითად, საფრთხეებს, რომლებიც ახლო და შორეული კოსმოსიდან მოდის, საფრთხეებს, რომელიც დედამიწის შიგნითაა.

რა არის ამის მიზეზი, ნანო ტექნოლოგიების ხანაში, რატომ ვერაფერს უშვრება ადამიანი „covid-19“-ის მსგავს ვირუსებს?

პრობლემები მართვის სისტემებშია, რითაც თანამედროვე მსოფლიო და სახელმწიფოები იმართებიან.

სახელმწიფოთა მართვის სხვადასხვა სისტემები არსებობს, პრაქტიკულად ყველა ქვეყანას თავისი მართვის სისტემა აქვს. მიუხედავად დიდი სიმრავლისა, ორი სა-

ხის მართვის სისტემა არსებობს: „ცენტრალიზებული მართვის სისტემა“ და „დეცენტრალიზებული მართვის სისტემა“. ყველა სხვა დანარჩენი მართვის სისტემები, ამ ორი მართვის სისტემის სახესხვაობებია ან ამ ორი სისტემის შერეული ვარიანტები.

ცენტრალიზებულ მართვის სისტემებში ყველაფერი ერთ ცენტრს ემორჩილება და მოქმედებს მართველობის ვერტიკალი. ამ სისტემაში ნებისმიერი დონის მართველი მის ზემდგომს ემორჩილება. ასეთი სისტემის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება სსრკ იყო. ითვლება, რომ ასეთ სისტემაში არ არსებობს კერძო ინიციატივები. რეალურად ეს ასე არ არის. ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, ნებისმიერი დონის მართველს შეუძლია ინიციატივის გამოვლენა ცენტრიდან დაშვებულ საზღვრებში, როემლიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ფართოა. უფრო მეტიც, ხელი ეწყობა და ნახალისება უკეთდება კერძო ინიციატივას. ამასთან ერთად, ზემდგომს შეუძლია კერძო ინიციატივა წაახალისოს, მატერიალურად და ფინანსურად ხელი შეუწყოს, ან პიროქით დაბლოკოს, გააჩეროს. მართველობის რა სისტემაც არ უნდა იყოს, კერძო ინიციატივის გარეშე რაიმე ახლის შექმნა და განვითარება არ არსებობს. მართველები თვითონ ყველაფერს ვერ გააკეთებენ. ამ დროს კარგად ცნობილია გრანდიოზული პროექტები, რომლებიც სსრკ-ში განხორციელდა: ყამირი მიწების ათვისება, ყველა სახის მრეწველობის, მათ შორის, მძიმე მრეწველობის და მანქანათმშენებლობის განვითარება, საყოველთაო დასაქმება, საყოველთაო უფასო განათლება, საყოველთაო უფასო ჯანდაცვა, ბინათმშენებლობა და ბინების უფასო მოსახლეობაზე გადაცემა, კოსმოსის ათვისება, კულტურის და სპორტის საყოველთაო განვითარება და ა.შ., უამრავი სხვა რამ. სსრკ-ში მისი არსებობის 70 წელიწადში მილიონობით გამოგონებაა გაკეთებული და რეგისტრირებული, ყოველი გამოგონების უკან, კი კონკრეტული გვარები და სახელებია. გასული საუკუნის 70-იან წლებში სსრკ-ში წლის განმავლობაში კეთდებოდა უფრო მეტი გამოგონება, ვიდრე ერთად აღებულ დანარჩენ მსოფლიოში. ეს ხდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც „არ არსებობდა კერძო ინიციატივა“. გარდა კერძო ინიციატივებისა, არსებობდა სხვა ინსტიტუტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მთელი ქსელი სადაც, გარდა მეცნიერული კვლევებისა, უამრავი ინიციატივების და პროექტების გენერირება ხდებოდა და ა.შ.

სრულიად სხვაგვარია სახელმწიფოს მართვის დეცენტრალიზებული სისტემა. ამ სისტემაში სახელმწიფოში შემავალი ყველა ტერიტორიული ერთეული, მათში შემავალი კერძო ფირმები, კომპანიები, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა დონის მართველი, დამოუკიდებლად მოქმედებენ კანონის და კონსტიტუციის ფარგლებში. ნებისმიერი დონის მართველი არ ემორჩილება, ან მინიმალურად ემორჩილება მის ზემდგომს. ზემდგომს შეუძლია შეაჩეროს ან საერთოდ გააუქმოს ქვემდგომის გადამწყვეტილებები, თუ იგი ჩათვლის რომ არ შეესაბამება კანონს და კონსტიტუციას. დავებს სხვადასხვა დონის უწყებებს შორის წყვეტავს სასამართლო, რომე-

ლიც ყველასგან და ყველაფრისგან დამოუკიდებელია.

ამ სისტემაში ყველაფერი აგებულია კერძო ინიციატივებზე, ყველაფერი რაც მომგებიანია კერძო საკუთრებაშია. ხელისუფალის მართველობაში გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსებისა და ძალოვანი სტრუქტურებისა სხვა არაფერია. ხელისუფლება პრაქტიკულად არ ეწევა სამეურნეო საქმიანობას. ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო პროცესებშიც არ ერევა, მას ამის ბერკეტები არ გააჩნია. თუ ხელისუფლებას რამე ჭირდება (მაგალითად ავეჯი, ან ახალი ტიპის იარაღი და სხვა) აცხადებს ტენდერს (კონკურსს) და ამ კონკურსში გამარჯვებული კერძო კომპანია ასრულებს ხელისუფლების დაკვეთას. ანდა, შესაბამისი სახელმწიფო უწყების გადანყვებილებით შეირჩევა კომპანია ვინც ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას. ხელისუფლება ხარჯებს ისტუმრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვადასხვა ფონდებიდან რომლებიც ივსება გადასახადების და სხვადასხვა მოსაკრებლების მეშვეობით.

აი ესაა ძალიან მოკლე, ზოგადად, ის რასაც სახელმწიფოს მართვის ორი სახის სისტემა მოიცავს თავის თავში. როგორც ერთ, ისე მეორე სახელმწიფოს მართვის სისტემას გააჩნია თავისი მნიშვნელოვანი პლიუსები და მინუსები. მთელ მსოფლიოში, გარდა რამდენიმე ქვეყნისა, მეორე სახის სახელმწიფოს მართვის სისტემა მოქმედებს, ითვლება, რომ ასეთი მართვის სისტემა „დემოკრატიულია“. სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვის სისტემას კი, დიქტატორული რეჟიმის მქონე სისტემად მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ამ სისტემების შესწავლა და ანალიზი აჩვენებს, რომ „სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვას“ აქვს ერთი ცენტრი, დეცენტრალიზებულ სისტემაში კი მრავალი მცირე თუ დიდი ცენტრი აქვს. ცენტრალიზებულ სისტემაში მოქმედებს ხელისუფლების ვერტიკალი, სადაც პრაქტიკულად გამორიცხულია სხვადასხვა სტრუქტურებს შორის დაპირისპირება. დეცენტრალიზებულ სისტემაში ცენტრებს შორის, მუდმივი დაპირისპირებაა, გავლენისა და სხვა სფეროებისათვის, მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს, რაც მსოფლიოს უამრავ ქვეყანას ქაოსში, კომფლიქტებში და სამოქალაქო ომებში ხვევს.

ალბათ ბევრს გაუჩნდება კითხვა: თუ ყველაფერი რამდენიმე ოჯახის ხელშია, როგორ მუშაობს ასეთ შემთხვევაში დეცენტრალიზებული მართვის სისტემა?

ითვლება რომ დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაში ძალაუფლება და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. სინამდვილეში დეცენტრალიზებული მართვის სისტემა პასუხისმგებლობიდან თავის არიდების საუკეთესო სისტემაა.

ცენტრალიზებულ მართვის სისტემაში ზემდგომი ყველაფერზეა პასუხისმგებელი ქვემდგომთა საქმიანობაზე. დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაში ზემდგომი პასუხს არ აგებს ქვემდგომის გადანყვებილებზე და რა თქმა უნდა არც მათი პოლიტიკური და იურიდიული პასუხისმგებლობა დგება. თუმცა, ზემდგომს ქვემდგომზე ზემოქმედების საკმარისზე მეტი ბერკეტები გააჩნია. დავაკვირდეთ რა ხდება დეცენ-

ტრალიზებულ მართვის სისტემაში ზემდგომს გააჩნია უზარმაზარი ძალაუფლება და გავლენა ქვემდგომზე და არანაირი პასუხისმგებლობა მათ საქმიანობაზე. დეცენტრალიზებული მართვის სისტემა პასუხისმგებლობის თავის არიდების იდეალური სისტემაა. რა თქმა უნდა რეალური ძალაუფლების მქონე ოჯახური კლანებისათვის ასეთი სისტემა იდეალურია, ფულით და რეალური ძალაუფლებით ყველაფერს აკონტროლებენ და არაფერზე პასუხს არ აგებენ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა კავშირშია ერთმანეთთან ქვეყნის მართვის სისტემა და Covid-19 -ის პრობლემა? - პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. არსებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს რომ ქვეყნისათვის და მსოფლიოსთვის კრიტიკულ მომენტებში ცენტრალიზებული მართვის სისტემა, მთელი თავისი მინუსების მიუხედავად, გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტურია ვიდრე დეცენტრალიზებული მართვის სისტემა. ცენტრალური მართვის სისტემაში რესურსების მობილიზება და მნიშვნელოვანი, კონკრეტული ამოცანების გადანყვება ძალიან იოლია და მოკლე დროში ხდება. Covid-19 შემთხვევაში, მაგალითად, სსრკ რომ ყოფილიყო მთელ ლაბორატორიებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამედიცინო ინსტიტუტებს, ფარმაცეტიულ დაწესებულებებს დაავალბდა ვაქცინის შექმნას და ეს პრობლემა სავარაუდოდ სწრაფად გადაწყდებოდა. ამის ნათელი მაგალითი ნარსულშია, მეორე მსოფლიო ომში სსრკ-მ ქვეყანაში არსებული მთელი რესურსები გამოიყენა გამარჯვების მისაღწევად და გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშიზმის დამარცხებაში. ომის შემდეგ, სსრკ-მ მხოლოდ შიდა რესურსების აქტიური გამოყენებით 8 წელიწადში აღადგინა პრაქტიკულად მიწასთან გასწორებული სსრკ-ს ევროპული ნაწილი და 1953 წელს სრულად აღმოფხვრა ომის უარყოფითი შედეგები. ევროპამ, დეცენტრალიზებული მართვის სისტემით, ეს შეძლო მხოლოდ 1967 წელს, ომის დასრულებიდან 22 წლის შემდეგ, თანაც აშშ-ს ინტენსიური დახმარების წყალობით.

დღევანდელ ცხოვრებაში სახელმწიფოს ცენტრალური მართვის სისტემის კარგი მაგალითია ჩინეთი. ეს ქვეყანა სასწაულებს ახდენს, ბოლო წლებში იგი ყველა მაჩვენებლით, მათ შორის, რეალური მშპ-თი, ოქროს მარაგებით, ეკონომიკის ზრდის ტემპით და ა.შ. მსოფლიოში პირველ ადგილზეა. 1,5 მლრ. მოსახლეობის მიუხედავად, ჩინეთში covid-19-ით სულ დაავადდა 2 021 955 კაცი და დაიღუპა 5 213.

„სახელმწიფოს მართვის დეცენტრალიზებული სისტემა“ ისეთი მოქნილი და ეფექტური არ არის, როგორც „სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზებული სისტემა“, ამიტომ მძიმე კრიტიკულ მომენტებში იგი აბსოლუტურად ვერ უმკლავდება არსებულ გამოწვევებს და პრობლემებს და სრულიად არაეფექტურია.

რატომ?, რა არის ამის მიზეზი?

როგორც უკვე შევნიშნეთ, კრიტიკულ შემთხვევებში ცენტრალიზებულ მართვის სისტემას შეუძლია ქვეყანაში რაც რესურსებია (ადამიანური, ბუნებრივი, სამეცნიერო-კვლევითი, ინტელექტუალური, ფინანსური, მატერიალური და ა.შ.) მთლიანად კონკრეტული

პრობლემის დაძლევაზე მიმართოს და გამოიყენოს. დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაში (თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში) ეს შეუძლებელია. ამ სისტემაში პრაქტიკულად სახელმწიფოს მთელი რესურსები კერძოა, კონკრეტული პირების საკუთრებაა და ყველაფერი მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

„სახელმწიფოს მართვის დეცენტრალიზებული სისტემის“ პირობებში ხელისუფალის ხელში მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტია, ანუ ფული, რომელიც გადასახადებით და მოსაკრეფლებით სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირდება. ფულია მართვის ერთადერთი რეალური „ბერკეტი“, რომელიც „მართვის დეცენტრალიზებული სისტემის“ პირობებში ხელისუფალის ხელშია. თუ ხელისუფალმა ფული არ გაიღო, არ გასცა ხელფასები, არ გაიღო სხვა ხარჯები, ეს სისტემა მთლიანად ინგრევა და ქვეყანა მართველობის გარეშე რჩება. მძიმე, კრიტიკულ მომენტებში ფულს სრულიად ეკარგება მსყიდველობითი უნარი, ანუ ფული სრული არარაობა ხდება. ესე იგი, „დეცენტრალიზებული მართვის“ პირობებში, კრიტიკულ მომენტში, ხელისუფალი კარგავს მართვის ერთადერთ რეალურ ბერკეტსაც და ქვეყანა უმართავი ხდება. ფულის გარდა ხელისუფალის ხელშია ძალოვანი სტრუქტურები და შეიარაღება, მაგრამ მძიმე, კრიტიკულ მომენტებში, უმართაობის პირობებში, როცა ფულს ძალა ეკარგება და „არარაობად იქცევა“, თვითონ ეს სტრუქტურები და შეიარაღება ხდება ერთერთი ყველაზე დიდი საფრთხე ქვეყნისათვის და მთელი მსოფლიოსთვის.

აღსანიშნავია, რომ მძიმე კრიტიკულ პირობებში, არა მხოლოდ ფული კარგავს მსყიდველობით უნარს (ფასს) და არარაობა ხდება, არამედ ყველაფერი კარგავს ფასს, გარდა პირველადი (გადაუდებელი) მოთხოვნილების საქონლისა. პირიქით, პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასი უზომოდ იზდება და ხშირად მათი შეძენა საერთოდ შეუძლებელი ხდება. ეს გამონაკვეთია: 1. ომის შედეგად მოშლილი სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული პროდუქციის მკვეთრი შემცირებით; 2. არსებული რესურსებით იარაღის შექმნაზე და გაზრდილი ჯარის სურსათით უზრუნველყოფის გამო და 3. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობის მიერ რეზერვების მკვეთრი - მრავალჯერ გაზრდის შედეგად. არაერთ სამამულო ომის ვეტერანს გაუხსენებია შემთხვევა, როცა ომის დროს დამწეული მოსახლეობა ჯარისკაცებს ერთ „ბუხონკა“ (დაახლოებით 1 კილოგრამ) პურში ბაჯალლო ოქროს ბეჭედს (ბაჯალლოს ეძახდნენ უმაღლესი სინჯის 8-10 გრ. ოქროს ბეჭედს) და სხვა ძვირფასეულობას სთავაზობდნენ.

ახლა კი განვიხილოთ covid-19 -ის შემთხვევა.

ცენტრალიზებული მართვის სისტემა გამოყოფს საჭირო რესურსებს და ავალებს შესაბამის სამსახურებს პრობლემის მოგვარებას. შესაბამისი სამსახურები პრაქტიკულად მყისიერად დროის დაკარგვის გარეშე, ინყებენ პრობლემაზე მუშაობას და მის მოგვარებას, რაც მოხდა ჩინეთში „covid-19“-ის შემთხვევაში. საჭიროების შემთხვევაში, „ცენტრალიზებულ მართვის სისტემას“ მთელი ქვეყნის რესურსები შეუძლია წა-

რმმართოს კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზე, თუ ამის საჭიროება გახდება. აღსანიშნავია ის, რომ ჩინეთმა „covid-19“-ის შტამპის გენომი, „covid-19“-ის სტრუქტურა, ანუ გამოკვლევა 2020 წლის 12 იანვარს გამოაქვეყნა და საჯარო გახადა. დააკვირდით რა დონის ოპერატიულობასთან გვაქვს საქმე, ვირუსის დაფიქსირებიდან რამდენიმე დღეში არა მხოლოდ ვირუსია გამოკვლეული, არამედ მისი გენეტიკური კოდიც დაადგინეს და გამოაქვეყნეს.

რა ხდება „დეცენტრალიზებული მართვის სისტემის“ ქვეყნებში? თანხას გამოყოფენ ვირუსის სანიანაღმდეგო ვაქცინის შექმნაზე. ხშირად ვისმენტ განცხადებებს აშშ-ს მთავრობამ ან ევროკავშირმა ან სხვა ქვეყანამ მილიარდობით თანხა გამოყო, რაღაცა საკითხის მოსაგვარებლად. მაგალითად, აშშ-ს მთავრობამ 2,0 მლრ. დოლარი გამოყო „covid-19“-ის ვაქცინის შესაქმნელად ან/და ვაქცინის შექმნაზე. მაგრამ, ეს მხოლოდ დეკლარაციაა და სხვა არაფერი. დეკლარაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს მთავრობა მზათაა თანხა გადაუხადოს ვინც „covid-19“-ის ვაქცინას შექმნის, ან შეიძინოს 2,0 მლრ. დოლარის ვაქცინა, თუ ვინმე, რომელიმე კომპანია, ასეთს შექმნის.

დავაკვირდეთ დეცენტრალიზებული მართვის პირობებში რა დონის არა ოპერატიულობასთან გვაქვს საქმე. მაშინ, როცა ყოველ საათს და ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხელისუფალი საჭირო რესურსების მობილიზების მაგივრად გარკვეულ თანხას გამოყოფს პრობლემის მოსაგვარებლად და ამასაც მთელი რიგი პროცედურების გავლა და მნიშვნელოვანი დრო ჭირდება. ამ სისტემაში, პრობლემის მოსაგვარებლად სხვა „ბერკეტი“, გარდა ფინანსებისა, ხელისუფლებას არ გააჩნია.

ვნახოთ რა ხდება „ქვეყნის დეცენტრალიზებულ მართვის სისტემაში“ პრობლემის მოსაგვარებლად თანხის გამოყოფის შემდეგ, მაგალითად „covid-19“-ის შემთხვევაში. რას აკეთებენ და სავარაუდოდ როგორ მოქმედებენ კომპანიები, ვისაც ამ პროცესებში ჩართვა შეუძლიათ.

პირველი, რაც კომპანიის მესვეურებს სავარაუდოდ თავში მოუთა, არის ის, რომ გაჩნდა დიდი ფულის გაკეთების საშუალება და არა პრობლემის მოგვარება და ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა. მიზანი კომერციულია და არა ჰუმანური. ადამიანთა სიცოცხლე და ჯამრთელობა მთავარი მიზნის დიდი ფულის გაკეთების, პარალელური, გვერდითი შედეგი უფრო ვიდრე მთავარი ამოცანა, შემდგომში უკვე ჩნდება კითხვები, რომელთა პასუხზეც დამოკიდებულია გადანყვეტილების მიღება:

- აქვს თუ არა საკმარისი ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზა ვაქცინის შესაქმნელად?
- ყავს თუ არა შესაბამისი დონის სპეციალისტები?
- აქვს თუ არა საკმარისი ფინანსური რესურსები?
- შეძლებს თუ არა მოკლე დროში ვაქცინის შექმნას და დამზადებას?
- რამდენად იაფი და კონკურენტული იქნება ვაქცინა?
- როგორია კონკურენტების შესაძლებლობები?
- შეიძენს თუ არა სახელმწიფო მისგან ამ ვაქცინას?

- რა რეალური ინტერესები და რა მიზნები აქვთ დაინტერესებულ მხარეებს?
- როგორია ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა, რამაც შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ხელისუფლის პოლიტიკაზე?
- ხომ არ მოხდება ვირუსის ლიკვიდაცია ან ლოკალიზება კლიმატური ცვლილებების შედეგად?
- ვინმე ხომ არ შექმნის ამ ვაქცინას უფრო ადრე და უფრო ეფექტურად?
- ვინმე ხომ არ შექმნის ვაქცინას ჰუმანიტარული მიზნებისთვის?
- რომელი ქვეყანა რა რესურსებს იყენებს ვაქცინის შექმნაზე?
- რა შედეგები დაუდგება კომპანიას პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში?
- რა შედეგები დაუდგება კომპანიას პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში?

აი არასრული მცირედი ჩამონატვალი იმ საკითხებისა, რომელიც უნდა განიხილოს კომპანიამ მანამ გადაწყვეტილებას მიიღებს და შემდეგ მიიღოს მთავარი გადაწყვეტილება: ჩაერთოს თუ არა ვაქცინის შექმნის პროცესში?

როგორც ვხედავთ, „სახელმწიფოს მართვის დეცენტრალიზებულ სისტემაში“, კომპანიის დონეზეც მრავალი საკითხი და პრობლემა მოსაგვარებელი იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიიღონ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში, დიდი გამოცდილების საუკეთესო კომპანიებიც კი მოერიდებიან მნიშვნელოვან ხარჯებს და უარს იტყვიან სერიოზული ვაქცინის შექმნაზე. **საბაზრო კონკურენცია და „მართვის დეცენტრალიზებული სისტემა“ აიძულებს კომპანიებს ან მინიმალური დანახარჯებით შექმნან ვაქცინა, ან უარი თქვან ამ პროექტში მონაწილეობაზე. იქ, სადაც დიდი ფულია და დიდი მოგების მიღება შეიძლება, იშვიათი კომპანია იტყვის უარს პროექტში მონაწილეობის მიღებაზე და აირჩევს პირველ ვარიანტს, მინიმალური ხარჯებით ვაქცინის შექმნას.**

ვაქცინის შექმნის შემდეგ, სოლიდური თანხები გასაღები შექმნილი ვაქცინის გამოკვლევაზე, იმ შედეგებზე, რასაც ვაქცინა იძლევა, მნიშვნელოვანი თანხები დასახარჯი გვერდითი მოვლენების შესწავლაზე, კვლევება ჩასატარებელი ასაკობრივ ჯგუფებში და ა.შ. ერთი სიტყვით, დიდი და მნიშვნელოვანი ხარჯებია საჭირო სერიოზული ვაქცინის მისაღებად. გაურკვეველი მოსალოდნელი შედეგების პირობებში დიდ რისკებზე არცერთი კერძო კომპანია არ წავა და ნებისმიერი კომპანია ეცდება მინიმალური ხარჯებით ვაქცინის შექმნას. ასეთი მიდგომებით კი, როგორც უკვე ავღნიშნეთ, სერიოზული ვაქცინის მიღება შეუძლებელია.

რეალურად, სწორედ ასეც მოხდა „covid-19“-ის გამოვლენიდან ხუთი წელია გასული და დღემდის არაა შექმნილი მისი სანინალმდებლო ეფექტური ვაქცინა. დღემდის არსებული ვაქცინები არცერთი არაა სრულფასოვანი და მედიკოსებს პასუხები არა აქვთ კითხვებზე: არსებული ვაქცინებიდან რომელია უკეთესი?, არსებული ვაქცინები რამდენად საშიშია ადამიანის ჯამრთელობისთვის?, ბოლომდის იცავს თუ არა ვაქცინა „covid-19“-ისგან?

რა საჭიროა ორჯერ აცრა?, რა გვერდითი მოვლენები ახასიათებს ვაქცინას?, როგორ მოქმედებს სხვა ავადმყოფობებზე?, რატომ უნდა გაფრთხილდეს ადამიანი აცრის შემდეგ 10 დღე?, როგორ მოქმედებს ადამიანის რეპროდუქციულობაზე?, როგორ მოქმედებს ნაყოფზე?, როგორ მოქმედებს ბავშვის ზრდაზე? რატომაა საჭირო აცრის შემდეგ 30 წუთი ლოდინი?, როგორ მოქმედებს ადამიანის ინტელექტზე - გონებაზე და ფსიქიკაზე? და ა.შ. და ა.შ. უამრავი კითხვა პასუხგაუცემელია.

პრაქტიკამ აჩვენებს, რომ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, ვინც „covid-19“-ის ეპიდემიას გაუმკლავდა, ჩინეთია. როგორ და რანაირათ მოახერხა ჩინეთმა ამის გაკეთება დღემდის საჯაროთ არ უთქვამს და ერთგვარი საიდუმლოა. მოარულ ხმებს თუ დაუჯერებთ ჩინეთმა ვირუსი და ვაქცინა ერთდროულად შექმნა, ვირუსი მთელ მსოფლიოს მოედო, ჩინეთმა კი ვაქცინით საკუთარი ქვეყანა დაიცვა. **ასეც რომ იყოს, ეს არაფერს არ ცვლის, იმასთან მიმართებაში, რომ თანამედროვე მსოფლიო, დღეს არსებული „სახელმწიფოს დეცენტრალიზებული მართვის სისტემები“, ლიბერალური იდეოლოგია და ეკონომიკური განვითარების არსებული მოდელი, მსოფლიოში დღეს არსებულ გამოწვევებს ვერ უმკლავდება.** ამის დადასტურებაა „covid-19“, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯერ წარმოქმნა, მერე კი მასთან აბსოლუტურად არაეფექტური ბრძოლა, ბოლო პერიოდში ავღანეთში მომხდარი მოვლენები, საზოგადოების ურთიერთ დაპირისპირებულ ფენებად დაყოფა და მათ შორის მუდმივი დაპირისპირება, მსოფლიოში არსებული უამრავი კომფლიქტები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არ წყდება, სახელმწიფოების დაშლა და დაქუცმაცება და ა.შ.

ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის სისტემების კიდევ ერთი საინტერესო შედარება! ცენტრალიზებულ მართვის სისტემაში (მაგალითად სსრკ-ში), როგორც კი ახალი ვირუსი ჩნდებოდა, მაშინვე იწყებოდა ანტივირუსის შექმნა. რატომ? იმიტომ რომ ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თუ ახალი ვირუსით მოსახლეობის დაავადება ფართო მასშტაბებს მიიღებს მსხვერპლტან ერთად ეკონომიკური ზარალიც დიდი იქნება. დეცენტრალიზებულ მართვის (კაპიტალისტურ) სისტემაში მთავარი მოგებაა, იმის გამო, რომ ვაქცინის შექმნა ძვირად ღირებული პროცესია, ზარალის მიღების შიშით, მანამ ეპიდემია ფართო მასშტაბებს არ მიიღებს და დიდი მოგების შანსი არ გაჩნდება ვაქცინის შექმნაზე არავინ ფიქრობს. ასე იყო მაგალითად, აქლემის გრიპის ვირუსის“ შემთხვევაში. ეს ვირუსი გავრცელებული იყო და ხალხი ილუპებოდა აფრიკაში, ვირუსის გადამტანი აქლემი იყო, სწორედ ამიტომ დანარჩენ მსოფლიოში ის არ გავრცელდა. იმის გამო, რომ ვირუსის გავრცელებამ ფართო მასშტაბი არ მიიღო და დიდი მოგების მიღება შეუძლებელი იყო, წამყვანმა ფარმაცეტულმა კომპანიებმა თავი არ შეინუხეს ანტივირუსის შექმნაზე. ამ მაგალითიდან კიდევ ერთხელ თვალნათლივ ჩანს, რომ კაპიტალისტურ სისტემაში მთავარი ფულია და არა ადამიანების სიცოცხლე. ამ ანალიზიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ახალი ვირუსის გაჩენისას, მანამ ეპიდემია ფართო

მასშტაბებს არ მიიღებს და მილიონები არ დაავადებინან, ვაქცინის შექმნაზე არავინ ფიქრობს.

ამდენად, როგორც ცენტრალიზებულ, ისე დეცენტრალურ მართვის სისტემებს დადებითი და უარყოფითი თავისებურებები ახასიათებთ. ერთი რამ ფაქტია, 35 წელია ცენტრალური მართვის სისტემა, რამდენიმე გამონაკლისი ქვეყნის გარდა, აღარ არსებობს. მაგრამ, ამ პერიოდში პრობლემები კი არ შემცირდა, მრავალჯერ

გაიზარდა, ხოლო ჩინეთი, სადაც ცენტრალური მართვის სისტემა მუშაობს, დღევანდელ მსოფლიოში ყოველმხრივ ყველაზე წარმატებული ქვეყანაა.

მძიმე პრობლემების წინაშე კაცობრიობა უკვე დიდი ხანია იმყოფება. უახლოვეს მომავალში თუ არ შეიცვალა არსებული მდგომარეობა, ეს ცივილიზაცია კიდევ უფრო მძიმე, დაუძლეველი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამ სმიტი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ., თბილისი 1938 წ.;
2. დემურ გადელია, ფინანსური მენეჯმენტი, 2010;
3. А.И. Тюнин, П.Г. Рябчук, Д.Н. Корнеев История экономики и экономических усений, Челябинск, 2018;
4. Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалези Экономика, „дело“, Москва, 1995;
5. Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика Глобальный подход, Москва, издательство „ Дело“, 1996;
6. Филип Котлер Основы менеджмента, Москва „прогресс“ 1992.
7. М. Х. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури Основы менеджмента, Москва „дело“ 1992.
8. П. Самуельсон Экономика, т. 1-2, Москва „алгон“ 1992.
9. <https://spark.ru/user/142597/blog/85722/dinastiya-morgani-sozdateli-frs-dollar-ssha-istoriya>.

ინვესტიციები, როგორც საქართველოს რეგიონების განვითარების უმთავრესი ფაქტორი

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.07>



ნათელა ვაშაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0001-3354-6777>
E-mail: Natela.vashakidze@atsu.edu.ge



ნათია კურდგელია

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის
მინვეული ლექტორი,
<https://orcid.org/0009-0007-6670-7307>
E-mail: natiakurdgelia1976@gmail.com

ანოტაცია

ყველა რეგიონი უნიკალურ ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენს. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერი ვარიანტი მნიშვნელოვანი დონის ინვესტიციებს მოითხოვს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება რეგიონების ინსტიტუციური განვითარების პრობლემის გადაწყვეტას. რეგიონების განვითარების ინოვაციური სტრატეგიები წარმოუდგენელია კერძო ბიზნესის ჩართულობის გარეშე. შესაბამისად, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ალბათ ილუზიური იქნება რეგიონი მხოლოდ სახელმწიფო მხარდაჭერას ელოდეს და თვითონ არ აქტიურობდეს რიგი პრობლემების დასაძლევად.

ავტორის მიერ გაანალიზებულია ინვესტიციების (უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში) სტატისტიკური ინფორმაცია, ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი, დადგენილია კორელაციური კავშირები ინვესტიციებსა და რეგიონში წარმოებულ მშპ-ს შორის.

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი უთანაბრობა რეგიონებს შორის ინვესტიციების განაწილებაში, რაც მიუთითებს საინვესტიციო ინფრასტრუქტურის მიმართ უფრო დაბალანსებული მიდგომის გამოყენების აუცილებლობაზე. ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკური, შედარებითი, სტრუქტურული და ფაქტორული ანალიზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: მშპ, რეგიონი, ინვესტიციები, კორელაციური ანალიზი, უთანაბრობა.

INVESTMENTS AS THE MAIN FACTOR IN THE DEVELOPMENT OF GEORGIAN REGIONS

Natela Vashakidze

Associate Professor, Akaki Tsereteli State University
<https://orcid.org/0009-0001-3354-6777>
E-mail: Natela.vashakidze@atsu.edu.ge

Natia Kurdgelia

PhD in Economics, Invited Lecturer at Vocational Educational Center of Akaki Tsereteli State University
<https://orcid.org/0009-0007-6670-7307>
E-mail: natiakurdgelia1976@gmail.com

ABSTRACT

Every region represents a unique economic system. Any option for regional economic policy requires a significant level of investment, which is closely related to solving the problem of institutional development of regions. Innovative scenarios for regional development are unthinkable without the involvement of private business. Accordingly, in modern socio-economic conditions, it would probably be illusory for the region to only expect state support and not take action to overcome a number of problems on its own.

Unfortunately, there are few competitive regions in Georgia that could play a driving role in the process of economic growth. This has an extremely negative impact on the qualitative and quantitative indicators of the national economy.

The author analyzed statistical information on investments (Foreign direct investment and investment in fixed assets), conducted regression analysis, and established correlations between investments and GDP generated in the region.

The analysis revealed significant disparities in the distribution of investments between regions, indicating the need for a more balanced approach to investment infrastructure. The paper uses statistical, comparative, structural, and factor analysis methods.

Key Words: GDP, region, investments, correlation analysis, inequality.



ქირითადი ნაწილი

საქართველოს რეგიონების არათანაბარი განვითარება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში კრიტიკულ ზღვარს აღწევს, მწვავე თანამედროვე ეკონომიკური პრობლემაა. როგორც წესი, დამატებული ღირებულების წარმოება, ინვესტიციები და საუკეთესო ადამიანური რესურსები კონცენტრირებულია წარმატებულ ქალაქებსა და რეგიონებში.

საქართველოსთვის კვლავ მნიშვნელოვანია დედაქალაქის ფაქტორი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბოლო წლებში მშპ-ის ნახევარზე მეტი ყოველთვის თბილისში იქმნებოდა. 2023 წელს მან 72,7% შეადგინა, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წლიდან დაფიქსირდა 2011 წელს - 53,3%, ყველაზე დაბალი კი 2021 წელს - 49,8% [3, გვ.22]. რაც შეეხება უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს, მათი 82% მოდის თბილისსა და აჭარის არ-ზე, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციებისთვის ეს მაჩვენებელი 75%-ია [4] (იხ. ნახაზი 1-2).


საწინააღმდეგო, საქართველოში მცირეა კონკურენტუნარიანი რეგიონები, რომლებიც შეძლებდნენ მამოძრავებელი როლის შესრულებას ეკონომიკური ზრდის პროცესში. აღნიშნული უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.

საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების კვლევას არაერთი ქართველი მეცნიერის შრომა მიეძღვნა (ბარათაშვილი, 2009; სიხარულიძე, 2018; ღვთაძე, ჩიხლაძე, 2020; მესხია, გველესიანი, 2010; ჩიხლაძე, 2021; უგულავა, 2023 და სხვა), თუმცა ინვესტიციების კონტექსტში მათში სხვადასხვა რაკურსით ფიგურირებს, რაც პრობლემის აქტუალობას განაპირობებს [1,2,6,7,8,10].


ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი - „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“ მიზნად ისახავს ევროკავშირის ღირებულებებთან ჰარმონიზებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას და მაღალმთიანი რეგიონების განვითარება (მიზანი 12).

მთავრობა გეგმავს მომდევნო წლებში ევროკავშირის კარგი პრაქტიკისა და შესაბამისი დაგეგმვისა და განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ეფექტიანი რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებას [9, გვ.153].

თანამედროვე პირობებში ინოვაციურ ტექნოლოგიურ ცვლილებებს შეუძლიათ შექმნან ხელსაყრელი გარემო რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრას ართულებს ინვესტიციების ნაკლებობა. ამ თვალსაზრისით სტრატეგიული როლი სა-



ნახაზი 1



ნახაზი 2

ცხრილი 1

მშპ-ის განაწილება, FAI და FDI საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2023 წელი [5]

რეგიონი	მშპ საბაზრო ფასებში (მლნ ლარი)	FAI (მლნ ლარი)	FDI (ათასი აშშ დოლარი)
თბილისი	42 620,8	4410,3	1 510 711,7
აჭარის ა.რ.	7 686,3	465,8	69 418,2
გურია	1 394,8	46,6	2 230,5
იმერეთი	6 347,1	194,3	53 873,3
კახეთი	4 068,9	193,8	8 549,8
მცხეთა-მთიანეთი	2 196,1	211,7	24 333,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	478,8	21,8	3 858,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 403,2	221,2	58 282,8
სამცხე-ჯავახეთი	2 335,7	214,3	-39 357,1
ქვემო ქართლი	6 072,4	325,0	200 952,5
შიდა ქართლი	3 278,5	180,3	35 609,5
სულ	80 882,8	6488,9	1 928 462,4

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის (www.geostat.ge) მონაცემების მიხედვით

ხელმწიფოს ეკუთვნის, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნისა და რეგიონების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები.

ინვესტიციებზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით შევქმენით სათანადო ანალიზური ცხრილი სამი ძირითადი მაჩვენებლით (იხ.ცხრ. 1). გავითვალისწინეთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Foreign Direct Investment - FDI) აღნიშნავს უცხოური კაპიტალის წმინდა ნაკადებსა და საკუთრების ცვლილებას, ხოლო ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (Fixed Asset Investment - FAI) ასახავს რეალური ეკონომიკის კაპიტალური მშენებლობისა და წარმოების შესაძლებლობების ზრდას. მშპ-ის სახით ცხრილში მოტანილია ამ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის

რეგიონული განაწილება.

გამოვეყნებთ სამი კლასტერი და მოვახდინებთ რეგიონების დაჯგუფება კლასტერების მიხედვით (იხ. ცხრ 2).

პირველ კლასტერში მშპ-ის მაჩვენებლები დაჯგუფდა, მეორეში - ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, ხოლო მესამეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი ყველა მაჩვენებლის მიხედვით სამივე კლასტერის პირველ პოზიციაზეა. ყველა კლასტერის ბოლო პოზიციაზეა („დაბალი“) გურია და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (იხ. ცხრ 3).

საქართველოს რეგიონებში საწარმოთა ზომის მიხედვით ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების განაწილების ანალიზმა ცხადყო, რომ ზომასა და ამ მაჩვენებლის

ცხრილი 2

კლასტერული ანალიზის და რეგიონების კლასტერული დაჯგუფების შედეგები

მშპ საბაზრო ფასებში (მლრდ ლარი)	FAI (მლნ ლარი)	FDI (ათასი აშშ დოლარი)
<i>მსხვილი > 6 მლრდ ლარი</i>	<i>მსხვილი > 300 მლნ.ლარი</i>	<i>მსხვილი > 200 მლნ.\$</i>
თბილისი, აჭარის ა.რ., იმერეთი ქვემო ქართლი	თბილისი, აჭარის ა.რ., ქვემო ქართლი	თბილისი, ქვემო ქართლი
<i>საშუალო: 3-6 მლრდ ლარი</i>	<i>საშუალო: 200-300 მლნ. ლარი</i>	<i>საშუალო: 35-200 მლნ.\$</i>
სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, კახეთი	მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი	იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი
<i>დაბალი: < 3 მლრდ ლარი</i>	<i>დაბალი: < 200 მლნ.ლარი</i>	<i>დაბალი: < 35 მლნ.\$</i>
გურია, მცხეთა-მთიანეთი სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	გურია, იმერეთი კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი	აჭარის ა.რ., გურია, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

ცხრილი 3

ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების განაწილება რეგიონებში, საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით [4]

რეგიონი	იფა	ხვ.წილი, %	რეგიონი	იფა	ხვ.წილი, %
საქართველო	6 488,9	100,0	მცხეთა-მთიანეთი	211,7	100,0
მსხვილი	3 546,3	54,7	მსხვილი	165,2	78,0
საშუალო	1 506,6	23,2	საშუალო	23,8	11,2
მცირე	1 436,0	22,1	მცირე	22,7	10,7
ქ. თბილისი	4 410,3	100,0	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	21,8	100,0
მსხვილი	2 689,9	61,0	მსხვილი	0,0	0,0
საშუალო	973,7	22,1	საშუალო	0,2	0,0
მცირე	746,7	16,9	მცირე	21,6	100,0
აჭარა	465,8	100,0	სამეგრელო-ზემო სვანეთი	221,2	100,0
მსხვილი	146,6	31,5	მსხვილი	80,3	36,3
საშუალო	178,4	38,3	საშუალო	72,9	33,0
მცირე	140,8	30,2	მცირე	68,1	30,8
გურია	46,6	100,0	სამცხე-ჯავახეთი	214,3	100,0
მსხვილი	16,1	34,5	მსხვილი	165,1	77,0
საშუალო	10,8	23,2	საშუალო	28,0	13,1
მცირე	19,8	42,5	მცირე	21,3	9,9
იმერეთი	194,3	100,0	ქვემო ქართლი	325,0	100,0
მსხვილი	38,0	19,6	მსხვილი	149,8	46,1
საშუალო	87,1	44,8	საშუალო	68,4	21,0


მცირე	69,2	35,6	მცირე	106,8	32,9
კახეთი	193,8	100,0	შიდა ქართლი	180,3	100,0
მსხვილი	39,1	20,2	მსხვილი	52,9	29,3
საშუალო	48,5	25,0	საშუალო	14,6	8,1
მცირე	106,2	54,8	მცირე	112,8	62,6

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის (www.geostat.ge) მონაცემების მიხედვით

სიდიდეს შორის რაიმე ლოგიკური კავშირი არ იკვეთება (იხ. ცხრ. 3). თუმცა, არის გამორჩეული შემთხვევებიც. მაგალითად, რეგიონებს შორის სანარმოთა ზომის მიხედვით ყველაზე თანაბარი განაწილება აჭარის არ-ში (31,5%, 38,3% და 30,2%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში გვაქვს (36,3%, 33% და 30,8%). რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მთლიანი მოცულობა მხოლოდ მცირე სანარმოებზე მოდის. მსხვილ სანარმოებში იფა-ს მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა თბილისი (61%) და მცხეთა-მთიანეთი (78%).


კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების განაწილების ანალიზი. შედეგებმა გვიჩვენა, რომ ძირითადად დომინირებს კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები) სექტორი (60-85%). მათ შორის კერძო უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები შედარებით მაღალი ხვედრითი წილით რამდენიმე რეგიონში გამოიკვეთა: თბილისი (21%), შიდა ქართლი (35%), აჭარის არ (38%), სამცხე-ჯავახეთი (82%).

ჩატარებული რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს სტატისტიკურად მნიშვნელოვან და ძლიერ დადებით კავშირს ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობასა და რეგიონულ (რეგიონების მიხედვით განაწილებულ) მშპ-ს შორის საქართველოს 11 რეგიონის მიხედვით (თბილისისა და აჭარის არ ჩათვლით). დეტერმინაციის კოეფიციენტი $R^2=9861$ მიუთითებს, რომ რეგიონული მშპ-ის ვარიაციების 98,6% აიხსნება ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის ცვლილებით (იხ. ნახ. 3).



ნახაზი 3

კავშირი ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობასა და რეგიონების მიხედვით განაწილებულ მშპ-ს შორის საქართველოს რეგიონების მიხედვით (თბილისის ჩათვლით)



ნახაზი 4.

კავშირი ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობასა და რეგიონების მიხედვით განაწილებულ მშპ-ს შორის საქართველოს რეგიონების მიხედვით (თბილისის გარეშე)

დედაქალაქის გარეშე დეტერმინაციის კოეფიციენტი შედარებით მცირეა, თუმცა მაღალ მნიშვნელობას ინარჩუნებს ($R^2=0,6257$). შედეგი მიუთითებს, რომ რეგიონული მშპ-ის ვარიაციების 62,5% აიხსნება ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის ცვლილებით (იხ. ნახ 4).

საზოგადოდ, ინვესტიციები მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს რეგიონებში მშპ-ის ფორმირებას, ეაც იშლება სამი ძირითადი ვექტორის მიხედვით: ინფრასტრუქტურული პროექტები, ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მექანიზმების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სივრცითი კონტექსტი (იხ. ცხრილი 4).

როგორც მოსალოდნელი იყო, ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობასა და რეგიონულ (რეგიონების მიხედვით განაწილებულ) მშპ-ს შორის საქართველოს 11 რეგიონში კორელაციური კავშირების შესწავლამ კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტების სხვადასხვა მნიშვნელობები გამოავლინა (იხ. ცხრ. 4). R^2 ყველაზე მაღალია აჭარის არ-ში (0,751), იმერეთსა (0,752) და კახეთში (0,728), ხოლო მინიმალურია რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში (0,215) და შიდა ქართლში (0,228).

დასკვნა

ინვესტიციების სტრუქტურა, მათ შორის რეგიონულ ჭრილშიც, არასაკმარისად არის დივერსიფიცირებული და ხშირ შემთხვევაში სანედლეულო ბაზას ემყარება. ეს ინვესტ მალალ დამოკიდებულებას მსოფლიოს ბაზრებზე.

კავშირი ფიქსირებულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობასა და რეგიონების მიხედვით განაწილებულ მშპ-ს შორის საქართველოს 11 რეგიონში

რეგიონი	კორელაციის კოეფიციენტი, R	დეტერმინაციის კოეფიციენტი, R ²
თბილისი	0,735	0,540
აჭარის ა.რ.	0,867	0,751
გურია	0,558	0,312
იმერეთი	0,867	0,752
კახეთი	0,853	0,728
მცხეთა-მთიანეთი	0,510	0,260
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,464	0,215
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0,756	0,572
სამცხე-ჯავახეთი	0,215	0,046
ქვემო ქართლი	0,589	0,347
შიდა ქართლი	0,477	0,228

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ

ჩვენი აზრით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მსხვილი ინვესტორები არ ავლენენ ინტერესს გრძელვადიანი და შედარებით ნაკლებმოგებიანი პროექტების დაბანდებისადმი (სოციალური სფერო, კომუნიკაციები, სოციალური სფერო და სხვ.).

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონების წარმატებას განაპირობებს მათი გეოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებების გარდაქმნა კონკურენტულ უპირატესობებად, ლოკალური ინიციატივების დაკავშირება გლობალურ ტენდენციებთან.

ინვესტიციების ეფექტიანობის ზრდა უკავშირდება რეალურ სექტორში (მრეწველობა, აგრარული წარმოება, ინფრასტრუქტურა) მათი გადანაცვლების სტიმულირებას და ამავე დროს, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, მოდერნიზაციასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

რეგრესიული და კლასტერული ანალიზის შერწყმა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ არა მარტო ინვესტიციების და რეგიონში წარმოებული მშპ-ის საერთო დამოკიდებულება, არამედ, რეგიონებს შორის სტრუქტურული სხვაობებიც. დისპროპორციების შემცირებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ უნივერსალური ღონისძიებების გამოყენება, არამედ კლასტერების სპეციფიკის გათვალისწინებით ე.წ. „ნერტილოვან ინვესტიციებზე“ გადასვლა.

მდგრადი ზრდის მიღწევა შესაძლებელია სწორედ „ნერტილოვანი“ ქმედებებით, რომელიც გაითვალისწინებს ზრდის ცენტრების აგლომერაციული უპირატესობების და პერიფერიების ინფრასტრუქტურული/ციფრული პლატფორმების მხარდაჭერის შერწყმას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2009;
2. გველესიანი ე., მესხია ი., (2010) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი;
3. კურდღელია ნ., (2025) მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 21-31. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2025.29.02> ;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სანარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა. <https://surl.li/buzjuk>; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი. <https://surl.li/bbxugy>;
5. სიხარულიძე დ., (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება;
6. უგულავა გ., (2023) ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა. „ივერიონი,“ თბ., გვ.125;
7. ჩიხლაძე ნ., (2021) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები. ქუთაისი, „მბმ პოლიგრაფი“;
8. „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“. <https://surl.li/ydheyj>;
9. Gvartadze G., Chikhladze N., (2020) Opportunities of Using Regional Investment Risk for the Improvement of Regional Development Diagnostics. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, vol. 14, #3 : 135-141. <http://science.org.ge/bnas/vol-14-3.html>;
10. European Commission. The EU's main investment policy URL: <https://surl.lu/pwvdup>.

საერთაშორისო დაბეგვის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.08>

რეზიუმე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო საგადასახადო სისტემის ცვლილებები დიდ გამოწვევად იქცა მსოფლიოსთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკური სტრუქტურა დამოკიდებულია უცხოურ კაპიტალზე. საქართველო მათ შორისაა. გლობალური მინიმალური გადასახადის (15%) ამოქმედებამ, დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სტანდარტების მიღებამ, აგრეთვე საერთაშორისო გამჭვირვალობის ახალმა მოთხოვნებმა, მნიშვნელოვნად შეცვალა ის გარემო, რომელშიც ჩვენი ქვეყანა, ინვესტიციებისთვის კონკურენციას ართმევდა თავს. ამ სტატიაში განხილულია, როგორ აისახა ეს ცვლილებები საქართველოს ეკონომიკის დინამიკაზე, საინვესტიციო გარემოზე და ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ანალიზი ეფუძნება ბოლო წლების ეკონომიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებსა და ადგილობრივ სტრუქტურულ რეალობას. დასკვნა ხაზს უსვამს, რომ გრძელვადიანი განვითარება საჭიროებს გადასვლას იმ მოდელიდან, სადაც მთავარი უპირატესობა დაბალი გადასახადები იყო, ისეთ ეკონომიკაზე, რომელიც კონკურენციას გაუძღვება ცოდნაზე, ადამიანურ კაპიტალსა და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სისტემა, დასაბეგრი ბაზის შემცირება, მოგების გადატანა, პირდაპირი ინვესტიცია.



ნიკა ხულორდავა
სსუ ბიზნესის ადმინისტრირების
მიმართულების დოქტორანტი
<https://orcid.org/0009-0003-6468-5969>
Email: nikakhulordava.1@gmail.com

THE IMPACT OF INTERNATIONAL TAXATION ON THE GEORGIAN ECONOMY

Nika Khulordava
Doctoral student in Business Administration, GSU
<https://orcid.org/0009-0003-6468-5969>
Email: nikakhulordava.1@gmail.com

ABSTRACT

Over the past decade, international tax reforms have significantly reshaped the global economic landscape, particularly for small open economies that rely heavily on foreign investment. Georgia is among the countries most affected by these changes. The implementation of the 15% global minimum tax, the BEPS standards, and stricter international transparency requirements have fundamentally altered the environment in which Georgia previously competed through low tax rates. This paper examines how these transformations influence Georgia's economic dynamics, investment climate, and fiscal policy. The analysis draws on recent economic data, international assessments, and domestic structural characteristics. The paper concludes that Georgia must adjust its development model by reducing its dependence on tax-driven incentives and transitioning toward an economy built on knowledge, innovation, productivity, and human capital.

Keywords: Tax system, tax base reduction, profit shifting, direct investment.

შისავალი

საერთაშორისო საგადასახადო წესრიგი, რომელიც წინა საუკუნის განმავლობაში ეტაპობრივად, ნელა და ფრთხილად იცვლებოდა, დღეს სრულიად ახალ ფაზაშია შესული. ტექნოლოგიურმა გლობალიზაციამ, ტრანსნაციონალური კომპანიების გაძლიერებამ, ფინანსური ნაკადების უპრეცედენტო მობილობამ და ციფრული ეკონომიკის ნელ-ნელა დომინაციამ ქვეყნები პრაქტიკულად აიძულა, წარმოედგინათ საგადასახადო სისტემის ფუნქციონირება სრულიად ახალი კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის მრავალ უპირატესობას ვხედავთ, მან ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევები შექმნა: მოგების ხელოვნური გადატანა, დაბეგვრის თავიდან აცილების რთული სქემები და ქვეყნებს შორის საგადასახადო კონკურენცია ხშირად გამოიხატებოდა არა ინოვაციებითა და პროდუქტიულობით, არამედ განაკვეთის მაქსიმალური შემცირებით.

საქართველოს შემთხვევაში ეს ტენდენცია განსაკუთრებით კარგად ჩანს. როგორც მცირე ეკონომიკას, რომელსაც შიდა ბაზარი შეზღუდული აქვს, საქართველოს უწევდა გარდაუვალი არჩევანის გაკეთება: ან დაედო აქცენტი იმაზე, რითაც შეუძლია კონკურენცია, მარტივობა, დაბალი გადასახადები, მოქნილი რეგულაციები, ან შეექმნა ისეთი ეკონომიკა, რომელიც კონკურენციას გაუძლებდა შიდა ბაზრის ზომის მიუხედავად. საქართველომ პირველი გზა აირჩია, და გარკვეული პერიოდი ეს გზა ეფექტიანი აღმოჩნდა.

თუმცა, თანამედროვე საგადასახადო რეფორმები ამ მიდგომას მნიშვნელოვნად ასუსტებს. გლობალური მინიმალური გადასახადი, რომელიც 15%-იან მდგრად ზღვარს აწესებს საერთაშორისო კომპანიებისთვის, საქართველოს მსგავს ქვეყნებს ფაქტობრივად ართმევს ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ნელა გადადის ბიზნესგარემოს ისეთ სტრუქტურაზე, სადაც კონკურენცია აღარ არის განაკვეთში, არამედ, რეალურ ეკონომიკურ აქტივობაში, ადამიანურ კაპიტალში, ინფრასტრუქტურასა და პროდუქტიულობაში.

სტატიის მიზანი სწორედ ამ პროცესის ანალიზია: როგორ მოქმედებს საერთაშორისო საგადასახადო ტრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკაზე, რას კარგავს ქვეყანა, რას იძენს და მნიშვნელოვნად, რა შეიძლება გააკეთოს, რათა მომავალი ეკონომიკური მოდელი იყოს მდგრადი, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე გლობალურ წესრიგზე მორგებული.

საქართველოს საგადასახადო მოდელის ისტორიული ევოლუცია

საქართველოს საგადასახადო სისტემა 2000-იანი წლების დასაწყისიდან ემყარებოდა სამ მთავარ პრინციპს:

- დაბალი განაკვეთები;
 - მარტივი ადმინისტრირება;
 - ინვესტორებისთვის პროგნოზირებადი გარემო.
- სწორედ ამ სამი კომპონენტის ერთობლიობამ შექმნა ის ფონი, რომელზეც უცხოური ინვესტიციები შედა-

რებით სწრაფად იზრდებოდა. ფაქტია: საქართველოს გარკვეული პერიოდი, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთი ჰქონდა ევროპისა და აზიის მასშტაბით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოგების გადასახადის განაწილებაზე გადასახდელ მოდელს, რომელიც არსებითად ცვლიდა მიდგომას: თუ კომპანიამ მოგება არ გაანაწილა, გადასახდსაც არ იხდიდა. ასეთი მოდელი ინვესტორებს საშუალებას აძლევდა თავისუფლად აღედგინათ რეინვესტიციები, რაც ეკონომიკურ აქტივობას უწყობდა ხელს.

როდესაც ეს სისტემა 2017 წელს ამოქმედდა, ინვესტიციების მოცულობის ზრდა მართლაც შეინიშნა. საქსტატის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური ნაკადი 20%-ით გაიზარდა სწორედ რეფორმის შემდგომ წელს. თუმცა ამ წარმატებას გარკვეული ჩაკეტილობაც ჰქონდა, სისტემა მეტწილად ემყარებოდა გათვლას, რომ დაბალი გადასახადი თავისთავად მოიზიდავდა ბიზნესს. ეს ლოგიკა მაშინ მუშაობდა, როცა მსოფლიო საგადასახადო წესრიგი ფრაგმენტული იყო. მაგრამ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) გაძლიერების შემდეგ კომპანიებს ემუქრებათ დამატებითი დაბეგვრა თავიანთ ქვეყანაში, თუ საქართველოში გადახდილი გადასახადი 15%-ზე დაბალია. შედეგად, საქართველოს დაბალ განაკვეთს აღარ მოაქვს ის ეფექტი, რაც ადრე ჰქონდა.

საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS), გლობალური მინიმალური გადასახადი და მათი პრაქტიკული გავლენა

მთავარი მიზანი მარტივია: მოგება დაიბეგროს იქ, სადაც ის რეალურად იქმნება.

ამ პრინციპის გარშემო აგებულია 15 მიმართულება, რომელთაგან საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანებია:

- ტრანსფერული ფასების მკაცრი წესები;
- ეკონომიკური არსის მოთხოვნა;
- დაბეგვრის შეუსაბამობების აღმოფხვრა;
- ხელოვნური სტრუქტურების აღმოფხვრა.

ეს ნიშნავს, რომ კომპანიებს აღარ შეუძლიათ მოგების გადატანა დაბალი დაბეგვრის ქვეყნებში მარტო იმისთვის, რომ ნაკლები გადაიხადონ.

გლობალური მინიმალური გადასახადი კი დამატებით განსაზღვრავს:

თუ კომპანია ქვეყანაში 15%-ზე ნაკლებს იხდის, სხვაობას მაინც გადაიხდის იმ ქვეყანაში, სადაც რეზიდენციაა.

ეს პირდაპირ ართმევს ბიზნესს მოტივაციას, საქართველოში მხოლოდ საგადასახადო მიზეზით მოვიდნენ.

ეკონომიკური სტრუქტურის თავისებურებები და საგადასახადო ცვლილებებზე რეაგირების მექანიზმები

საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურა ისეთი კონფიგურაციით ხასიათდება, რომელიც საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებებისადმი მაღალი მგრძობე-

ლობით გამოირჩევა. ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ სისტემაში დომინანტი ადგილი უკავია მომსახურებას, რომლის წილი 55-60%-ს შორის მერყეობს. ამავე დროს, მრეწველობა ქმნის 23-25%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობა - 7-8%-ს. ასეთი განაწილება აჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკა დიდწილად ეფუძნება იმ სექტორებს, რომლებიც გარე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებზე სწრაფად რეაგირებს.

მომსახურების სფეროს მაღალი წილი იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო გარემოს ცვლილებები უმეტესად იმ სექტორებზე მოქმედებს, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებთან არიან დაკავშირებული. ეს სექტორები დამოკიდებულნი არიან არა მხოლოდ ადგილობრივ მაკროეკონომიკურ პირობებზე, არამედ გლობალურ ფინანსურ დინამიკაზე. აქედან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება გავლენას ახდენს:

- ეკონომიკური აქტივობის მოცულობაზე;
- საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე;
- კომპანიის სტრატეგიების გადასაწყვეტაზე.

სექტორები, რომელთა პროდუქტები და სერვისები გლობალურ ბაზარზე თავისუფლად გადაადგილდება, უფრო მაღალი მგრძობელობით გამოირჩევიან. მაგალითად, ფინანსური მომსახურება, საერთაშორისო ტრანსპორტირება, ტურიზმი და ტექნოლოგიური ბიზნესები საგადასახადო ცვლილებებზე სწრაფად რეაგირებენ.

გლობალური ეკონომიკური სივრცის ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობა აღარ განისაზღვრება მხოლოდ დაბალი განაკვეთებით. ქვეყნებს ევალება ისეთი სტანდარტების დაცვა, როგორებიცაა საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS)-ის ჩარჩო, მოგების განაწილების წესები და გამჭვირვალობის მოთხოვნები.

ასეთ პირობებში საქართველოს სტრუქტურა - სადაც მომსახურებაზე მოდის ეკონომიკის ნახევარზე მეტი - განსაკუთრებულად დამოკიდებულია საერთაშორისო შესაბამისობის ხარისხზე. საგადასახადო პოლიტიკის ყოველგვარი ცვლილება ამ სექტორებში ინვესს არა მხოლოდ მოგების გადაადგილებას, არამედ ოპერაციული მოდელების გადახედვასაც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა მიუთითებს, რომ მცირე და ღია ეკონომიკები მეტად რეაგირებენ საგადასახადო გარემოს ცვლილებებზე. თუმცა თანამედროვე მიდგომებში ინვესტიციის მოცულობა აღარ არის საკმარისი მაჩვენებელი; გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მისი სტრუქტურა და ხარისხი.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხოლოდ საგადასახადო შეღავათებით მოზიდული კაპიტალი ნაკლებად მდგრადია. მნიშვნელოვნად უფრო სტაბილურია ინვესტიციები, რომლებიც მიმართულია:

- ცოდნაზე დაფუძნებულ პროდუქტებზე,
- ტექნოლოგიურ განახლებაზე,
- ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

ასეთი სახის ინვესტიციები ქმნის პროდუქტიულობის ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის საფუძველს.

საქართველოს ეკონომიკაში მცირე და საშუალო

მენარმეობა მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი, თუმცა მათი ოპერირების სპეციფიკა მათ ხშირად აყენებს მაღალი ადმინისტრაციული ტვირთის წინაშე. საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების სწრაფი ტემპით ცვლილება მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სექტორისთვის განსაკუთრებული გამოწვევაა, რადგან:

- რეგულაციების ინტერპრეტაცია რთულდება,
- შესაბამისობის ხარჯები მატულობს,
- ინოვაციურ პროცესებში ჩართულობა დაბალია.

ამიტომ სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა მცირე და საშუალო ბიზნესის (SME)-ს სექტორის მხარდაჭერა, ცოდნის გაზრდა და ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

საქართველოს ეკონომიკა, რომლის თითქმის 60% მომსახურებაზეა კონცენტრირებული, ძალიან მგრძობიარეა საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების მიმართ. გლობალურ ეკონომიკურ გარემოში, სადაც საერთაშორისო შესაბამისობა სავალდებულო სტანდარტად იქცა, ქვეყნის სტრუქტურა მოითხოვს მაღალ ხარისხზე ორიენტირებულ ინვესტიციურ პოლიტიკას, მაღალი მობილობის სექტორების გაძლიერებას და მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სექტორის სისტემურ მხარდაჭერას.

ეს მიდგომა ქმნის წინაპირობას არა მხოლოდ მოკლევადიანი სტაბილურობისთვის, არამედ გრძელვადიანი, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს ეკონომიკა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევებსა და შესაძლებლობებს წააწყდა საერთაშორისო საგადასახადო რეფორმების კუთხით. ეს განსაკუთრებით შეეხო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელთა მოცულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადგილობრივ საგადასახადო რეჟიმზე, არამედ გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე.

2014-2018 წლებში საქართველოში საშუალო წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)-ის მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 1.6 მლრდ აშშ დოლარს, რაც ქვეყნის მშპ-ის 7-10% წარმოადგენდა. ასეთი მაჩვენებელი რეგიონულ ეკონომიკებში მაღალ შეფასებად ითვლება და მიუთითებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინვესტორთა მაღალი ინტერესის არსებობაზე.

თუმცა, 2019-2021 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 30%-ით შემცირდა. მცირედი კლება განპირობებული იყო COVID-19 პანდემიით, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა გლობალურ რეგულაციურ ცვლილებებსაც, რომლებიც ითხოვდა მენარმეთა სტრატეგიულ გადახედვას. ამ პერიოდში ინვესტორები მეტად ფრთხილდებოდნენ რისკების, რეგულაციების გამკაცრებისა და საერთაშორისო საბაზისო შემცირების შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.

2022-2023 წლებში დაფიქსირდა ინვესტიციების ნაწილობრივი აღდგენა. საერთაშორისო ორგანიზაციების (IMF, World Bank) შეფასებით, აღდგენის 40%-ზე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), მლნ დოლარი

წელი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), მლნ დოლარი	შენიშვნა / წყარო
2017	1 990.5	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მაღალი იყო. ამას განაპირობებდა სტაბილური ეკონომიკური გარემო, უცხოური ინვესტორთა ნდობა და მსხვილი ინფრასტრუქტურული, ენერგეტიკული და სამრეწველო პროექტების განხორციელება
2018	1 350.6	დაფიქსირდა მნიშვნელოვანი შემცირება წინა წელთან შედარებით. კლება დაკავშირებული იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებებთან, რეგულატორული გარემოს განახლებასთან და გლობალური ეკონომიკის მცურავ ტენდენციებთან.
2019	1 367.8	ინვესტიციები წინა წელთან შედარებით თითქმის უცვლელი იყო. ეკონომიკა ნაწილობრივ სტაბილიზირდა, ინვესტორები კონცენტრირდნენ საბანკო, უძრავი ქონებისა და მომსახურების სექტორზე, რაც ხელს უწყობდა მცირე ზრდას.
2020	596.2	დაფიქსირდა მკვეთრი ვარდნა COVID-19 პანდემიის გამო. შეჩერდა მრავალი საერთაშორისო პროექტი, შემცირდა ინვესტიციები ტურიზმის, მომსახურების და წარმოების სექტორებში, ეკონომიკური აქტივობა თითქმის მთელ წელს შემცირებული იყო.)
2021	1 264.9	დაიწყო ეკონომიკური აღდგენა პანდემიის შემდგომი შოკის შემდეგ. ინვესტიციების ზრდა განპირობებული იყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, საგადასახადო სტიმულებით და საერთაშორისო ინვესტორთა ნდობის ნაწილობრივ აღდგენით.
2022	2 224.2	დაფიქსირდა ინვესტიციების პიკი. ამას ხელი შეუწყო მსხვილმა საერთაშორისო პროექტებმა, ენერგეტიკული და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გაფართოებამ. უკრაინაში ომმა რეგიონალური გეოპოლიტიკური დინამიკა შეცვალა: ინვესტორებმა საქართველო უფრო სტაბილურ ალტერნატივად მიიჩნიეს, გაიზარდა ინვესტიციები ენერგეტიკასა და სატრანზიტო სექტორებში. გლობალური ინვესტორების მაღალი ინტერესი ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.
2023	1 928.5	დაფიქსირდა ზომიერი კლება წინა წელთან შედარებით. შემცირება გამოწვეული იყო გლობალური ეკონომიკური სუსტი ტენდენციებით, საერთაშორისო ბაზრების რყევებით და რეგულატორული გარემოს ცვლილებით.
2024	1 569.3	ინვესტიციები შემცირდა წინა წელთან შედარებით. ზრდა ძირითადად დაფიქსირდა ენერგეტიკასა და მაღალტექნოლოგიურ სექტორში, ხოლო სხვა სექტორებში დაფიქსირდა კლება. მონაცემები დაზუსტებულია commersant.ge-ის მიხედვით.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

მეტი განპირობებული იყო რეგიონული პოლიტიკური ფაქტორებით, რაც მიუთითებს, რომ ეკონომიკური მოტივაცია სუსტი რჩებოდა და საგადასახადო სტიმულები ინვესტორებისთვის უკვე ნაკლებად აქტუალური იყო.
ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ დაბეგვრაზე დამოკიდებული ინვესტიციები არ არის მდგრადი და მათი ზრდა დიდწილად ექვემდებარება-

რება გარე ფაქტორებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინვესტიციების სტრატეგიული გადანაწილება ისეთ სექტორებში, რომლებიც ქმნიან რეალურ ეკონომიკურ ღირებულებას, ზრდიან ადამიანის კაპიტალს, ამყარებენ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს და ზრდიან ქვეყნის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.
რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ პირდა-

პირი უცხოური ინვესტიციები (FDI)-ს მოცულობის ხარისხი საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა გახდეს, ვიდრე მისი რაოდენობრივი ზრდა. დაბეგვრის საფუძველზე მოზიდული ინვესტიციები მოკლევადიან ეფექტს ქმნიან და არ უზრუნველყოფენ ეკონომიკის მდგრად განვითარებას. გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველომ ინვესტიციური პოლიტიკა უნდა მიმართოს ინოვაციებზე, ცოდნაზე დაფუძნებულ ბიზნეს-სექტორებზე და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროექტებზე, რაც შეამცირებს გარე ფაქტორების გავლენას და გაზრდის ეკონომიკური სისტემის მდგრადობას.

ფისკალური ანალიზი

თუ საქართველოში მომგებიანი გადასახადის სტრუქტურა მთლიანად შესაბამისი გახდება საერთაშორისო გლობალური მინიმალური 15%-იანი გადასახადის მოთხოვნებს, სახელმწიფოს ბიუჯეტი მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა 400-500 მილიონი ლარით გაიზარდოს. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ზრდა არ იქნება სამუდამო და მას ახლავს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეფექტი, რომლებიც ცხადყოფს კლასიკურ ფისკალურ დილემას: მეტი შემოსავალი შესაძლოა მოყვეს ინვესტიციების შემცირებასა და ეკონომიკური აქტივობის შენელებას.

მოკლევადიანი ეფექტები

მოკლევადიან პერიოდში ბიუჯეტის ზრდა დამოკიდებულია იმაზე, რომ საქართველოში უკვე არსებულ კომპანიებს მოუწევთ გადასახადის რეგულარული გადახდა შესაბამისი განაკვეთით. ეს უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების ზრდას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე ან ეკონომიკის სტიმულირებაზე. თუმცა ამავე პერიოდში შესაძლოა მოსალოდნელი ეფექტებია:

- უცხოური ინვესტიციების დროებითი შემცირება, რადგან მაღალი გადასახადის პირობებში ზოგი საერთაშორისო კომპანია გადახედავს თავისი საქმიანობის ლოკალიზაციას;
- მცირე და საშუალო ბიზნესი (SME) შესაძლოა გაიზარდოს ფინანსური წნეხი, რაც ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შეიძლება შეფერხებდეს მათი განვითარება;
- ეკონომიკური ზრდის შენელება იმ სექტორებში, რომლებიც მნიშვნელოვან წილს შეადგენენ ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებით მომსახურების სფეროებსა და მაღალი მობილობის მქონე საერთაშორისო აქტივებში.

გრძელვადიანი ეფექტები

გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსური ეფექტები უფრო სიღრმისეულ კონტექსტში შეიძლება განისაზღვროს:

- ბიუჯეტის შემოსავალი სტაბილიზირდება, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დაგეგმოს გრძელვა-

დიანი და პროგნოზირებადი ფისკალური პოლიტიკა;

- ინვესტიციები დაიწყებს ხარისხზე ორიენტირებას. კომპანიები, რომლებიც ქვეყანაში ინვესტირებენ მხოლოდ გადასახადის შემცირების მიზნით, დაკარგავენ მოტივაციას, ხოლო ინვესტიციები გადაინაცვლებს ისეთ სექტორებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნაზე დაფუძნებულ ზრდას, ინოვაციასა და მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს;
- ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია - მაღალმძლევადი ტექნოლოგიების, IT-სექტორის, ფინანსური სერვისებისა და ლოჯისტიკის განვითარების ხელშეწყობა გაზრდის ეკონომიკის მდგრადობას, შემცირდება მაღალი მობილობის მქონე კაპიტალის ხანმოკლე ეფექტი.

• ქვეყანა მიიღებს უფრო პროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოს, რაც ხელს უწყობს გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ BEPS-ის სტანდარტებისა და გლობალური მინიმალური გადასახადის პირობებში საქართველო იძულებულია გადახედოს თავის საგადასახადო პოლიტიკას, კერძოდ, მოარგოს იგი ისეთ მოდელზე, რომელიც მეტად ეფუძნება ეკონომიკის ხარისხსა და სტრუქტურას, ვიდრე შეინარჩუნოს მარტივი და დაბალი განაკვეთის მქონე მოდელი. ეს სტრატეგიული გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ქვეყანას მდგრადი ფინანსური შემოსავლები მიიღოს და შეამციროს გარე შოკებისადმი დამოკიდებულება, რომელიც დღეს მნიშვნელოვან რისკად რჩება მცირე და ღია ეკონომიკისთვის.

საქართველოს ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) წილი განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა. ქვეყანაში მოქმედი კომპანიების დაახლოებით 97% სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა მათი წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკურ გამოშვებაში მხოლოდ 58%-ს შეადგენს. ეს ცხადყოფს, რომ მიუხედავად დიდი რაოდენობისა, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ვერ ქმნის ეკონომიკაში პროპორციულ წვლილს, რაც ხაზს უსვამს მის მონყვლადობას გლობალურ ცვლილებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით საერთაშორისო საგადასახადო წესრიგის გამკაცრების პირობებში.

ადმინისტრაციული გამოწვევები

მცირე და საშუალო ბიზნესი ყველაზე დაუცველია საერთაშორისო რეგულაციების მიმართ. საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS) სტანდარტების, ტრანსფერული ფასების მართვისა და სხვა საერთაშორისო საგადასახადო მოთხოვნების თანმიმდევრული აღსრულება მათთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. კონკრეტულად:

- საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS) სტანდარტები რთულად გასაგებია - მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიები ხშირად ვერ აცნობიერებენ, როგორ უნდა შეასრულონ ინვოისების სწორად დოკუმენტირება, ტრანსფერების მართვა ან საერთაშორისო ანგარიშგების ნორმების დაცვა. ეს

ცოდნის ნაკლებობა ზრდის საგადასახადო შემონმების რისკს და შეიძლება დამატებითი ფინანსური ჯარიმების მიზეზი გახდეს.

- ტრანსფერული ფასების მართვა მძიმე ტვირთია - მცირე კომპანიებს ხშირად არ აქვთ შესაბამისი სპეციალისტების მომსახურება ან რესურსი, რომ მოამზადონ გამჭვირვალე ტრანსფერული ფასების პოლიტიკა. შედეგად, ისინი იძულებული არიან დახარჯონ დამატებითი ფინანსური და დროითი რესურსი, რაც მათი საქმიანობის ეფექტურობას ამცირებს.

- საერთაშორისო ანგარიშგების ცოდნა არ აქვს - საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების (IFRS) ან საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS)-ის მიხედვით ანგარიშგება მცირე კომპანიებისთვის ხშირად ტექნიკურად რთულია. გაუმართავი ანგარიშგება ზრდის რისკებს და ზღუდავს მათ კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე.

- ადმინისტრაციული ხარჯი მკვეთრად იზრდება - საგადასახადო რეგულაციების დაცვა მოითხოვს როგორც ადამიანურ რესურსს, ისე ტექნოლოგიურ მხარდაჭერას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დამატებით ფინანსურ დაბრკოლებას წარმოადგენს.

მცირე და საშუალო ბიზნესის უმეტესობა აცხადებს, რომ საერთაშორისო შესაბამისობა მათთვის ზედმეტად რთულია. ეს არა მხოლოდ ფინანსურ და ადმინისტრაციულ ტვირთს ზრდის, არამედ მათ ბიზნესს აქტიურად აფერხებს ზრდისა და განვითარების პროცესში. შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი უფრო მოწყვლადია გლობალური ცვლილებების მიმართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საერთაშორისო საგადასახადო წესრიგი გამკაცრდება და დაბეგვრის სტიმულები მნიშვნელოვნად მცირდება.

სტრატეგიული მნიშვნელობა და სახელმწიფო როლი

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რადგან იგი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, სტიმულირებს ინოვაციებსა და ზრდის შიდა პროდუქტიულობას. შესაბამისად, სახელმწიფოს როლი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მიზანშეწონილია:

- განათლებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება, რათა მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებს ჰქონდეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის უნარი;

- ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა, რაც შეეხება ხარჯებს და ზრდის კონკურენტუნარიანობას;


- ცოდნის გადაცემა და ტექნოლოგიური მხარდაჭერა, რათა კომპანიებმა შეძლონ ინოვაციების დანერგვა და გლობალურ ბაზრებზე აქტიური მონაწილეობა.

შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის მხარდაჭერა და მისი სტრუქტურული გაძლიერება არ არის მხოლოდ ეკონომიკური საჭიროება - ეს წარმოადგენს ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენს (იხ. დიაგრამა 1-2).


სტრუქტურული ტრანსფორმაციის აუცილებლობა

საქართველოს კონკურენტუნარიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც აღარ განისაზღვრება მხოლოდ საგადასახადო უპირატესობებით, არამედ ეფუძნება ქვეყნის

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

შიდა განვითარების პოტენციალსა და ეკონომიკური სისტემის ხარისხს. თანამედროვე გლობალური გარემო მკაფიოდ აჩვენებს, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდა იქ იქმნება, სადაც არსებობს ძლიერი ადამიანური რესურსი, განვითარებული ინფრასტრუქტურა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობა, ეფექტიანი ინსტიტუციური გარემო და ენერგეტიკული სტაბილურობა. შესაბამისად, საქართველოსთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს:

- ადამიანური კაპიტალის გაძლიერება - განათლების, პროფესიული უნარების და სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესება, რაც ზრდის ეკონომიკის პროდუქტიულ პოტენციალსა და ინოვაციური აქტივობის შესაძლებლობებს.
- ხარისხიანი განათლების სისტემა - თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა, აკადემიური და პროფესიული განათლების რეფორმირება, რაც ემსახურება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას.
- ტექნოლოგიური ეკოსისტემის განვითარება - ინოვაციური სექტორების მხარდაჭერა, სტარტაპებისა და მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ზრდის ქვეყნის მიმზიდველობას გლობალური ინვესტორებისთვის.
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ციფრული და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ეკონომიკურ ზრდას გარდაქმნის მდგრად პროცესად.
- ეფექტიანი და ნდობაზე დამყარებული ინსტიტუციური გარემო - გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და შედეგზე ორიენტირებული საჯარო მმართველობა, რომელიც ამცირებს ბიზნესის ხარჯებს და ზრდის ინვესტორთა ნდობას.
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება - ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, განახლებადი ენერჯის განვითარება და ენერგოეფექტიანობის ზრდა, რაც ამცირებს გარე შოკების მიმართ მონყვლადობას.

ამ მიმართულებებზე დაფუძნებული სტრუქტურული ტრანსფორმაცია წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიან მდგრადობას, ინვესტიციების ხარისხიან ზრდას და მეტ კონკურენტუნარიანობას გლობალურ ბაზარზე.

მსოფლიოში ინვესტიციები მიგრირებს იქ, სადაც არის რეალური წარმოება, ცოდნა, ინოვაცია და სტაბილური ინსტიტუციები.

საქართველოსთვის ეს გარდაუვალი გზაა.

ლატვიის გამოცდილება აჩვენებს, რომ მცირე და გახსნილმა ეკონომიკამ შეიძლება მიიზიდოს ინვესტიციები ისეთ პირობებში, როდესაც საერთაშორისო საგადასახადო რეჟიმი მკაცრდება. წარმატების მთავარი ელემენტები ლატვიაში არ იყო მხოლოდ დაბალი გადასახადები, არამედ მყარად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ჩარჩო, ეკონომიკური წინასწარ პროგნოზირებადობა და ინოვაციებზე ორიენტირებული სტრუქტურები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ორგანიზაცია (OECD-ის) შეფასებით, ქვეყანაში მაღალი ხარისხის პროფესიული რესურსი და ტექნოლოგიური შესაძლებლობები იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი ინვესტიციების მდგრადობისათვის. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გრძელვადიანი ინვესტიციები დამოკიდებულია არა მხოლოდ ხარჯების შემცირებაზე, არამედ იმ გარემოზე, რომელიც სტიმულირებს ეფექტურ გამოყენებას, ინოვაციურ აქტივობებს და ცოდნაზე დაფუძნებულ ზრდას. საქართველოსთვის ეს სიგნალია, რომ მომავალი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეიქმნას ისე, რომ ინვესტიციები არა მხოლოდ შემოსავლის გაზრდას, არამედ ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას განაპირობებდეს.

დასკვნა

საერთაშორისო საგადასახადო წესრიგის ტრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკას აყენებს კრიტიკული არჩევანის წინაშე. წლების განმავლობაში დაბალ განაკვეთებზე დამოკიდებული ინვესტიციის მოზიდვის სტრატეგია ეფექტური იყო მოკლევადიან პერსპექტივაში, თუმცა გლობალური მინიმალური გადასახადის და საგადასახადო ბაზის შემცირება და მოგების გადატანა (BEPS) სტანდარტების ჩართვის შემდეგ ეს მიდგომა მნიშვნელოვნად კარგავს ეფექტურობას. ქვეყნის განვითარების მომდევნო ეტაპი აღარ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ საგადასახადო შეღავათებზე, აუცილებელია უფრო ღრმა, სტრუქტურული ხედვა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შიდა ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

ახალი საგადასახადო გარემო ხაზს უსვამს ინვესტიციების ხარისხის მნიშვნელობას. მომავალი ინვესტორები, რომლებიც გადანყვეტილებებს მიიღებენ არა მხოლოდ დაბალ განაკვეთებზე დაყრდნობით, არამედ საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობის, ადამიანური კაპიტალის, ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიური პოტენციალის საფუძველზე, უზრუნველყოფენ მდგრად ზრდას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გადაიზარდოს ინოვაციურ და ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში, რომელიც მეტად მდგრადია გარე ფაქტორების მიმართ.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის გზა უნდა განისაზღვროს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებებით:

1. ადამიანური კაპიტალის გაძლიერება - განათლების, პროფესიული უნარების, კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერა ზრდის ეკონომიკის პროდუქტიულობასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
2. ინოვაციური და მაღალი ტექნოლოგიების სექტორების მხარდაჭერა - სტარტაპებისა და მაღალტექნოლოგიური კომპანიების განვითარება შექმნის გრძელვადიან დამატებით ღირებულებას და შეამცირებს საერთაშორისო კაპიტალის მიგრაციის რისკს.
3. ინფრასტრუქტურული მოდერნიზაცია - სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გაზრდის ეკონომიკური აქტივობის ეფექტურობასა და ქვეყნის მიმზიდველობას ინვესტორებისთვის.

4. ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესება - გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და შედეგზე ორიენტირებული საჯარო მმართველობა შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და გაზრდის ინვესტორთა ნდობას.

5. ენერგეტიკული უსაფრთხოება და დივერსიფიკაცია - განახლებადი ენერგორესურსების განვითარება და ენერგოეფექტიანობის ზრდა ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრადობას გარე ფაქტორების მიმართ.

გლობალური გამოცდილება, მათ შორის ლატვიის მაგალითი, აჩვენებს, რომ მცირე და ღია ეკონომიკა შეიძლება იყოს ინვესტიციებისთვის მიმზიდველი მაშინაც, როდესაც საერთაშორისო საგადასახადო რეჟიმი მკაცრდება. ნარმატივის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები გრძელვადიან პერსპექტივაში არა მხოლოდ დაბალი გადასახადებია, არამედ ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო, პროგნოზირებადი ეკონომიკა, მაღალი ხარისხის პროფესიული რესურსი და ინოვაციური სტრუქტურები.

ამ კონტექსტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) სექტორის მხარდაჭერა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის უმეტესი ნაწილია. მათი მდგრადობა საერთაშორისო სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობას. სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს მჭიდრო დახმარება განათლების, საგადასახადო კონსულტაციების, ინოვაციური საქმიანობისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, რათა მცირე ბიზნესმაც შეძლოს კონკურენცია გლობალურ ბაზარზე.

დასასრულს, საერთაშორისო საგადასახადო წესრიგის

ტრანსფორმაცია საქართველოსთვის წარმოადგენს როგორც გამოწვევას, ასევე შესაძლებლობას. ქვეყანამ უნდა გადადგას ნაბიჯები დაბალ გადასახადებზე დამოკიდებულიდან, ცოდნაზე, ინოვაციაზე და ხარისხიან ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული ეკონომიკის მიმართულებით.

დამატებით, ეს გარდაქმნა ქმნის საფუძველს ახალი ეკონომიკური პოლიტიკისთვის, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან ზრდაზე, ინვესტიციების ხარისხზე, ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებაზე. ამ გზით საქართველო არა მხოლოდ შეინარჩუნებს სტაბილურ პოზიციას საერთაშორისო ინვესტორთა თვალში, არამედ შეძლებს შექმნას თანამედროვე, მდგრადი, ინოვაციური ეკონომიკა, რომელიც შეძლებს სწრაფად ადაპტირებას გლობალურ გამოწვევებსა და საერთაშორისო საგადასახადო ცვლილებებთან.

გამოყენებული წყაროები:

1. <https://surl.li/gmumqf>;
2. <https://surl.li/jelutp>;
3. <https://surl.li/owipuw>;
4. <https://surl.li/dmgkjd>;
5. <https://surl.lu/wijkhk>;
6. <https://surl.lu/nvbtxp>;
7. <https://surl.li/gbucuh>;
8. <https://surl.li/jgwmlf>;
9. <https://surl.li/iwbove>;
10. <https://surl.lu/jrmtjv>.

მცირე მენარმეობის კონცეპტუალური ბამონვევები თანამედროვე პირობებში

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.09>

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს მცირე მენარმეობის წინაშე არსებული სისტემური და სტრუქტურული ბამონვევების ანალიზს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში.

მცირე მენარმეობა თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საკვანძო ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასაქმების ზრდის, ინოვაციური პოტენციალის რეალიზებისა და რეგიონული დივერსიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, საქართველოში მცირე მენარმეობა დგას მრავალმხრივი დაბრკოლებების წინაშე. ეს განაპირობებს მის შეზღუდულ ეფექტიანობასა და განვითარების არასრულად ათვისებულ შესაძლებლობებს.

სტატიაში განხილულია ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორცაა ფინანსური რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ბიუროკრატიული და მარეგულირებელი ბარიერები, ბაზარზე წვდომის სირთულეები, ტექნოლოგიური უთანასწორობა და ინფრასტრუქტურული ბამონვევები, განსაკუთრებით რეგიონულ ქრილში.

სტატია მიზნად ისახავს არა მხოლოდ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, არამედ ისეთი რეკომენდაციების შემუშავებასაც, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში მცირე მენარმეობის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას, განსაკუთრებით რეგიონული ეკონომიკური გაძლიერებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში.



გურამ ფუტკარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დოქტორანტი
<https://orcid.org/0009-0007-5911-5944>
E-mail: futkaradzeguga1@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მცირე მენარმეობა, სისტემური დაბრკოლებები, ეკონომიკური განვითარება, რეგულაციები, რეგიონული განვითარება, ფინანსური ხელმისაწვდომობა, ციფრული ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა.

CONCEPTUAL CHALLENGES OF SMALL ENTREPRENEURSHIP IN CONTEMPORARY CONDITIONS

Guram Futkaradze

Doctoral Student at the Faculty of Business, Law,
and Social Sciences Akaki Tsereteli State University
<https://orcid.org/0009-0007-5911-5944>
E-mail: futkaradzeguga1@gmail.com

ABSTRACT

This article aims to analyze the systemic and structural challenges facing small entrepreneurship within the socio-economic context of Georgia. Small entrepreneurship is one of the key instruments of modern economic development, playing a significant role in increasing employment, realizing innovative potential, and ensuring regional diversification. Nevertheless, in Georgia, small enterprises face a range of complex obstacles that hinder their efficiency and limit the full realization of their development potential. The article discusses major issues such as limited access to financial resources, bureaucratic and regulatory barriers, market access difficulties, technological disparities, and infrastructural challenges, particularly in regional contexts. Ultimately, the study seeks not only to identify existing problems but also to propose practical recommendations that will support the sustainable and inclusive development of small entrepreneurship in Georgia, especially in light of regional economic empowerment and digital transformation.

Keywords: small entrepreneurship, systemic barriers, economic development, regulation, regional development, financial accessibility, digital transformation, Georgian economy.

შესავალი

მენარმეობა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ფორმა, ეფუძნება ადამიანური კაპიტალის, ინიციატივისა და რესურსების მობილიზაციის უნარს. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ბიზნესის მოდელი ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა, თანამედროვე ეპოქაში ის გარდაიქმნა ეკონომიკური სისტემის სტრუქტურულ და განვითარების კენ ორიენტირებულ ინსტრუმენტად. ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია ან ინდუსტრიული ბაზა სუსტია, მცირე მენარმეობა ხშირად წარმოადგენს ეკონომიკური დინამიკის შენარჩუნების ერთადერთ გზას. ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საქართველოს ეკონომიკა კვლავ ეძებს განვითარების ოპტიმალურ გზას, სადაც მცირე მენარმეობა ასრულებს მნიშვნელოვან სტრუქტურულ და ფუნქციურ როლს. მცირე მენარმეობის განვითარებას საქართველოში აფერხებს მრავალმხრივი სისტემური ბარიერები, როგორცაა არასაკმარისად ჩამოყალიბებული კონკურენტული გარემო, რეგულაციების არაპროგნოზირებადობა, ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების დეფიციტი, ინსტიტუციური სისუსტეები და მენარმეობრივი კულტურის ნაკლები გავრცელება საზოგადოებრივ დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირე მენარმეობის გამოწვევები არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური პარამეტრებით ისინი მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკური სტაბილურობის, საჯარო მმართველობის ხარისხისა და სოციალური მობილობის შესაძლებლობებთან. ჩნდება კითხვა, რამდენად არის საქართველო რეალურად მზად იმ ტიპის მენარმეობის მხარდასაჭერად, რომელიც დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტად იქცევა და არა მხოლოდ თვითდასაქმების საშუალებად? „ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყვეთს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა კონკურენტურობის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება და წონადი წვლილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში“ (გოგიაშვილი, 2013:5).

ძირითადი ტექსტი

სატრანსფორმაციო ეკონომიკების პირობებში, მცირე მენარმეობის გაძლიერება ერთ-ერთ პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება, რომელიც ეკონომიკური დივერსიფიკაციისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება. საქართველოში მცირე მენარმეობა დღემდე ინარჩუნებს ეკონომიკურად პერიფერიულ სტატუსს, რაც სტრუქტურული და ინსტიტუციური დაბრკოლებების კომპლექსით არის განპირობებული. ამ სეგმენტის განვითარების შეზღუდული შესაძლებლობები მჭიდროდ უკავშირდება

რეგულაციურ გაურკვევლობას, ბაზრის არასაკმარის გახსნილობას, ფინანსური რესურსების ნაკლებ ხელმისაწვდომობასა და მენარმეობრივი კულტურის სუსტ განვითარებას. შედეგად, მცირე მენარმეობა ვერ იქცა იმ ეკონომიკური ინოვაციების და კონკურენტული განვითარების მამოძრავებელ ძალად, რომელიც თეორიულად მას უნდა შეესაბამებოდა. საქართველოში არსებული მენარმეობრივი ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის ინტერესების ეფექტიან დაცვას. პრაქტიკაში, მენარმეობს უწევთ ოპერირება ისეთ პირობებში, სადაც სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები მოქმედებს ფრაგმენტულად, ხოლო კერძო სექტორთან თანამშრომლობა არასისტემურად და სტაბილური ინსტიტუციური ჩარჩოს გარეშე. „რეგიონებში ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და ინსტიტუციური გარემოს სისუსტე ქმნის იმ პირობებს, სადაც მცირე და საშუალო მენარმეობა ვერ პოულობს სისტემურ მხარდაჭერას და მოქმედებს გარე სტიმულების გარეშე, რაც იწვევს მისი ეკონომიკური წვლილის დაბალ დონეს“ (ჩიხლაძე, 2021:63). ამ პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული დაბრკოლებების ანალიზი ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat) მიერ 2024 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, მცირე საწარმოები შეადგენენ ეკონომიკურად აქტიური ბიზნესების უმრავლესობას, თუმცა მათი წილი ბრუნვაში, ინვესტიციებში და პროდუქციის მოცულობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო და მსხვილ საწარმოებს (Geostat, 2024). ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლების მიუხედავად, მცირე მენარმეობა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ აღწევს იმ ხარისხობრივ ნიშნულს, რომელიც აუცილებელია მდგრადი და ინკლუზიური ზრდისთვის.

პირველ ცხრილში მოტანილი სტატისტიკური ტენდენციების მიხედვით, მცირე მენარმეობა საქართველოში განიცდის რაოდენობრივ ზრდას, თუმცა მისი სტრუქტურული ინტეგრაცია მთლიან ეკონომიკურ სისტემაში კვლავაც შეზღუდულია. აღნიშნული დინამიკა მეტწილად ასახავს იმ გარემოებას, რომ მცირე ბიზნესის სეგმენტის გაფართოება ვერ გარდაიქმნება ეკონომიკური მნიშვნელობის ხარისხობრივ გაძლიერებად. ეს წინააღმდეგობა განპირობებულია კომპლექსური და სისტემური დაბრკოლებების ერთობლიობით, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავენ სექტორის სრულფასოვან ფუნქციონირებასა და პოტენციალის რეალიზაციას. ძირითადი გამოწვევები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ, მიეკუთვნება იმ სისტემურ მიმართულებებს, რომლებიც არსებითად აფერხებს მცირე მენარმეობის განვითარებას საქართველოში. ჩვენი შეფასებით, სწორედ ამ ფაქტორების დაძლევა წარმოადგენს სექტორის გაძლიერების აუცილებელ წინაპირობას.

1. შეზღუდული წვდომა ფინანსურ რესურსებზე

ფინანსური წვდომა მცირე მენარმეობის განვითარების წინაპირობაა, თუმცა საქართველოში სწორედ ეს ასპექტი რჩება ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერად. მე-

ცხრილი 1:

მცირე მენარმეობასთან დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლები საქართველოში (2020-2024 წწ.)

ეკონომიკური მაჩვენებლები	2020	2021	2022	2023	2024
მცირე ბიზნესის მოქმედი სუბიექტების რაოდენობა (ათასი ერთეული)	173.1	183.2	212.8	237.2	288.0
მცირე ბიზნესების წილი მოქმედ სუბიექტებში, %	22.3	22.6	24.4	25.8	27.6
დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი)	261.4	274.6	298.1	321.3	348.7
ბიზნესის მთლიანი ბრუნვა (მლრდ ლარი)	18.6	22.3	27.5	33.1	39.8
მცირე ბიზნესის მთლიანი ბრუნვა (მლრდ ლარი)	13.8	14.9	15.6	16.7	17.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat, 2024)

წარმეების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს საჭირო უზრუნველყოფას საბანკო სესხების მისაღებად. მოქმედი სესხის პროდუქტები გათვლილია სტაბილურ, ფორმალიზებულ და შედარებით მსხვილ ბიზნესებზე, რომელთა საკრედიტო ისტორია და აქტივების ღირებულება აკმაყოფილებს კომერციული ბანკების სტანდარტებს. მცირე მენარმეების დიდ ნაწილს არ გააჩნია საბუღალტრო დოკუმენტაცია, მათ არ აქვთ ოფიციალური შემოსავლის წყაროების რეგულარული მონიტორინგი და შესაბამისად, სესხების გაცემისას ისინი აღიქმებიან როგორც მაღალი რისკის სუბიექტები. ამას ემატება მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რაც, ხშირ შემთხვევაში, სესხის აღებას ეკონომიკურად არამიზანშენიანს ხდის. სახელმწიფო პროგრამების ნაწილი მაგალითად, „ნარმოე საქართველოში“ მნიშვნელოვან შინაარსობრივ ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს, (Geostat, 2024; ანარმოე საქართველოში, 2023). თუმცა, პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო ბიუროკრატიული ბარიერები, ბიზნესგეგმის მომზადების სირთულე და შერჩევის პროცედურების გამჭვირვალობაზე კითხვები კვლავაც მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება. ფინანსური ბაზრის მრავალფეროვნების სიმწირე კი ზრდის სექტორის მონყვლადობას. ამგვარ პირობებში, მენარმეებს ხშირად უწევთ თვითდაფინანსებაზე და არაფორმალურ ვალდებულებებზე დაყრდნობა, რაც ზრდის ფინანსურ რისკებს და ზღუდავს ბიზნესის ზრდის პოტენციალს.

2. რეგულაციები, ბიუროკრატია და ნორმატიული გავრცელების გარეგანი ფაქტორები

მცირე მენარმეობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ რეგულაციური გარემოს სიმარტივესთან, რომელშიც ბიზნესს უწევს ფუნქციონირება. საქართველოს მაგალითში, მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმებისა, მცირე ბიზნესის ოპერაციული წნეხი კვლავ მაღალია. კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში რთულად აღქმადია იმ ადამიანებისთვის, ვისაც არ აქვს იურიდიული განათლება ან შესაბამისი კონსულტაციის რესურსი. ეს განსაკუთრებულად პრობლემურია რეგიონებში, სადაც მცირე მენარმეებს იშვიათად აქვთ წვდომა კვალიფიციურ სამართლებრივ ან საგადასახადო მომ-

სახურებაზე (World Bank, 2023:36). ხშირია შემთხვევა, როდესაც მენარმე ვერ ერკვევა ვალდებულებებში, რის გამოც თავს არიდებს ფორმალურ რეგისტრაციასა და ანგარიშგებას, რაც თავის მხრივ ამცირებს მის ფინანსურ და კომერციულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობებს. რეგულაციების ხშირი ცვლილება მცირე ბიზნესს აიძულებს ოპერირება მოახდინოს არასტაბილურ სამართლებრივ ველში, რაც ბუნებრივად ამცირებს ახალ ინიციატივებს და ზრდის განვითარების შეფერხების რისკს. ზოგიერთი რეგულაცია თავისი შინაარსითაც არაპროპორციულად მოქმედებს მცირე სუბიექტებზე. მაგალითად, შრომის უსაფრთხოებისა და ტექნიკური ნორმების მოთხოვნები ხშირ შემთხვევაში არ არის გათვლილი მცირე საწარმოების შესაძლებლობებზე, რაც რეალურად უქმნის ან ზედმეტ ტვირთს, ან საფრთხეს, რომ ისინი საქმიანობას საერთოდ ვერ განაგრძობენ კანონიერად. ამრიგად, ბიუროკრატიული გარემო და ნორმატიული ბაზა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონეგად რჩება მცირე მენარმეებისთვის, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ დოკუმენტაციის გამარტივებას, არამედ სისტემური მიდგომის დანერგვას პროგნოზირებადობის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და საინფორმაციო მხარდაჭერის თვალსაზრისით.

3. შეზღუდული წვდომა ბაზარზე და კონსუმიციური ნარკების დაბალი დონე

მცირე მენარმეები საქართველოში ხშირად ოპერირებენ შეზღუდულ და კონკურენტულად არათანაბარ გარემოში, სადაც დიდი კომპანიები დომინირებენ ნარმოების მასშტაბით, დისტრიბუციითა და რესურსებზე წვდომით. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესი იძულებულია მიმართოს ვიწრო სამომხმარებლო სეგმენტებს, რომლებიც მოთხოვნის სიმცირის და რესურსების დეფიციტის გამო ვერ უზრუნველყოფს მდგრად ზრდას. ბაზარზე წვდომის შეზღუდვას ამძიმებს საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის დაბალი დონე, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა რეგიონებში და ციფრული ჩართულობის სისუსტე. პრობლემურია აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტების დაუფლება და სერტიფიცირების მაღალი ხარჯი, რაც მენარმეებს გამორიცხავს საექსპორტო პროცესებიდან. ბაზრის ბარიერები, ამ კონტექსტში, არ არის მხოლოდ

ტექნიკური ხასიათის ისინი სისტემურია და საჭიროებენ მართულ პოლიტიკას, რომელიც გააძლიერებს ინფრასტრუქტურას, სტანდარტების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს მცირე მენარმეობის აქტიურ ჩართვას ეკონომიკურ პროცესებში.

4. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და ინოვაციური პოტენციალის სისუსტე

ციფრული ეპოქის ეკონომიკაში მცირე მენარმეობის განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული ტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე და ინოვაციების ათვისების უნარზე. საქართველოში მცირე სანარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებს ტექნოლოგიურად სუსტ გარემოში, სადაც წარმოება ხშირად არაეფექტიანია, ხოლო თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტები ბუღალტრული პროგრამები, ონლაინ გაყიდვები და კლიენტთა მართვის სისტემები თითქმის არ გამოიყენება. ინოვაციური პოტენციალი დაბალია როგორც ფინანსური რესურსების შეზღუდულობის, ისე ტექნოლოგიური განათლების დეფიციტის გამო. რეგიონებში ვითარებას ამწვავებს ინფრასტრუქტურული ჩამორჩენილობა და ციფრულ სერვისებზე არათანაბარი წვდომა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ასიმეტრიას. შედეგად, მცირე ბიზნესი ვერ ეწევა ბაზრის სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს და დაკარგული აქვს ტექნოლოგიური ადაპტაციის უნარი. არსებული ვითარება საჭიროებს კომპლექსურ პოლიტიკას, რომელიც დაეფუძნება განათლებას, ტექნოლოგიურ ტრანსფერზე, ციფრულ ჩართულობაზე და თანამედროვე სამუშაო პრაქტიკის ხელშეწყობაზე.

5. კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი და შრომის ბაზრის სტრუქტურული დისბალანსი

შრომის ბაზრის სტრუქტურული დისბალანსი ერთ-ერთ ძირითად ბარიერს წარმოადგენს მცირე მენარმეობის განვითარებისთვის. საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებში, შრომითი რესურსი ვერ შეესაბამება თანამედროვე სანარმოების საჭიროებებს, რაც ძირითადად გამოწვეულია პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი პრაქტიკული მიმართებით. მცირე ბიზნესს ხშირად არ აქვს საშუალება უზრუნველყოს კადრების გადამზადება ან სათანადო სამუშაო პირობები, რაც ხელს უშლის კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას. შედეგად, მენარმეები დგანან არჩევანის წინაშე: ან შეწყვიტონ გაფართოების პროცესები, ან აიჩიონ დაბალკვალიფიციური მუშახელი, რაც საბოლოოდ ზღუდავს სანარმოს პროდუქტიულობასა და მომსახურების ხარისხს. მიგრაციის პროცესები და მცირე მენარმეობის ნაკლები მიმზიდველობა დაბალი ანაზღაურებისა და სოციალური გარანტიების გამო კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. ამგვარ პირობებში სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესება გარდაუვალი პირობაა ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის. საჭიროა პროფესიული განათლების და მენარმეობის სინქრონიზაცია, პრაქტიკული სწავლის ხელშეწყობა, ადგილობრივი კადრების მოზილიზაცია და მიზნობრივი გადამზადების პოლიტი-

კა, რომელიც შრომით ბაზარზე რეალურ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული.

დასკვნა

მცირე მენარმეობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად მისი გრძელვადიანი განვითარების პოტენციალისა, ეს სეგმენტი კვლავ რჩება მოწყვლადად მრავალფეროვანი სისტემური პრობლემების ფონზე, რომლებიც ზღუდავენ როგორც ბიზნესის გაფართოებას, ისე მის ეფექტიან ფუნქციონირებას. განხილულმა დაბრკოლებებმა ცხადყო, რომ მცირე მენარმეობის ოპერირების შესაძლებლობებს ზღუდავს ეკონომიკური, ინსტიტუციური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობა. ფინანსური რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, არაპროგნოზირებადი და ხშირ შემთხვევაში რთულად აღსაქმელი რეგულაციები, ბაზარზე შეზღუდული წვდომა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ქმნის დაბალი პროდუქტიულობის ჩაკეტილ სისტემურ წრეს. საქართველოში, მსგავსად მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა, მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარებისთვის, უმთავრესია მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რაც ხელს უწყობს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას (მაღლაკელიძე, 2022:121). მათი დაძლევა საჭიროებს არა მხოლოდ სისტემურ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, არამედ ინსტიტუციური რეფორმების ფართო ჩარჩოს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ ეკონომიკური თავისუფლება, პირველ ყოვლისა, თავისუფალ მენარმეობასთან ასოცირდება. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ მენარმეობის ფორმების შერჩევა არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დეტერმინირებული, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს და შესაბამის კანონმდებლობას. კანონი უნდა იცავდეს მენარმეობას და უწყობდეს მის განვითარებას (გოგიაშვილი, 2013:152). შიდა ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ეფექტიანი ინსტიტუციური ჩარჩოს გარეშე.

ამრიგად, მცირე მენარმეობის სტიმულირება საქართველოში არ არის მხოლოდ ეკონომიკური განვითარების საკითხი ის სოციალური, რეგიონული და პოლიტიკური სიმწიფის ინდიკატორიცაა. მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა ეს სეგმენტი გახდეს ქვეყნის ინოვაციური და ინკლუზიური ზრდის საყრდენი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიაშვილი ო., (2013). მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. URL: <https://old>

atsu.ge/images/pdf/disertaciebi/disertacia_gogiasvili.pdf;

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „რეგიონული სტატისტიკა (მთლიანი შიდა პროდუქტი)“ URL:<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>;

3. უგულავა, გ. (2023). ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა. „ივერიონი,“ თბილისი. URL:https://www.researchgate.net/publication/372371835_teritoriuli_ekonomikuri_ganvitarebis_strategiuli_dagegmva;

4. ელიზბარაშვილი, გ. (2024). „საქართველოს მცირე მენარმეობის სტრუქტურული გამონვევები და მათი გადაჭრის გზები“.

5. 5. ჩიხლაძე, ნ. (2021). „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები“. ქუთაისი. URL:https://www.researchgate.net/publication/354724312_regionuli_ekonomikuri_politikis_theoriuli_da_praktikuli_midgomebi;

6. 6. მალაკელიძე ა. (2022წ). მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი.

7. 7. საქართველოს სტატისტიკის ანგარიშის ცენტრი. „მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის ფუნდამენტი საქართველოში“. <https://www.geostat.ge/media/58575/Business-sector-in-Georgia-2023.pdf>;

8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>

9. საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. https://www.gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში: ტენდენციები, ზეგავლენა და სამომავლო პერსპექტივა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.10>

რეზიუმე

უდავოა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მსოფლიო ქვეყნების განვითარების პროცესში და ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცის ის ქვეყანაა, რომელიც გამო-რჩეულია თავისი პოლიტიკით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გახდა მისი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი და დღემდე ქვეყანაში განხორციელებული პუ-ის მოცულობის დინამიური და სტატისტიკური ანალიზი შთამბეჭდავ შედეგს გვაძლევს.

საქართველო, როგორც პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს სტრატეგიულად ხელსა-ყრელ მონაკვეთზე ევროპასა და აზიას შორის, ეყრდნობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურის განვითარების, ენერგეტიკული პროექტების, ლოჯისტიკის, ტურიზმისა და ფინანსური მომსახურების მხა-რდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას მუდმივად ახლავს თანმდევი რყევები, გლობალური ტენდენციებისა და რეგიონული დინამიკის შესაბამისად, ისინი კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკო-ნომიკური მდგრადობის გაძლიერებაში, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებასა და ქვეყნის გლობალურ ღირებულე-ბათა უფრო ღრმად ინტეგრაციაში.



ლაშა გუმბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკის
სპეციალობის დოქტორანტი
<http://orcid.org/0009-0000-7551-264X>
E-mail: lasha.gumberidze1999@gmail.com

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტი-
ციები, მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა,
რეგიონული ინვესტიციები.

FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA: TRENDS, IMPACT AND FUTURE PROSPECTS

Lasha Gumberidze

Akaki Tsereteli State University,
Faculty of Business, Law and Social Sciences,
PhD student in Economics
<http://orcid.org/0009-0000-7551-264X>
E-mail: lasha.gumberidze1999@gmail.com

RESUME

It is undeniable that foreign direct investment plays an important role in the development of countries around the world, and Georgia is no exception. It can be said that Georgia is a country in the post-Soviet space that stands out for its policy towards foreign direct investment. Since gaining independence, foreign direct investment has become an important factor in its economic development, and to this day, dynamic and statistical analysis of the volume of FDI in the country does not lose its importance.

As a small, open economy strategically located between Europe and Asia, Georgia relies on foreign direct investment to support infrastructure development, energy projects, logistics, tourism, and financial services. Although foreign direct

investment inflows to Georgia have fluctuated in line with global trends and regional dynamics, they continue to play an important role in strengthening economic resilience, improving the business environment, and deepening the country's integration into global value chains.

Keywords: Foreign Direct Investments, Gross Domestic Product, Economic Growth, Regional Investments.



შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გლობალიზაციის ინტენსიფიკაციამ არსებითად გააძლიერა საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალის მობილობა. ამ პროცესმა შეუწყო ხელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და მათი როლის კომპლექსურ შეფასებას ეკონომიკური განვითარების კონტექსტში. არსებული ემპირიკული კვლევების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ FDI-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი ერთმნიშვნელოვანი არ არის. კვლევების ნაწილი ასახავს პირდაპირი ინვესტიციების დადებით გავლენას პროდუქტიულობისა და ეკონომიკური დინამიკის გაძლიერებაზე, მაშინ, როდესაც სხვა ავტორთა დასკვნები მსგავს ეფექტებს ვერ ადასტურებს. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობა მრავალფაქტორულ და კონტექსტურ დამოკიდებულ მოვლენად განიხილება.

მრავალი ეკონომისტი ეთანხმება იმ აზრს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან კომპონენტს წამოადგენს ქვეყნისთვის წარმატებული განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ეკონომისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა განვითარებადი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ეს აუმჯობესებს მათ უნარს, რომ აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია და ამგვარად წარმოიჩინდნენ ბაზარზე.

ინვესტიციების ზრდის უფრო მაღალი ტემპი მუდმივად დაკავშირებულია პროდუქტიულობისა და წარმოების განსაკუთრებით სწრაფ ზრდასთან, რადგან ერთ მუშაკზე მეტი კაპიტალი ხელს უწყობს ინოვაციებსა და ეფექტურობას. დაგროვილი გამოცდილება აჩვენებს, რომ ქვეყნები, რომლებშიც ინვესტიციები სწრაფად მატულობს, შესაბამისად, ხასიათდებიან წარმოების ზრდის მაღალი ტემპითაც, რასაც თან ახლავს სამუშაო ადგილების შექმნა და ფართო მაკროეკონომიკური მიღწევები.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ღია ეკონომიკური პოლიტიკა გაატარა უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების კუთხით. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღიდან სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნისთვის დამახასიათებელი საინვესტიციო მიმშლის ფონზე პუი იქცა ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორად და ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოცულობის შეფასება, სტატისტიკურად თუ დინამიკურად, დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

მიმღები ქვეყნის საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და შემდგომში მათი ეფექტური მართვისთვის, რაც, რიგი

ფაქტორების გათვალისწინებით, უნიკალურია თითოეული ქვეყნის შემთხვევაში. როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, საქართველომ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში განიცადა რთული და მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით. ქვეყნის წარმატება აისახება სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგში მის წამყვან პოზიციებზე. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემური სფეროები, რომლებიც საჭიროებენ რადიკალურ და ეფექტურ რეფორმებს. ბუნებრივია, ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ფორმირების პროცესში დიდ როლს თამაშობს ისეთი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება, არა მხოლოდ ქვეყნის კონკრეტულ რეგიონში ინვესტიციების მოცულობის ზრდისკენ, არამედ მხედველობაში მიიღებს და ხელს შეუწყობს ყველა რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ზრდას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისით, განვითარებადი ქვეყნების რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია, ასეთ ქვეყნებში პუი ძირითადად ერთ კონკრეტულ რეგიონში აკუმულირდება, კერძოდ, ისეთში, რომელიც ყველაზე მეტად მიმზიდველია ინვესტორისთვის. შესაბამისად, ერთი რეგიონი მნიშვნელოვნად განვითარებულია ეკონომიკური თუ სხვა თვალსაზრისით. ამდენად, დისბალანსი რეგიონულ განვითარებაში მკვეთრად იზრდება. აღნიშნულის აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებად კი დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით ეფექტიანი რეფორმის გატარება გვესახება.

ძირითადი ტექსტი

UNCTAD - სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, 1990-2024 წლების ჩათვლით, 33.8 ტრილიონ აშშ დოლარამდე მიაღწია. ამ ინვესტიციებიდან დაახლოებით 40% განხორციელებულია ქვეყნებში, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკით ხასიათდებიან, ხოლო დანარჩენი 60% - განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნები, რომლებმაც ყველაზე მეტი ინვესტიცია მიიღეს, არიან: აშშ, ჩინეთი, გაერთიანებული სამეფო, სინგაპური. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 3.6%-ით არის გაზრდილი (1,5 ტრილიონ დოლარამდე), ზრდა ფიქსირდება, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონდე ქვეყნებში, შესაბამისად, 8,8% და 0,2%-ით. აღნიშნული ტენდენცია 2025 წლის განვლილ პერიოდშიც შენარჩუნდა.

საქართველო მიეკუთვნება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სიას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1990-2024 წლის პერიოდში ქვეყანაში ჯამურად განხორციელდა 28.7 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, რაც ანალოგიურ პერიოდში, გლობალურად, მსოფლიოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური ოდენობის 0,1%-ზე ნაკლებია.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან უცხოური ინვესტიციები გახდა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ხოლო საინვესტიციო რეფორმების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები 2005 წლიდან გადაიდგა. დაიხვენა საგადასახადო კანონმდებლობა, კერძოდ, შემცირდა საგადასახადო განაკვეთები. გააქტიურდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი (იხ. დიაგრამა 1).

როგორც დიაგრამა 1-ზე ვხედავთ, ინვესტიციების შემოდინება საქართველოში 1997 წლიდან დაიწყო, ხოლო მისი მკვეთრი ზრდა 2004 წლიდან იწყება - ვარდების რევოლუციის შემდგომ. მალევე, 2007 წელს, განხორციელდა დიდი ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, მაგრამ შემდეგ პერიოდში 2008-2009 წლებში ვითარება შესუსტდა, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის ომით, რასაც თან დაერთო მსოფლიო გლობალური კრიზისი, რამაც ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შეამცირა.

2010 წლიდან ვითარება შედარებით გამოსწორდა და მის შემდეგ თანდათან უმჯობესდება, მაგრამ ყურადღება მისაქცევი გამოწვევისია 2012, 2016 და 2020 წლებში, როცა ოდნავ მცირდებოდა პუი-ს მოცულობა, რაც ძირითადად პოლიტიკური გაურკვევლობით იყო გამოწვეული. 2019-2020 წლებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ეს არის პერიოდი, რა დროსაც, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლი-

ოში გავრცელებული იყო Covid-19-ის პანდემია, რის გამოც მრავალი ქვეყნის მთავრობებმა „ლოკდაუნი“ გამოაცხადეს, რამაც, ბუნებრივია, ეკონომიკური აქტივობა და პუი-ს მოცულობა მსოფლიო მასშტაბით შეამცირა.


საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ დიაგრამა 1-ზე მოცემული ინფორმაცია ნომინალურ მაჩვენებელშია გამოსახული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სრულ ინფორმაციას არ გვანვდის იმაზე, საკმაოდ ბევრი არის განხორციელებული ინვესტიცია, თუ არა. იმისთვის რომ სურათი მეტად ნათელი იყოს, აუცილებელია, ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიმართ ვნახოთ. რაც უფრო დიდია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო მეტი ინვესტიცია სჭირდება მას ზრდისა და განვითარებისთვის (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა N2-ზე მოცემულია შესაბამისობა მშპ-სა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის 2017-2023 წლებში. როგორც ვხედავთ, 2017 წლიდან 2023 წლამდე, მშპ ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუ არ ჩავთვლით 2020 წლის Covid-19-ის პერიოდს.

1996-2022 წლებში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი, დაახლოებით 32%, ევროკავშირის ქვეყნებიდანაა. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ უცხოელი ინვესტორისთვის ადაპტირებული სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეები ხშირად იყენებდნენ ოფშორულ ზონებს რეინვესტირებისთვის. ზოგიერთი მსხვილი ქართული კომპანია რეგისტრირებულია ევროკავშირის ტერიტორიაზე, შესაბამისად, მათი ბრუნვის ნაწილი აღიქმება, როგორც უცხოური ინვესტიციები.


საქართველოში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე მსჯელობისას სასურველია, უფრო დეტალურად განვიხილოთ, თუ რისგან შედგება

დიაგრამა 1




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი

დიაგრამა N2



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით



დიაგრამა N3

წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით

ცხრილი N1

რეინვესტიციებისა და ახალი ინვესტიციების თანაფარდობა 2017-2024 წწ.

	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
სულ	1990.5	1350.6	1367.8	583.1	1245.9	2253.4	1902.2	1333,8
მათ შორის								
სააქციო კაპიტალი	1 115.0	867.0	588.4	45.9	234.4	596.7 1	1211.2	483
რეინვესტიცია	616.5	434.1	636.6	500.4	771.4	1 378.3	1 591.6	1170,6
სავალო ვალდებულებები	259.1	50.5	142.8	36.8	240.1	278.4	-900.6	-320,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ვებგვერდი

ის, რა პროცენტია რეინვესტიცია და რა ოდენობის ახალი ინვესტიცია შემოდის რეალურად ქვეყანაში (იხ. დიაგრამა 3).

ცხრილი 1-ზე ნაჩვენებია 2017-2024 წლების პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების ცვლილების დინამიკა.

შეგვიძლია დავაკვირდეთ მოცემულ პერიოდში საქართველოში განხორციელებული პუი-დან რეინვესტირების მაჩვენებლის ხვედრით წილებს. კალკულაციის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლიდან წლამდე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირების ხვედრითი წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ნომინალურ მაჩვენებლებში აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, 2024 წელს პუი-ში რეინვესტირების კომპონენტის წილი დაახლოებით 2-ჯერ არის გაზრდილი (616,5 მლნ\$-დან 1170,6 მლნ\$-მდე), ხოლო, რაც შეეხება ხვედრით წილს, ის 31%-დან 87.7%-მდეა გაზრდილი. პროცენტულად მაქსიმალური მაჩვენებელი სწორედ 2024 წელს დაფიქსირდა და აჭარბებს 2020 წლის, Covid-19 პანდემიის პერიოდში, დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს (85%). როგორც ვიცით, რეინვესტირება გულისხმობს საქართველოში მოქმედი უცხოური კომპანიების მიერ მიღებული მოგების ხელახალ დაბანდებას საკუთარ საქმიანობაში. შესაბამისად, რეინვესტიციის მოცულობის ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში რეალურად ახალი ინვესტიციები არ შემოდის და ინვესტიციების ძირითადი ტვირთი სწორედ რომ საქართველოში არსებულ მიმდინარე ინვესტირებზე გადადის. აღსანიშნავია, ისიც, რომ რეინვესტიციის მოცულობის ზრდა მთლიანობაში უარყოფით ფაქტორად არ უნდა იყოს აღქმული. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ინვესტორები ფულადი სახსრების დაბანდებას საქართველოს ნაცვლად სხვა ქვეყანაში გადაწყვეტდნენ, ეს, ბუნებრივია, უარყოფითად აისახებოდა, როგორც რეინვესტირების მაჩვენებელზე, ისე მთლიანად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე. ხაზგასასმელია ის გარეობაც, რომ რეინვესტიციის ხვედრითი წილის ზრდა პუი-ში, გარკვეულწილად დადებითადაც შეიძლება იქნეს აღქმული, ვინაიდან ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედ

ინვესტორებს დადებითი მოლოდინები აქვთ საქართველოს ეკონომიკის მიმართ, რომ აქ ოპერირება მათთვის მომგებიანია, ხოლო ბაზარი - მშვიდი და სტაბილური.


ცხრილი 1-ში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება 2023 წელზე, ვინაიდან ამ პერიოდში განსაკუთრებით არის გაზრდილი ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირების მაჩვენებელი (სავალო ვალდებულებები: -900.6 მლნ\$), რაც ცხადია მოცემულ პერიოდში ამცირებდა საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობას, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ნეგატიური ეფექტი გადაფარულ იქნა რეინვესტირებისა და განსაკუთრებით სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვანი ზრდით. ამასთან ერთად, ამკარა არის, რომ 2024 წელს საგრძნობლად არის შემცირებული პუი-ს მოცულობა, რაც ძირითადად გლობალური ფაქტორებით - აშშ-ის ფედერალური რეზერვისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მხრიდან განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდით არის გამოწვეული.

დადებითად შეიძლება შევაფასოთ ის გარემოება, რომ 2020-2022 წლებში მნიშვნელოვნად იზრდება ინვესტიციებში სააქციო კაპიტალის წილი, 2023 წელს კი, 2022 წლის მონაცემთან შედარებით, ის 2.3-ჯერ გაიზარდა (596,7 მლნ\$-დან 1211,2 მლნ\$-მდე).

საბოლოო ჯამში, მიუხედავად აღნიშნულისა, დღესდღეობით არსებული მდგომარეობა - ის, რომ პუი-ს კომპონენტებიდან რეინვესტირების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აჭარბებს რეალურად ახალი ინვესტიციის შემოდინების (სააქციო კაპიტალი) ზრდის ტემპს, ნაკლებად სასურველია. უდავოა, რომ აღნიშნული ვითარების გამოსწორების გასაღებები ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაშია.

ცალკე ყურადღება უნდა გავამახვილოთ 2025 წლის მონაცემებზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ I, II და III კვარტლის მონაცემებია ხელმისაწვდომი, პუი-ს

დიაგრამა 4



წყარო: აგებულია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე

შემცირების ტენდენცია შესამჩნევია, განსაკუთრებით კი 2025 წლის მეორე კვარტალში.

2025 წლის სამი კვარტლის მიხედვით, მონაცემები შემდეგნაირად არის განაწილებული და მოცემულია დიაგრამა 4-ზე:

როგორც ვხედავთ, 2025 წლის 3 კვარტლის შედეგებით, საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელების მხრივ მოწინავე ადგილებს იკავებენ თურქეთი, აშშ და გაერთიანებული სამეფო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ძირითადად, დიდი ოდენობის ინვესტიციებს ერთი და იგივე ქვეყნები ახორციელებენ. ვფიქრობ, უმჯობესია, ამ მხრივ, მეტად დივერსიფიცირებული ვითარება იყოს და საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ რამდენიმე მხვილ ქვეყანაზე არ იყოს დამოკიდებული. დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პუი-ს მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა, მაგალითად, აშშ, გაერთიანებული სამეფო, მალტა და ნიდერლანდები. ასეთი მაღალი კონცენტრაცია ზრდის მოწყვლადობას, თუ ერთი ან რამდენიმე მსხვილი ინვესტორი დროში გადადებს პროექტის განხორციელებას, მთლიანი პუი უცბად მცირდება.

დღედღობით აქტიურად მიმდინარეობს საუბარი ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაუფობსების შესახებ და ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლაც გვაქვს (თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება), მაგრამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა სტაბილურად უცვლელია და ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება. შესაბამისად, საქართველოს მშპ-ის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს კვლავ ევროპული ქვეყნებიდან და აშშ-დან დაბანდებული ინვესტიციები ასრულებს.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ ნაწილდება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონებს შორის.

ცხრილი 2 ასახავს, თუ, როგორ შეიცვალა რეგიონების მიხედვით პუი-ს მოცულობა. ბუნებრივია, ყოველწელს საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი, ნახევარზე მეტი, მიემართება დედაქალაქს კენ. საინტერესოა 2022-2024 წლების დინამიკა (2025 წლის მონაცემები სრულად არ არის ხელმისაწვდომი და ცხრილშიც არაა შეყვანილი), როგორც ცხრილში ვხედავთ, წლიდან-წლამდე თბილისში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა იკლებს (2024 წელს, 2022 წელთან შედარებით, შემცირება არის დაახლოებით 37%), აღნიშნული გარემოება შეიძლება პოზიტიურად ყოფილიყო აღქმული იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად დაფიქსირდებოდა უცხოური ინვესტიციების სტაბილური ზრდა დანარჩენ რეგიონებში, მაგრამ ეს ასე არ არის. შეიძლება ითქვას, რომ პუი-ს მნიშვნელოვანი ზრდა, ძირითადად, ფიქსირდება აჭარაში, სადაც, ბოლო 2 წელიწადში, ინვესტიციების მნიშვნელოვანი, 48%-იანი, ზრდა არის დაფიქსირებული (აბსოლუტურ გამოსახულებაში 30 მლნ-იანი ზრდა). თბილისში დაფიქსირებული კლება, უცხოური ინვესტიციის მოცულობის თვალსაზრისით, მთლიანობაში ვერ კომპენსირდება სხვა რამდენიმე რეგიონში ანალოგიური მაჩვენებლის ზრდით. 2024 წელს, 2022 - თან შედარებით, გვექონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი სალდო.

ინვესტიციებზე მსჯელობისას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ცვლილების ტენდენციის ანალიზს. ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაპიტალური ხარჯის ცვლილება, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს შიდა ინვესტიციებზე გვიქმნის წარმოდგენას. არაფინანსური აქტივების ცვლილება, განსაკუთრებით მისი

ცხრილი N2

პუი-ს განაწილება საქართველოს რეგიონებს შორის, 2022-2024 წლები

	2022	2023	2024
ქ. თბილისი	2 001 213,0	1 510 711,7	1 268 779,0
აჭარა	60 831,2	69 418,2	90 309,5
კახეთი	2 004,2	8 549,8	5 253,5
სამცხე-ჯავახეთი	19 935,4	-39 357,1	43 676,2
ქვემო ქართლი	35 985,4	200 952,5	37 481,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	33 001,8	58 282,8	37 313,0
გურია	2 017,9	2 230,5	2 569,6
იმერეთი	20 297,7	53 873,3	-35 707,2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	767,9	3 858,2	-13 504,0
შიდა ქართლი	35 473,0	35 609,5	34 251,8
მცხეთა-მთიანეთი	12 668,0	24 333,0	98 848,5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული ბიურო

ზრდა, ასახავს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურასა და ქონებაში, რაც უკეთესი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ ყველაფერს კი უცხოელი ინვესტორები აღიქვამენ, როგორც პოზიტიურ სიგნალს - ქვეყანას აქვს ძლიერი მხარდაჭერა ეკონომიკის განვითარებისა და მდგრადობისთვის.

